

# პროფესიული ტესტები

1.

„მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად, I კლასის შენობა-ნაგებობას განეკუთვნება:

- ა) გრუნტის ზედაპირიდან 8 მ-მდე სიმაღლის მქონე ღობე;
- ბ) გრუნტის ზედაპირიდან 6 მ-მდე სიმაღლის მქონე ღობე;
- გ) გრუნტის ზედაპირიდან 4 მ-მდე სიმაღლის მქონე ღობე;
- დ) გრუნტის ზედაპირიდან 5 მ-მდე სიმაღლის მქონე ღობე.

2.

„მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად, ხაზობრივ ნაგებობას განეკუთვნება:

- ა) ხიდები და გვირაბები;
- ბ) ფუნქულიორი;
- გ) საჰაერო-საბაგრო გზა;
- დ) ყველა პასუხი სწორია.

3.

„მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად, მშენებლობის ნებართვის გამცემი ორგანო დამკვეთის მიერ წარმოდგენილი განცხადებისა და თანდართული საბუთების კანონმდებლობასთან შესაბამისობას ამოწმებს:

- ა) 10 დღის ვადაში;
- ბ) 7 დღის ვადაში;

გ) 5 დღის ვადაში;

დ) 3 დღის ვადაში.

4.

„მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად, მიწის ნაკვეთის განაშენიანებული ზედაპირის ფართობის შეფარდება მიწის ნაკვეთის ფართობთან მეათედის სიზუსტით არის:

ა) მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი;

ბ) მიწის ნაკვეთის განაშენიანების რეგულირების კოეფიციენტი;

გ) მიწის ნაკვეთის განაშენიანების კოეფიციენტი;

დ) არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

5.

„მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად, მშენებლობის ნებართვის გაცემის I სტადია – მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დამტკიცება (IV და V კლასის შენობა-ნაგებობების, ბახმაროს, ბაკურიანის, გუდაურის და ურეკის სარეკრეაციო ტერიტორიების, აგრეთვე ყველა კლასის იმ ობიექტების, რომელთა საქმიანობა ექვემდებარება ეკოლოგიურ ექსპერტიზას შენობა-ნაგებობების გარდა) ხორციელდება:

ა) არაუმეტეს 12 დღის ვადაში;

ბ) არაუმეტეს 15 დღის ვადაში;

გ) არაუმეტეს 18 დღის ვადაში;

დ) არაუმეტეს 20 დღის ვადაში.

6.

„მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად, მშენებარე ობიექტის კონსერვაცია ხორციელდება მშენებლობის პროცესის:

- ა) 6 თვეზე მეტი ხნით შეჩერების შემთხვევაში;
- ბ) 12 თვეზე მეტი ხნით შეჩერების შემთხვევაში;
- გ) 18 თვეზე მეტი ხნით შეჩერების შემთხვევაში;
- დ) 24 თვეზე მეტი ხნით შეჩერების შემთხვევაში.

7.

„მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად, მოცემულ მსჯელობათაგან რომელია სწორი?

- ა) დროებითი შენობისა და ნაგებობის გამოყენების მაქსიმალური ვადაა 2 წელი და შესაძლებელია ყოველი ვადის ამოწურვის შემდეგ ვადის მაქსიმუმ 2 წლით გაგრძელება;
- ბ) დროებითი შენობისა და ნაგებობის გამოყენების მაქსიმალური ვადაა 1 წელი და შესაძლებელია ყოველი ვადის ამოწურვის შემდეგ ვადის მაქსიმუმ 1 წლით გაგრძელება;
- გ) დროებითი შენობისა და ნაგებობის გამოყენების მაქსიმალური ვადაა 3 წელი და შესაძლებელია ყოველი ვადის ამოწურვის შემდეგ ვადის მაქსიმუმ 3 წლით გაგრძელება;
- დ) დროებითი შენობისა და ნაგებობის გამოყენების მაქსიმალური ვადაა 5 წელი და შესაძლებელია ყოველი ვადის ამოწურვის შემდეგ ვადის მაქსიმუმ 5 წლით გაგრძელება.

8.

ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ საქართველოს კანონის თანახმად, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრის ინდივიდუალურ საკუთრებაში არსებული ქონების ისეთი განვითარება, რომელიც გავლენას ახდენს ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრთა საერთო ქონებაზე, თუმცა არ ითვალისწინებს ინდივიდუალურ საკუთრებაში არსებული ფართობის გაზრდას ან/და ახალი ინდივიდუალური საკუთრების საგნის წარმოშობას, შესაძლებელია:

- ა) ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის 1/3-ის თანხმობით;

- ბ) ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის 2/3-ის თანხმობით;
- გ) ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის 100%-ის თანხმობით;
- დ) ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის თანხმობის გარეშე.

9.

ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ საქართველოს კანონის თანახმად, მრავალბინიანი სახლი არის:

- ა) სახლი, რომელიც შედგება ორზე მეტი ინდივიდუალური საკუთრების საგნისაგან (ბინისაგან);
- ბ) სახლი, რომელიც შედგება სამზე მეტი ინდივიდუალური საკუთრების საგნისაგან (ბინისაგან);
- გ) სახლი, რომელიც შედგება ოთხზე მეტი ინდივიდუალური საკუთრების საგნისაგან (ბინისაგან);
- დ) სახლი, რომელიც შედგება ხუთზე მეტი ინდივიდუალური საკუთრების საგნისაგან (ბინისაგან).

10.

„ქ. თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად, მიწის ნაკვეთის მოჯნის ზონა არის:

- ა) სამშენებლო მიწის ნაკვეთის ნაწილი, რომელიც მიწის ნაკვეთის სამეზობლო საზღვრიდან დაშორებულია 3 მეტრითა და ნაკლები მანძილით;
- ბ) სამშენებლო მიწის ნაკვეთის ნაწილი, რომელიც მიწის ნაკვეთის სამეზობლო საზღვრიდან დაშორებულია 5 მეტრითა და ნაკლები მანძილით;
- გ) სამშენებლო მიწის ნაკვეთის ნაწილი, რომელიც მიწის ნაკვეთის სამეზობლო საზღვრიდან დაშორებულია 7 მეტრითა და ნაკლები მანძილით;
- დ) სამშენებლო მიწის ნაკვეთის ნაწილი, რომელიც მიწის ნაკვეთის სამეზობლო საზღვრიდან დაშორებულია 10 მეტრითა და ნაკლები მანძილით.

11.

„ქ. თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად, ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში სპეციალურ (ზონალურ) შეთანხმებაზე გადაწყვეტილებას იღებს:

ა) ქ. თბილისის პრემიერი, დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა კომისიის დასკვნის საფუძველზე;

ბ) ქ. თბილისის საკრებულო, დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა კომისიის დასკვნის საფუძველზე;

გ) ქ. თბილისის მერი, დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა კომისიის დასკვნის საფუძველზე;

დ) ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახური, დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა კომისიის დასკვნის საფუძველზე.

12.

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის შექმნისა და მისი წესდების (დებულების) დამტკიცების შესახებ ქ. თბილისის მთავრობის 2008 წლის 22 დეკემბრის 24.16.832 დადგენილების თანახმად:

ა) არქიტექტურის სამსახური არის ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის სამართალმემკვიდრე;

ბ) არქიტექტურის სამსახური არ არის ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის სამართალმემკვიდრე;

გ) არქიტექტურის სამსახური არის ქალაქ თბილისის მერიის არქიტექტურისა და პერსპექტიული განვითარების საქალაქო სამსახურის სამართალმემკვიდრე;

დ) არქიტექტურის სამსახური არ არის ქალაქ თბილისის მერიის არქიტექტურისა და პერსპექტიული განვითარების საქალაქო სამსახურის სამართალმემკვიდრე.

13.

„მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად, არასრული სართული არის:

ა) სართული, რომლის საშუალო სიმაღლე იატაკის ზედაპირის ნიშნულიდან ჭერის ზედაპირამდე 1.8 მეტრიდან 2.5 მეტრამდეა;

ბ) სართული, რომლის საშუალო სიმაღლე იატაკის ზედაპირის ნიშნულიდან ჭერის ზედაპირამდე 1.9 მეტრიდან 2.6 მეტრამდეა;

გ) სართული, რომლის საშუალო სიმაღლე იატაკის ზედაპირის ნიშნულიდან ჭერის ზედაპირამდე 2.0 მეტრიდან 2.7 მეტრამდეა;

დ) სართული, რომლის საშუალო სიმაღლე იატაკის ზედაპირის ნიშნულიდან ჭერის ზედაპირამდე 2.1 მეტრიდან 2.8 მეტრამდეა.

14.

„ქ. თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად, მრავალბინიან საცხოვრებელ სახლებზე, რომლებსაც დაშენების გამო დაკარგული აქვთ დასრულებული არქიტექტურული იერსახე და რომელზეც დოკუმენტურად დადასტურებული იქნება მზიდი კონსტრუქციების მდგრადობა, დაშენება ნებადართულია ინდივიდუალურად, ერთიანი იერსახის ესკიზის საფუძველზე, იერსახის მოწესრიგების მიზნით. ასეთ შემთხვევაში მშენებლობის ნებართვა შეიძლება გაიცეს ერთხელ, არა უმეტეს 18 თვით. მშენებლობის ნებართვის ვადის გაგრძელება დასაშვებია მხოლოდ ერთხელ:

ა) არა უმეტეს 12 თვის ვადით;

ბ) არა უმეტეს 14 თვის ვადით;

გ) არა უმეტეს 16 თვის ვადით;

დ) არა უმეტეს 18 თვის ვადით.

15.

„ქ. თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად, მიწის ნაკვეთზე განთავსებული კაპიტალური შენობა-ნაგებობების სართულების ჯამური ფართობის შეფარდება მიწის ნაკვეთის ფართობთან მეათედის სიზუსტით არის:

- ა) მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი;
- ბ) მიწის ნაკვეთის განაშენიანების რეგულირების კოეფიციენტი;
- გ) მიწის ნაკვეთის განაშენიანების კოეფიციენტი;
- დ) არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

16.

„ქ. თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად, კ-2 კოეფიციენტის (მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი) საანგარიშო ფართობში არ შედის:

- ა) სრული სართულის იატაკის კონსტრუქციის ზედაპირის ფართობი;
- ბ) არასრული სართულის იატაკის კონსტრუქციის ზედაპირის ფართობი;
- გ) არასრული კიბის ბაქნის კონსტრუქციის ზედაპირის ფართობი;
- დ) არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

17.

„ქ. თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად, სხვენში მოწყობილი ისეთი მანსარდა, რომელიც წარმოადგენს სრულ სართულს, კ-2 კოეფიციენტის (მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი) საანგარიშო ფართობში შედის:

- ა) შედის სრულად;
- ბ) სართოდ არ შედის;
- გ) სხვენის იატაკის ძირითადი კონსტრუქციის ზედაპირის ფართობის 1/4-ით;

დ) სხვენის იატაკის ძირითადი კონსტრუქციის ზედაპირის ფართობის 1/2-ით.

18.

„ქ. თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად, აივნის იატაკის ძირითადი კონსტრუქციის ზედაპირის საერთო ფართობი კ-2 კოეფიციენტის (მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი) საანგარიშო ფართობში:

ა) შედის სრულად;

ბ) შედის 1/2-ით;

გ) შედის 1/5-ით;

დ) არ შედის.

19.

„ქ. თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად, ლოჯის და ვერანდის იატაკის ძირითადი კონსტრუქციის ზედაპირის ფართობი კ-2 კოეფიციენტის (მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი) საანგარიშო ფართობში:

ა) შედის სრულად;

ბ) შედის იატაკის ძირითადი კონსტრუქციის ზედაპირის ფართობის 1/5-ით;

გ) შედის იატაკის ძირითადი კონსტრუქციის ზედაპირის ფართობის 1/2-ით;

დ) არ შედის.

20.

„ქ. თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად, დაშვებულია "შეუსაბამო" უძრავი ობიექტების ისეთი ექსპლუატაცია (გამოყენება, განვითარება) და რემონტი, რომელიც:

- ა) არ ზრდის შეუსაბამობის არსებულ ხარისხს;
- ბ) ზრდის შეუსაბამობის არსებულ ხარისხს;
- გ) ნაწილობრივ ზრდის შეუსაბამობის არსებულ ხარისხს;
- დ) არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

21.

„ქ. თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად, სამშენებლო მიწის ნაკვეთის მიჯნის ზონაში შენობაზე შესაძლებელია მოეწყოს კარი, ფანჯარა, სამტრედე და კედელში არსებული სხვა ღია ნაწილი, ასევე აივანი და ერკერი თუ:

- ა) შენობის საანგარიშო ზედაპირი (რომელზეც ასეთი ნაწილები არის განლაგებული) სამეზობლო საზღვრის შვეულ წარმოსახვით სიბრტყესთან ქმნის 75 გრადუსიდან 90 გრადუსამდე კუთხეს და სამეზობლო საზღვრიდან დაშორებულია არანაკლებ 0.6 მეტრით;
- ბ) შენობის საანგარიშო ზედაპირი (რომელზეც ასეთი ნაწილები არის განლაგებული) სამეზობლო საზღვრის შვეულ წარმოსახვით სიბრტყესთან ქმნის 75 გრადუსიდან 90 გრადუსამდე კუთხეს და სამეზობლო საზღვრიდან დაშორებულია არანაკლებ 0.5 მეტრით;
- გ) შენობის საანგარიშო ზედაპირი (რომელზეც ასეთი ნაწილები არის განლაგებული) სამეზობლო საზღვრის შვეულ წარმოსახვით სიბრტყესთან ქმნის 75 გრადუსიდან 90 გრადუსამდე კუთხეს და სამეზობლო საზღვრიდან დაშორებულია არანაკლებ 0.4 მეტრით;
- დ) შენობის საანგარიშო ზედაპირი (რომელზეც ასეთი ნაწილები არის განლაგებული) სამეზობლო საზღვრის შვეულ წარმოსახვით სიბრტყესთან ქმნის 75 გრადუსიდან 90 გრადუსამდე კუთხეს და სამეზობლო საზღვრიდან დაშორებულია არანაკლებ 0.3 მეტრით.

22.

„ქ. თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად, სისტემურად მოწყობილ (ჩამოყალიბებულ) ავტოფარეხებს შორის დარჩენილი ცარიელი სივრცე შესაძლებელია შეივსოს მსუბუქი კონსტრუქციის დროებითი შენობა-ნაგებობით. დროებითი შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციის ვადა განისაზღვრება:

- ა) მაქსიმუმ ერთი წლით;
- ბ) მაქსიმუმ ორი წლით;
- გ) მაქსიმუმ სამი წლით;
- დ) მაქსიმუმ ოთხი წლით.

23.

„ქ. თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად, ჩარჩო გეგმა არის:

- ა) არასამართლებრივი დოკუმენტი;
- ბ) სამართლებრივი დოკუმენტი;
- გ) ნორმატიული აქტი;
- დ) არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

24.

„ქ. თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად, სამშენებლო მიწის ნაკვეთის ის ნაწილი (ფართობი), რომელიც მოქცეულია საზოგადოებრივი საზღვრ(ებ)ის მოპირდაპირე (არამოსაზღვრე) სამეზობლო საზღვარსა/საზღვარებსა და ამ მუხლის შესაბამისად დადგენილ წითელ ხაზ(ებ)ს შორის, არის მიჯნის ზონის ნაწილი, რომელსაც სამშენებლო მიწის ნაკვეთზე შენობათა განთავსების მიზნებისათვის ეწოდება:

- ა) სამშენებლო მიწის ნაკვეთის წინა ეზო;
- ბ) სამშენებლო მიწის ნაკვეთის უკანა ეზო;
- გ) სამშენებლო მიწის ნაკვეთის გვერდითი ეზო;
- დ) არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

25.

„ქ. თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად, იმ შემთხვევაში, როდესაც შენობის საანგარიშო ზედაპირზე ან მის ნაწილზე ამ მუხლის მოთხოვნათა დაცვით მოწყობილია კარი, ფანჯარა და კედელში არსებული სხვა ღია ნაწილი, მაშინ სამეზობლო საზღვარისა და შენობის ორ უახლოეს წერტილს შორის დაშორებაში მხედველობაში არ მიიღება შენობის სამეზობლო საზღვრის მხარეს 1.2 მეტრამდე გამოწეული შენობის ისეთი ნაწილები როგორცაა: აივანი, ერკერი, შენობაში შესასვლელი კიბე(ები), მათი გადახურვები და სხვა მსგავსი არქიტექტურულ-კონსტრუქციული ნაწილები, ამასთანავე ამ ნაწილების კიდიდან სამეზობლო საზღვრამდე მანძილი უნდა შეადგენდეს:

- ა) არანაკლებ 3 მეტრს;
- ბ) არანაკლებ 5 მეტრს;
- გ) არანაკლებ 1.6 მეტრს;
- დ) არანაკლებ 1.8 მეტრს.

26.

„ქ. თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად, როდესაც სამშენებლო მიწის ნაკვეთს ერთზე მეტი მხრიდან ესაზღვრება ერთმანეთის გადამკვეთი ქუჩა ან/და სხვა საზოგადოებრივი სივრცე, შენობის ფასადის საანგარიშო სიმაღლე იანგარიშება:

- ა) უფრო ვიწრო ქუჩის ან საზოგადოებრივი სივრცის მხრიდან;
- ბ) უფრო მეტად დასახლებული ქუჩის ან საზოგადოებრივი სივრცის მხრიდან;
- გ) უფრო განიერი ქუჩის ან საზოგადოებრივი სივრცის მხრიდან;
- დ) არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

27.

„ქ. თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად, ერთ სამშენებლო მიწის ნაკვეთზე რამდენიმე მრავალბინიანი

საცხოვრებელი სახლის განთავსების შემთხვევაში, ამ თავით განსაზღვრული მოთხოვნები ხორციელდება ამავე სამშენებლო მიწის ნაკვეთზე:

- ა) წარმოსახვითი სამეზობლო საზღვრის დადგენის საფუძველზე;                    ბ) მიწის ნაკვეთის საზღვრიდან 3 მეტრში;
- გ) მომიჯნავე მიწის ნაკვეთის სამეზობლო საზღვრის დადგენის საფუძველზე;
- დ) მიწის ნაკვეთის საზღვრიდან 5 მეტრში.

28.

„ქ. თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად, დაუშვებელია სამშენებლო მიწის ნაკვეთზე განთავსებული შენობის ნაწილებისა და არქიტექტურული დეტალების ქუჩის, ან სხვა საზოგადოებრივ ტერიტორიაზე/სივრცეში, გრუნტის ზედაპირიდან 2,7 მ-მდე სიმაღლეზე:

- ა) აივნებისა და ერკერების შეჭრა 0.2 მ-ზე მეტად;
- ბ) აივნებისა და ერკერების შეჭრა 0.3 მ-ზე მეტად;
- გ) აივნებისა და ერკერების შეჭრა 0.4 მ-ზე მეტად;
- დ) აივნებისა და ერკერების შეჭრა 0.5 მ-ზე მეტად.

29.

„ქ. თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად, დაუშვებელია სამშენებლო მიწის ნაკვეთზე განთავსებული შენობის ნაწილებისა და არქიტექტურული დეტალების ქუჩის ან სხვა საზოგადოებრივ სივრცეში გრუნტის ზედაპირიდან 2,7 მ-ზე მეტ სიმაღლეზე:

- ა) აივნებისა და ერკერების შეჭრა 1.4 მ-ზე მეტად;
- ბ) აივნებისა და ერკერების შეჭრა 1.5 მ-ზე მეტად;
- გ) აივნებისა და ერკერების შეჭრა 1.6 მ-ზე მეტად;
- დ) აივნებისა და ერკერების შეჭრა 1.7 მ-ზე მეტად.

30.

„ქ. თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად, აკრძალულია მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მიწის ნაკვეთის საზღვრებზე, თუ ეს განსაზღვრული არ არის თავდაპირველი საპროექტო დოკუმენტაციით:

- ა) შლაგბაუმის მოწყობა;
- ბ) წყალარინების სისტემის მოწყობა;
- გ) ელექტროგადამცემი სისტემის მოწყობა;
- დ) ღობის მოწყობა.

31.

„ქ. თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად, საცხოვრებელ ზონებში მიწის ნაკვეთის და სხვა უძრავი ობიექტების სამშენებლო განვითარებისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს:

- ა) მინიმუმ ერთი ავტოსადგომი ერთ საცხოვრებელ ერთეულზე;
- ბ) მინიმუმ ორი ავტოსადგომი ერთ საცხოვრებელ ერთეულზე;
- გ) მინიმუმ სამი ავტოსადგომი ერთ საცხოვრებელ ერთეულზე;
- დ) მინიმუმ ოთხი ავტოსადგომი ერთ საცხოვრებელ ერთეულზე.

32.

საქართველოს დედაქალაქის \_ თბილისის შესახებ კანონის თანახმად, ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის გადაწყვეტილება საჩივრდება:

- ა) ქ. თბილისის საკრებულოში;

- ბ) ქ. თბილისის მერიაში;
- გ) ქ. თბილისის რაიონულ გამგეობებში;
- დ) არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

33.

„მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად, ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახური ქ. თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში მშენებლობის ნებართვას (წერილობით დასტურს) გაცემს შემდეგი კლასის შენობა-ნაგებობებზე:

- ა) I, II, III და IV;
- ბ) II, III, IV და V;
- გ) I, II, III, IV და V;
- დ) III, IV და V.

34.

„მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად, მშენებლობის ნებართვას არ საჭიროებს:

- ა) ექსტერიერის გაბარიტების ცვლილება არა უმეტეს 0.2 მეტრისა;
- ბ) ექსტერიერის გაბარიტების ცვლილება არა უმეტეს 0.3 მეტრისა;
- გ) ექსტერიერის გაბარიტების ცვლილება არა უმეტეს 0.4 მეტრისა;
- დ) ექსტერიერის გაბარიტების ცვლილება არა უმეტეს 0.5 მეტრისა.

35.

„ქ. თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად, დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმა განსაზღვრავს:

- ა) მიგრაციის ასპექტებს;
- ბ) განაშენიანების ძირითად პარამეტრებს;
- გ) სამშენებლო საქმიანობის ლიცენზირების პირობებს;
- დ) ყველა პასუხი სწორია.

36.

ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 5 ივნისის #6-17 გადაწყვეტილებით დამტკიცებული დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმა არის:

- ა) ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი;
- ბ) ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი;
- გ) აღმჭურველი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი;
- დ) არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

37.

პროექტის შემთანხმებელი და მშენებლობის ნებართვის გამცემი ორგანოს მიერ უნებართვოდ ან/და პროექტის დარღვევით აშენებული ობიექტების ან მათი ნაწილების ლეგალიზების შესახებ გადაწყვეტილების მიღების წესის დამტკიცების თაობა საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 24 ნოემბრის #660 ბრძანებულების თანახმად, განცხადების რეგისტრაციიდან რა ვადა აქვს ადმინისტრაციულ ორგანოს ლეგალიზების საკითხის გადასაწყვეტად?

- ა) 31 სამუშაო დღე;
- ბ) 30 კალენდარული დღე;
- გ) ერთი თვე;
- დ) 30 სამუშაო დღე.

38.

პროექტის შემთანხმებელი და მშენებლობის ნებართვის გამცემი ორგანოს მიერ უნებართვოდ ან/და პროექტის დარღვევით აშენებული ობიექტების ან მათი ნაწილების ლეგალიზების შესახებ გადაწყვეტილების მიღების წესის დამტკიცების თაობა საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 24 ნოემბრის #660 ბრძანებულების თანახმად, ადმინისტრაციულ ორგანოს ლეგალიზების საკითხის განხილვისას ხარვეზის დადგენის შემთხვევაში მაქსიმუმ რამდენი დღის განსაზღვრის უფლება აქვს მის გამოსასწორებლად?

ა) 15 დღე;

ბ) 30 დღე;

გ) 10 დღე;

დ) არცერთი პასუხი არ არის სწორი.

39.

2010 წლის 20 აპრილს ეკა გ-მ მიმართა თბილისის არქიტექტურის სამსახურს და მოითხოვა უნებართვოდ აშენებული ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის ლეგალიზება საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 24 ნოემბრის #660-ე ბრძანებულებით დადგენილი წესის შესაბამისად. საქმეზე ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებების გამოკვლევისას დადგინდა, რომ ობიექტი მდებარეობდა ნავთობის მაგისტრალური მილსადენის დაცვის III ზონაში, რის გამოც არქიტექტურის სამსახურმა ადმინისტრაციულ წარმოებაში ჩართო მილსადენის მესაკუთრე. ამ უკანასკნელის მიერ საკითხის განხილვისას დაფიქსირებული იქნა, რომ III ზონაში მსგავსი ტიპის ობიექტების განთავსება მილსადენისა და თვითონ მოსახლეობის უსაფრთხოების მიზნით დაუშვებელი არის.

რა გადაწყვეტილება უნდა მიიღოს არქიტექტურის სამსახურმა?

ა) უნდა მოახდინოს ობიექტის ლეგალიზება;

ბ) ობიექტი უნდა დაალეგალიზოს და ამავდროულად უნდა მიანიჭოს შეუსაბამო სტატუსი;

გ) ობიექტის ლეგალიზებაზე უნდა უთხრას უარი;

დ) არცერთი პასუხი არ არის სწორი.

40.

პროექტის შემთანხმებელი და მშენებლობის ნებართვის გამცემი ორგანოს მიერ უნებართვოდ ან/და პროექტის დარღვევით აშენებული ობიექტების ან მათი ნაწილების ლეგალიზების შესახებ გადაწყვეტილების მიღების წესის დამტკიცების თაობა

საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 24 ნოემბრის #660 ბრძანებულების თანახმად, ობიექტის ლეგალიზება იმავდროულად ნიშნავს:

- ა) ობიექტის ექსპლუატაციაში მიღებას;
- ბ) ობიექტის საკუთრების უფლების მიღებას;
- გ) ობიექტის სარგებლობის უფლების მიღებას;
- დ) არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

41.

2006 წლის 5 მაისს გიორგი ქ-მ ქალაქ გორში მრავალბინიან საცხოვრებელ სახლზე მის კუთვნილ ბინაზე დაიწყო დამხმარე სამეურნეო სათავსის მიშენება, რომელიც ვედარ დაასრულა. 2010 წლის 15 მარტს გადაწყვიტა აღნიშნული მიშენება მოექცია მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობაში და მიმართა ქალაქ თბილისის მერიის ს.ს.ი.პ. თბილისის არქიტექტურის სამსახურს და მოითხოვა საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 24 ნოემბრის #660-ე ბრძანებულებით დამტკიცებული წესის შესაბამისად დასრულება. არქიტექტურის სამსახურმა გიორგი ქ-ს უარი უთხრა ობიექტის დასრულებაზე ვადის განსაზღვრაზე განცხადების განხილვაზე.

სწორია თუ არა თბილისის არქიტექტურის სამსახურის გადაწყვეტილება?

- ა) სწორია;
- ბ) არ არის სწორი, ვინაიდან ობიექტი დაწყებულია 2007 წლის 01 იანვრამდე და ექცევა საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 24 ნოემბრის #660-ე ბრძანებულებით დამტკიცებული წესის რეგულირების სფეროში;
- გ) სწორია ვინაიდან დამხმარე სამეურნეო სათავსის მიშენების დასრულებას საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 24 ნოემბრის #660-ე ბრძანებულებით დამტკიცებული წესი არ ითვალისწინებს;
- დ) არასწორია, ვინაიდან არქიტექტურის სამსახურს ამის უფლება არ ჰქონდა.

42.

კობა კ-მ მიმართა ქალაქ თბილისის ზედამხედველობის სამსახურს და მოითხოვა 2007 წლის 01 იანვრამდე დასრულებული საცხოვრებელი სახლის ლეგალიზება. ადმინისტრაციულმა ორგანომ განიხილა განცხადება და უარი უთხრა ობიექტის ლეგალიზებაზე. უარის თქმის

საფუძვლად ადმინისტრაციულ სამართლებრივ აქტში მიუთითა, დოკუმენტები იყო ხარვეზიანი და მასზე დაყრდნობით არ ჰქონდა უფლება საკითხი დადებითად გადაეწყვიტა.

სწორია თუ არა ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილება?

ა) არასწორია, ვინაიდან მას ჯერ ხარვეზი უნდა დაედგინა და მისი გამოუსწორებლობის შემთხვევაში ეთქვა უარი;

ბ) სწორია, ვინაიდან ადმინისტრაციულ ორგანოს ამისი უფლება დღეს მოქმედი კანონმდებლობით მინიჭებული აქვს;

გ) არასწორია, ვინაიდან ზედამხედველობის სამსახურს საკითხი უნდა გადაეგზავნა უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოში, რომელიც მიიღებდა საბოლოო გადაწყვეტილებას;

დ) სწორია ვინაიდან, განხილვაზე უარის თქმის საფუძველი ადმინისტრაციულ ორგანოს არ გააჩნდა.

43.

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მიხედვით რამდენ დღეში უნდა დაუდგინოს ხარვეზი ადმინისტრაციულმა ორგანომ განმცხადებელს არასრული დოკუმენტების წარმოდგენის შემთხვევაში?

ა) განცხადების შეტანიდან 10 სამუშაო დღეში;

ბ) განცხადების რეგისტრაციიდან 10 კალენდარულ დღეში;

გ) განცხადების რეგისტრაციიდან 3 სამუშაო დღეში;

დ) განცხადების რეგისტრაციიდან 3 კალენდარულ დღეში.

44.

პროექტის შემთანხმებელი და მშენებლობის ნებართვის გამცემი ორგანოს მიერ უნებართვოდ ან/და პროექტის დარღვევით აშენებული ობიექტების ან მათი ნაწილების

ლეგალიზების შესახებ გადაწყვეტილების მიღების წესის დამტკიცების თაობაზე საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 24 ნოემბრის #660 ბრძანებულების თანახმად, ინდივიდუალურ საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე 2007 წლის 01 იანვრამდე დავით ა-მ ააშენა საცხოვრებელი სახლი რომლის ლეგალიზებისთვის თბილისის არქიტექტურის სამსახურმა განმცხადებელს მოსთხოვა ყველა თანამესაკუთრის თანხმობა.

სწორედ მოიქცა თუ არა არქიტექტურის სამსახური?

- ა) დიახ, ამის უფლება სამსახურს აქვს;
- ბ) არა, ამის უფლება სამსახურს არ ჰქონდა;
- გ) სამსახურს უნდა მოეთხოვა თანამესაკუთრეთა მხოლოდ 2/3-ის თანხმობა;
- დ) სამსახურს უნდა მოეთხოვა თანამესაკუთრეთა მხოლოდ უმრავლესობის თანხმობა.

45.

პროექტის შემთხმებელი და მშენებლობის ნებართვის გამცემი ორგანოს მიერ უნებართვოდ ან/და პროექტის დარღვევით აშენებული ობიექტების ან მათი ნაწილების ლეგალიზების შესახებ გადაწყვეტილების მიღების წესის დამტკიცების თაობა საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 24 ნოემბრის #660 ბრძანებულების თანახმად, იმ შემთხვევაში თუ იურიდიული პირი ითხოვს მრავალბინიან საცხოვრებელ სახლზე მიმენების ლეგალიზებას, რომელიც რეგისტრირებული არ არის საჯარო რეესტრში, სჭირდება თუ არა ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის თანხმობა?

- ა) ვინაიდან განმცხადებელი იურიდიული პირია ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად არ სჭირდება თანამესაკუთრეთა თანხმობა;
- ბ) ყველა შემთხვევაში საჭიროა ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის თანხმობა;
- გ) ვინაიდან ლეგალიზების წესში სავალდებულო დოკუმენტების ჩამონათვალი არ ითვალისწინებს მსგავსი დოკუმენტის წარდგენას არ არის აუცილებელი მისი წარმოდგენა;
- დ) ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის თანხმობის წარდგენის ვალდებულება აკისრია მხოლოდ ფიზიკურ პირებს.

46.

პროექტის შემთხმებელი და მშენებლობის ნებართვის გამცემი ორგანოს მიერ უნებართვოდ ან/და პროექტის დარღვევით აშენებული ობიექტების ან მათი ნაწილების

ლეგალიზების შესახებ გადაწყვეტილების მიღების წესის დამტკიცების თაობა საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 24 ნოემბრის #660 ბრძანებულების თანახმად, განცხადების რეგისტრაციიდან რა ვადა აქვს ადმინისტრაციულ ორგანოს ლეგალიზების საკითხის გადასაწყვეტად?

ა) 31 სამუშაო დღე;

ბ) 30 კალენდარული დღე;

გ) ერთი თვე;

დ) 30 სამუშაო დღე.

47.

ადმინისტრაციულ ორგანოს ლეგალიზების საკითხის განხილვისას ხარვეზის დადგენის შემთხვევაში მაქსიმუმ რამდენი დღის განსაზღვრის უფლება აქვს მის გამოსასწორებლად?

ა) 15 დღის;

ბ) 30 დღის;

გ) 10 დღის;

დ) არცერთი პასუხი არ არის სწორი.

48.

2010 წლის 20 აპრილს ეკა გ-მ მიმართა თბილისის არქიტექტურის სამსახურს და მოითხოვა უნებართვოდ აშენებული ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის ლეგალიზება საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 24 ნოემბრის #660-ე ბრძანებულებით დადგენილი წესის შესაბამისად. საქმეზე ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებების გამოკვლევისას დადგინდა, რომ ობიექტი მდებარეობდა ნავთობის მაგისტრალური მილსადენის დაცვის III ზონაში, რის გამოც არქიტექტურის სამსახურმა ადმინისტრაციულ წარმოებაში ჩართო მილსადენის მესაკუთრე. ამ უკანასკნელის მიერ საკითხის განხილვისას დაფიქსირებული იქნა, რომ III ზონაში მსგავსი ტიპის ობიექტების განთავსება მილსადენისა და თვითონ მოსახლეობის უსაფრთხოების მიზნით დაუშვებელი არის.

რა გადაწყვეტილება უნდა მიიღოს არქიტექტურის სამსახურმა?

ა) უნდა მოახდინოს ობიექტის ლეგალიზება;

- ბ) ობიექტი უნდა დააღეგალიზოს და ამავდროულად უნდა მიანიჭოს შეუსაბამო სტატუსი;
- გ) ობიექტის ლეგალიზებაზე უნდა უთხრას უარი;
- დ) არცერთი პასუხი არ არის სწორი.

49.

ვინ მიმართავს 2007 წლის 01 იანვრამდე დაწყებული ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 24 ნოემბრის #660-ე ბრძანებულებით დადგენილი წესის შესაბამისად დასრულების მოთხოვნით ბათუმის არქიტექტურის სამსახურს?

- ა) ბათუმში უნებართვოდ ან/და პროექტის დარღვევით აშენებულ ობიექტებზე ლეგალიზების წესი არ ვრცელდება;
- ბ) ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა;
- გ) მიწის ნაკვეთის მესაკუთრე;
- დ) შენობა-ნაგებობის მესაკუთრე.

50.

პროექტის შემთანხმებელი და მშენებლობის ნებართვის გამცემი ორგანოს მიერ უნებართვოდ ან/და პროექტის დარღვევით აშენებული ობიექტების ან მათი ნაწილების ლეგალიზების შესახებ გადაწყვეტილების მიღების წესის დამტკიცების თაობა საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 24 ნოემბრის #660 ბრძანებულების თანახმად, დასაშვებია თუ არა ლეგალიზების წესით მრავალბინიან საცხოვრებელ სახლებზე მიშენებული დამხმარე სამეურნეო სათავსის დასრულება?

- ა) მრავალბინიან საცხოვრებელ სახლებზე მიშენებული დამხმარე სამეურნეო სათავსების დასრულებას კანონი არ ითვალისწინებს;
- ბ) დასაშვებია;
- გ) დასაშვებია მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში;
- დ) არცერთი პასუხი არ არის სწორი.

51.

რამდენ დღიანი ვადა აქვს ადმინისტრაციულ ორგანოს იმისათვის, რომ განიხილოს საკითხი და მისცეს განმცხადებელს 2007 წლის 01 იანვრის შემდგომ დაწყებული მშენებლობის საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 24 ნოემბრის #660-ე ბრძანებულებით დადგენილი წესის შესაბამისად დასრულებაზე თანხმობა?

ა) 10;

ბ) 20;

გ) 30;

დ) არცერთი პასუხი არ არის სწორი.

52.

შეუძლია თუ არა ადმინისტრაციულ ორგანოს ლეგალიზების საკითხის განხილვისას საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 24 ნოემბრის #660-ე ბრძანებულებით დადგენილ წესში იმპერატიულად განსაზღვრული დოკუმენტების გარდა მოითხოვოს დამატებითი დოკუმენტების წარმოდგენა?

ა) ამის უფლება ადმინისტრაციულ ორგანოს არ აქვს;

ბ) შესაძლებელია მხოლოდ საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 24 ნოემბრის #660-ე ბრძანებულებით დადგენილი წესით პირდაპირ გათვალისწინებული შემთხვევების დროს;

გ) ყველა პასუხი სწორია;

დ) არცერთი პასუხი არ არის სწორი.

53.

ლეგალიზების საკითხის განხილვისას ობიექტის ადგილზე დათვალიერება ადმინისტრაციული ორგანოს უფლებაა თუ ვალდებულება?

ა) ვალდებულებაა;

ბ) უფლებაა;

გ) ყველა პასუხი სწორია;

დ) არცერთი პასუხი არ არის სწორი.

54.

ფასადების მოწესრიგების (მოპირკეთების) მიზნით საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 24 ნოემბრის #660-ე ბრძანებულებით დადგენილი წესის შესაბამისად ადმინისტრაციულ ორგანოს უფლება აქვს განმცხადებელს განუსაზღვროს ვადა არაუმეტეს:

ა) 12 თვისა;

ბ) 6 თვისა;

გ) 1 თვისა;

დ) კანონმდებლობა აღნიშნული ვადის შეზღუდვას არ აწესებს.

55.

პროექტის შემთანხმებელი და მშენებლობის ნებართვის გამცემი ორგანოს მიერ უნებართვოდ ან/და პროექტის დარღვევით აშენებული ობიექტების ან მათი ნაწილების ლეგალიზების შესახებ გადაწყვეტილების მიღების წესის დამტკიცების თაობა საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 24 ნოემბრის #660 ბრძანებულების თანახმად, ზვიად დ-მ ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურს მიმართა უნებართვოდ მოწყობილი კარის ღიობისა (რომელიც არ ეხება მზიდ კონსტრუქციებს) და კიბის უჯრედის, რომელიც 15 კვ.მ.-ით გადადის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებულ მიწაზე, ლეგალიზებასთან დაკავშირებით.

ზვიად დ-ს დასჭირდება:

ა) ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის 2/3-ის თანხმობა ლეგალიზებასთან დაკავშირებით;

ბ) ბინათმესაკუთრეთა მახანაგობის 2/3-ის თანხმობა და თვითმმართველი ერთეულის თანხმობა ლეგალიზებასთან დაკავშირებით;

გ) ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის 100%-ის თანხმობა ლეგალიზებასთან დაკავშირებით;

დ) არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

56.

პროექტის შემთანხმებელი და მშენებლობის ნებართვის გამცემი ორგანოს მიერ უნებართვოდ ან/და პროექტის დარღვევით აშენებული ობიექტების ან მათი ნაწილების ლეგალიზების შესახებ გადაწყვეტილების მიღების წესის დამტკიცების თაობა საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 24 ნოემბრის #660 ბრძანებულების თანახმად, კობა კ-მ სამსახურს წარმოუდგინა ლეგალიზებასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, მათ შორის ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, საიდანაც დასტურდება, რომ მრავალბინიან საცხოვრებელ სახლზე უნებართვოდ მიშენებული დასალეგალიზებელი ფართი წარმოადგენს კობა კ-ს საკუთრებას. სამსახურმა კობა კ-ს დაუდგინა ხარვეზი და მოსთხოვა წარმოედგინა ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის 100%-იანი თანხმობა ლეგალიზებასთან დაკავშირებით. სწორად მოიქცა თუ არა ამ შემთხვევაში სამსახური?

- ა) დიახ, რადგან ლეგალიზების დროს ყველა შემთხვევაში წარმოსადგენია 100%-იანი თანხმობა;
- ბ) არა, რადგან სამსახურს უნდა მოეთხოვა ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის ნახევარზე მეტის თანხმობა;
- გ) დიახ, რადგან ამ კონკრეტულ შემთხვევაში ადგილი აქვს წილობრიობის გადანაწილებაში ცვლილებები შეტანას, რაც 100%-ან თანხმობას ითვალისწინებს;
- დ) არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

57.

პროექტის შემთანხმებელი და მშენებლობის ნებართვის გამცემი ორგანოს მიერ უნებართვოდ ან/და პროექტის დარღვევით აშენებული ობიექტების ან მათი ნაწილების ლეგალიზების შესახებ გადაწყვეტილების მიღების წესის დამტკიცების თაობა საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 24 ნოემბრის #660 ბრძანებულების თანახმად, ობიექტის ლეგალიზება იმავდროულად ნიშნავს:

- ა) ობიექტის ექსპლუატაციაში მიღებას;
- ბ) ობიექტის საკუთრების უფლების მიღებას;
- გ) ობიექტის სარგებლობის უფლების მიღებას;
- დ) არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

58.

მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად, მშენებლობის ნებართვის ვადის დინება იწყება:

- ა) მშენებლობის ნებართვის რეგისტრაციის თარიღიდან;
- ბ) მშენებლობის ნებართვის მხარისათვის ოფიციალურად გაცნობის თარიღიდან;
- გ) უფლებამოსილი ხელმოწერიდან;
- დ) მშენებლობის ორგანიზაციის პროექტით გათვალისწინებული სამშენებლო სამუშაოების დაწყების დღიდან.

59.

მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად, მშენებლობის ნებართვის გაცემის მესამე სტადიაზე დამკვეთი შეიძლება იყოს:

- ა) მიწის ნაკვეთისა და მასზე განთავსებული ან ასაშენებელი შენობა-ნაგებობების მესაკუთრე;
- ბ) მიწის ნაკვეთისა და მასზე განთავსებული ან ასაშენებელი შენობა-ნაგებობების მოსარგებლე;
- გ) მიწის ნაკვეთისა და მასზე განთავსებული ან ასაშენებელი შენობა-ნაგებობების მესაკუთრის ან მოსარგებლის უფლებამოსილი პირი, რომელსაც აქვს ობიექტის სამშენებლოდ განვითარების ინტერესი;
- დ) ყველა პასუხი სწორია.

60.

ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ საქართველოს კანონის თანახმად, მრავალბინიანი სახლი არის:

- ა) სახლი, რომელიც შედგება ერთზე მეტი ინდივიდუალური საკუთრების საგნისაგან (ბინისაგან);
- ბ) სახლი, რომელიც შედგება ორზე მეტი ინდივიდუალური საკუთრების საგნისაგან (ბინისაგან);

გ) სახლი, რომელიც შედგება სამზე მეტი ინდივიდუალური საკუთრების საგნისაგან (ბინისაგან);

დ) არც ერთი პასუხი არაა სწორი.

61.

ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ საქართველოს კანონის თანახმად, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრთა საერთო ქონებას წარმოადგენს:

ა) მიწის ნაკვეთი;

ბ) ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრთა საერთო ქონების მომსახურებისათვის განკუთვნილი შენობა-ნაგებობები და საინჟინრო-კომუნიკაციური მოწყობილობა და გაყვანილობა;

გ) სატრანზიტო გაყვანილობა;

დ) ყველა პასუხი სწორია.

62.

ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ საქართველოს კანონის თანახმად, რომელი მსჯელობაა სწორი:

ა) სამ ან სამზე მეტ მომიჯნავე მიწის ნაკვეთზე არსებული ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების მესაკუთრეებს შეუძლიათ შექმნან ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების მესაკუთრეთა ამხანაგობა;

ბ) ორ ან ორზე მეტ მომიჯნავე მიწის ნაკვეთზე არსებული ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების მესაკუთრეებს შეუძლიათ შექმნან ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების მესაკუთრეთა ამხანაგობა;

გ) ორ ან ორზე მეტ მომიჯნავე მიწის ნაკვეთზე არსებული ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების მესაკუთრეებს არ შეუძლიათ შექმნან ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების მესაკუთრეთა ამხანაგობა;

დ) არც ერთი პასუხი არაა სწორი.

63.

ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ საქართველოს კანონის თანახმად, თუ ამხანაგობის წესდებით სხვა რამ არ არის დადგენილი ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობას სასამართლოსთან და მესამე პირებთან ურთიერთობაში წარმოადგენს:

ა) ამხანაგობის ნებისმიერი წევრი;

ბ) ამხანაგობის თავმჯდომარე;

გ) ამხანაგობის მდივანი;

დ) ყველა პასუხი სწორია.

64.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 102-ე მუხლის თანახმად, თუ განმეორებით წარდგენილ განცხადებაში არ არის მითითებული ახლად აღმოჩენილი ან ახლად გამოვლენილი გარემოებანი:

ა) ადმინისტრაციული ორგანო განცხადების განუხილველად გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს განცხადებაზე უარის თქმის შესახებ;

ბ) ადმინისტრაციული ორგანო განცხადებას განუხილველად დატოვებს;

გ) ადმინისტრაციული ორგანო განცხადებას განიხილავს და უარს იტყვის მის დაკმაყოფილებაზე;

დ) ყველა პასუხი სწორია.

65.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის თანახმად, აქვს თუ არა იურიდიული ძალა უფლებამოსილების გადამეტებით გამოცემულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, აგრეთვე უფლებამოსილების გადამეტებით ადმინისტრაციული ორგანოს მიერ განხორციელებულ ქმედებას?

ა) აქვს იურიდიული ძალა;

ბ) აქვს მხოლოდ კანონით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევებში;

გ) არ აქვს იურიდიული ძალა და ბათილად უნდა გამოცხადდეს;

დ) არ აქვს იურიდიული ძალა და ძალადაკარგულად უნდა გამოცხადდეს.

66.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის თანახმად, მოცემულთაგან რომელი მსჯელობაა სწორი?

ა) დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას შეიძლება გამოიცეს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, თუ პირის კანონით დაცული უფლებებისა და ინტერესებისათვის მიყენებული ზიანი არსებითად აღემატება იმ სიკეთეს, რომლის მისაღებადაც იგი გამოიცა;

ბ) დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას არ შეიძლება გამოიცეს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, თუ პირის კანონით დაცული უფლებებისა და ინტერესებისათვის მიყენებული ზიანი არსებითად აღემატება იმ სიკეთეს, რომლის მისაღებადაც იგი გამოიცა;

გ) დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას შეიძლება გამოიცეს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, თუ პირის კანონით დაცული უფლებებისა და ინტერესებისათვის მიყენებული ზიანი არსებითად აღემატება იმ სიკეთეს, რომლის მისაღებადაც იგი გამოიცა, მხოლოდ კანონით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევებში;

დ) ყველა პასუხი სწორია.

67.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის თანახმად, ადმინისტრაციულ წარმოებაში შეიძლება თუ არა მონაწილეობა მიიღოს თანამდებობის პირმა, რომელსაც აქვს პირადი ინტერესი, ანდა არსებობს სხვა გარემოება, რომელიც ზეგავლენას მოახდენს საქმის გადაწყვეტაზე?

ა) შეიძლება, თუ მისი თანამდებობრივი მდგომარეობა ან სხვა გარემოება უშუალოდ დაკავშირებულია ადმინისტრაციულ წარმოებაში არსებულ საქმესთან;

ბ) შეიძლება, მხოლოდ კანონით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევებში;

გ) არ შეიძლება;

დ) ყველა პასუხი სწორია.

68.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის თანახმად, ვალდებულია თუ არა საჯარო დაწესებულება სათანადო წერილობითი თხოვნის საფუძველზე სხვა საჯარო დაწესებულებაზე ცნობის სახით გასცეს მასთან დაცული პერსონალური მონაცემები ან კომერციულ საიდუმლოებას მიკუთვნებული ინფორმაცია, რომელიც აუცილებელია საჯარო დაწესებულებისათვის საკითხის გადასაწყვეტად?

ა) არ არის ვალდებული;

ბ) ვალდებულია;

გ) ვალდებულია, თუ საჯარო დაწესებულება წარუდგენს იმ პირის წერილობით თანხმობას, რომლის პერსონალურ მონაცემებს ან კომერციულ საიდუმლოებას წარმოადგენს შესაბამისი ინფორმაცია;

დ) არ არის ვალდებული, იმ შემთხვევაშიც თუ საჯარო დაწესებულება წარუდგენს იმ პირის წერილობით თანხმობას, რომლის პერსონალურ მონაცემებს ან კომერციულ საიდუმლოებას წარმოადგენს შესაბამისი ინფორმაცია.

69.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის თანახმად, ადმინისტრაციული წარმოების მხარე შეიძლება იყოს:

ა) ადმინისტრაციული ორგანო;

ბ) ფიზიკური პირი;

გ) იურიდიული პირი;

დ) ყველა პასუხი სწორია.

70.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის თანახმად, ვინ არის პასუხისმგებელი სახელმწიფო ადმინისტრაციული ორგანოს, აგრეთვე მისი თანამდებობის პირის ან სხვა სახელმწიფო მოსამსახურის მიერ მისი სამსახურებრივი მოვალეობის განხორციელებისას მიყენებული ზიანისათვის?

ა) სახელმწიფო;

ბ) მხოლოდ ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანო;

გ) ზიანის მიმყენებელი თანამდებობის პირი;

დ) ადმინისტრაციული ორგანო და ზიანის მიმყენებელი სახელმწიფო მოსამსახურე.

71.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის თანახმად, საჯარო დაწესებულება ვალდებულია თუ არა არ გაახმაუროს პერსონალური მონაცემები, ინფორმაცია თვით ამ პირის თანხმობის ან კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში – სასამართლოს დასაბუთებული გადაწყვეტილების გარეშე?

ა) ვალდებულია გაახმაუროს და მას არ სჭირდება თვით ამ პირის თანხმობა, ან კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში –სასამართლოს დასაბუთებული გადაწყვეტილება;

ბ) არ არის ვალდებული;

გ) ვალდებულია გაახმაუროს თვით ამ პირის თანხმობით ან კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში – სასამართლოს დასაბუთებული გადაწყვეტილების საფუძველზე;

დ) ყველა პასუხი სწორია.

72.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის თანახმად, საჯარო დაწესებულება ვალდებულია თუ არა არ გაახმაუროს თანამდებობის პირთა (აგრეთვე თანამდებობაზე წარდგენილ კანდიდატთა) პერსონალური მონაცემები ამ პირთა თანხმობის ან კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში- სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე?

ა) არ არის ვალდებული;

ბ) ვალდებულია გაახმაუროს და მას არ სჭირდება თვით ამ პირთა თანხმობა, ან კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში –სასამართლოს დასაბუთებული გადაწყვეტილება;

გ) ვალდებულია გაახმაუროს მხოლოდ თვით ამ პირთა თანხმობისა და კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში \_ სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე;

დ) ყველა პასუხი სწორია.

73.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის თანახმად ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს ბათილად ცნობს:

ა) მხოლოდ სასამართლო;

ბ) საქართველოს იუსტიციის სამინისტრო;

გ) მისი გამომცემი ადმინისტრაციული ორგანო, ხოლო საჩივრის ან სარჩელის შემთხვევაში – ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანო ან სასამართლო;

დ) საქართველოს პარლამენტი.

74.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადების უფლება აქვს:

1. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს;

2. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს;

3. საქართველოს სახალხო დამცველს;

4. მხოლოდ სასამართლოს.

75.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის თანახმად, ოფიციალური დოკუმენტი (მათ შორის, ნახაზი, მაკეტი, გეგმა, სქემა, ფოტოსურათი, ელექტრონული ინფორმაცია, ვიდეო- და აუდიოჩანაწერები), ანუ საჯარო დაწესებულებაში დაცული, აგრეთვე საჯარო დაწესებულების ან მოსამსახურის მიერ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით მიღებული, დამუშავებული, შექმნილი ან გაგზავნილი ინფორმაცია არის:

ა) საიდუმლო ინფორმაცია;

ბ) საჯარო ინფორმაცია;

გ) ოფიციალური ინფორმაცია;

დ) არცერთი პასუხი არ არის სწორი.

76.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის თანახმად, საჯარო დაწესებულება ვალდებულია გასცეს საჯარო ინფორმაცია დაუყოვნებლივ ან არა უგვიანეს:

ა) 10 დღისა;

ბ) 15 დღისა;

გ) 20 დღისა;

დ) 30 დღისა.

77.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის თანახმად, საჯარო დაწესებულების უარი საჯარო ინფორმაციის გაცემაზე განმცხადებელს უნდა ეცნობოს:

ა) დაუყოვნებლივ;

ბ) არაუგვიანეს 5 დღისა;

გ) არაუგვიანეს 10 დღისა;

დ) არაუგვიანეს 20 დღისა.

78.

„ქ. თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად, გაუშენებელი ტერიტორიების ათვისება დაიშვება:

ა) განაშენიანებული ტერიტორიების ქალაქგანვითარების პოტენციალის ამოწურვის და/ან საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, საქართველოს კანონმდებლობითა და ამ წესებით განსაზღვრული პროცედურებით მიღებული ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტებით;

ბ) განაშენიანებული ტერიტორიების განვითარების პოტენციალის ამოწურვამდე ან სახელმწიფო ინტერესების აუცილებლობიდან გამომდინარე, საქართველოს კანონმდებლობითა და ამ წესებით განსაზღვრული პროცედურებით მიღებული საპროექტო დოკუმენტებით;

გ) გაუნაშენებელი ტერიტორიების გამოყენება დაუშვებელია საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულების გარეშე;

დ) არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

79.

„სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, განაშენიანების წესები ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტაციით დადგენილი ქალაქთმშენებლობითი ზონებისათვის, სამათლებრივად განსაზღვრავს:

ა) ამ ზონების ქალაქგეგმარებითი ცვლილებების შეტანის ვადას და წესს;

ბ) ამ ზონებში რეგისტრირებული მიწის ნაკვეთების უფლებრივ მდგომარეობას;

გ) ამ ზონების ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგლამენტებს;

დ) ყველა პასუხი სწორია.

80.

„სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, განაშენიანების რეგულირების გეგმა:

ა) აზუსტებს ცალკეული გეგმარებითი ერთეულების, განაშენიანების არქიტექტურულ-გეგმარებით და სივრცით-მოცულობით მახასიათებლებს, შენობების განთავსებას, მათ გეგმარებით პარამეტრებს;

ბ) აზუსტებს უძრავი კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და განვითარების ქალაქთმშენებლობით მახასიათებლებს, რელიეფის ორგანიზებას, ტერიტორიების კეთილმოწყობასა და გამწვანებას, საინჟინრო და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურით უზრუნველყოფას;

გ) ადგენს მიწათსარგებლობით ზონებს;

დ) ყველა პასუხი სწორია.

81.

„ქ. თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად, განაშენიანების რეგულირების ხაზი (წითელი ხაზი) არის მიწის ნაკვეთისათვის (ნაკვეთებისათვის) ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტით დადგენილი წარმოსახვითი მიჯნა:

ა) რომლიდან 3 მეტრში უნდა განთავსდეს შენობა-ნაგებობები;

ბ) რომლიდან 5 მეტრში უნდა განთავსდეს შენობა-ნაგებობები;

გ) რომლის მიღმაც უნდა განთავსდეს შენობა-ნაგებობები;

დ) არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

82.

„ქ. თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად, მიწის ნაკვეთის გამწვანების კოეფიციენტი არის:

ა) მიწის ნაკვეთის გამწვანებული ზედაპირის ფართობის შეფარდება მიწის ნაკვეთის ფართობთან მეთათედის სიზუსტით;

ბ) მიწის ნაკვეთის გამწვანებული ზედაპირის ფართობის შეფარდება გამწვანების სიმაღლესთან მეთათედის სიზუსტით;

გ) მიწის ნაკვეთის განაშენიანებული ზედაპირის ფართობის შეფარდება მიწის ნაკვეთზე არსებული მწვანე საფარის სიმაღლესთან მეთათედის სიზუსტით;

დ) არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

83.

„ქ. თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად, ზონის ფუნქცია ერთგვაროვანია, თუკი:

ა) მასზე განთავსებული ნაკვეთების ან ინფრასტრუქტურის მინიმუმ 50% გამოყენებულია იდენტური ფუნქციით;

ბ) მასზე განთავსებული ნაკვეთების ან ინფრასტრუქტურის მინიმუმ 75% გამოყენებულია იდენტური ფუნქციით;

გ) მასზე განთავსებული ნაკვეთების ან ინფრასტრუქტურის მინიმუმ 100% გამოყენებულია იდენტური ფუნქციით;

დ) ყველა პასუხი სწორია.

84.

„ქ. თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად, ზონის ფუნქცია შერეულია, თუკი:

ა) მის ტერიტორიაზე განთავსებული ნაკვეთების 25%-ზე მეტი გამოყენებულია განსხვავებული ფუნქციით;

ბ) მის ტერიტორიაზე განთავსებული ნაკვეთების 50%-ზე მეტი გამოყენებულია განსხვავებული ფუნქციით;

გ) მის ტერიტორიაზე განთავსებული ნაკვეთების 75%-ზე მეტი გამოყენებულია განსხვავებული ფუნქციით;

დ) არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

85.

მოცემულ მსჯელობათაგან რომელია სწორი?

„ქ. თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად, შეუსაბამო ობიექტი არის:

ა) მოძრავი დანადგარი, რომელიც შეესაბამება მოცემული ზონის რეგლამენტებს და მისი შესაბამისობის უზრუნველყოფა შესაძლებელია;

ბ) მიწის ნაკვეთი ან/და შენობა-ნაგებობა, რომელიც შეესაბამება მოცემული ზონის რეგლამენტებს;

გ) მიწის ნაკვეთი ან/და შენობა-ნაგებობა, რომელიც არ შეესაბამება მოცემული ზონის, ამ წესებით დადგენილ, რეგლამენტებს, და, ამასთან, პერესპექტივაში მისი შესაბამისობის უზრუნველყოფა შეუძლებელია;

დ) მიწის ნაკვეთი ან/და შენობა-ნაგებობა, რომელიც არ შეესაბამება მოცემული ზონის, ამ წესებით დადგენილ, რეგლამენტებს, და, ამასთან, პერესპექტივაში მისი შესაბამისობის უზრუნველყოფა შესაძლებელია.

86.

„ქ. თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად, გამწვანებული ტერიტორია არის:

ა) მიწის ნაკვეთი, რომლის ფართობის არანაკლებ 50%-სა დაკავებულია მცენარეული საფარით;

ბ) მიწის ნაკვეთი, რომლის ფართობის არანაკლებ 60%-სა დაკავებულია მცენარეული საფარით;

გ) მიწის ნაკვეთი, რომლის ფართობის არანაკლებ 70%-სა დაკავებულია მცენარეული საფარით;

დ) მიწის ნაკვეთი, რომლის ფართობის არანაკლებ 80%-სა დაკავებულია მცენარეული საფარით.

87.

„ქ. თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად, მოცემულ მსჯელობათაგან რომელია სწორი?

ა) მანსარდის სართული ითვლება სრულ სართულად, როდესაც მისი იატაკის ზედაპირის ფართობის 1/5-ის საშუალო სიმაღლე მანსარდის ჭერის კონსტრუქციის ქვედა ნიშნულამდე არის 2,0 მეტრი (მეათედის სიზუსტით) ან მეტი;

ბ) მანსარდის სართული ითვლება სრულ სართულად, როდესაც მისი იატაკის ზედაპირის ფართობის 3/4-ის საშუალო სიმაღლე მანსარდის ჭერის კონსტრუქციის ქვედა ნიშნულამდე არის 2,4 მეტრი (მეათედის სიზუსტით) ან მეტი;

გ) მანსარდის სართული ითვლება სრულ სართულად, როდესაც მისი იატაკის ზედაპირის ფართობის 4/5-ის საშუალო სიმაღლე მანსარდის ჭერის კონსტრუქციის ქვედა ნიშნულამდე არის 3,4 მეტრი (მეათედის სიზუსტით) ან მეტი;

დ) არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

88.

„ქ. თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად, მიწისზედა სართული არის:

ა) ასართული, რომლის იატაკის გეგმარებითი ნიშნულის მიწის ზედაპირიდან ამოწევის საშუალო სიმაღლე 1,0 მეტრი (მეათედის სიზუსტით) ან მეტია;

ბ) სართული, რომლის იატაკის გეგმარებითი ნიშნულის მიწის ზედაპირიდან ამოწევის საშუალო სიმაღლე 1,8 მეტრი (მეათედის სიზუსტით) ან მეტია;

გ) სართული, რომლის იატაკის გეგმარებითი ნიშნულის მიწის ზედაპირიდან ამოწევის საშუალო სიმაღლე 2,0 მეტრი (მეათედის სიზუსტით) ან მეტია;

დ) სართული, რომლის იატაკის გეგმარებითი ნიშნულის მიწის ზედაპირიდან ამოწევის საშუალო სიმაღლე 2,8 მეტრი (მეათედის სიზუსტით) ან მეტია.

89.

„ქ. თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად, ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად, „ჩარჩო გეგმა“ შეიძლება მოიცავდეს:

ა) მიწათსარგებლობის დაზუსტებულ ზონებს;

ბ) ძირითად სატრანსპორტო მაგისტრალებს;

გ) განაშენიანების რეგულირების ხაზებს;

დ) ყველა პასუხი სწორია.

90.

„ქ. თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად, განაშენიანების რეგულირების გეგმების გეგმარებითი დავალების \_ I ეტაპის დამტკიცების წარმოების ვადა შეადგენს:

- ა) არაუმეტეს 20 დღეს;
- ბ) არაუმეტეს 30 დღეს;
- გ) არაუმეტეს 40 დღეს;
- დ) არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

91.

„ქ. თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად, განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცება ხორციელდება:

- ა) ფორმალური ადმინისტრაციული წარმოებისათვის დადგენილი წესებით;
- ბ) მარტივი ადმინისტრაციული წარმოებისათვის დადგენილი წესებით;
- გ) საჯარო ადმინისტრაციული წარმოებისათვის დადგენილი წესებით;
- დ) არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

92.

„ქ. თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად, განაშენიანების K-1, განაშენიანების ინტენსივობის K-2 და გამწვანების K-3 კოეფიციენტები მრგვალდება:

- ა) მეთაუდის სიზუსტით;
- ბ) მეოცედის სიზუსტით;
- გ) ოცდამეთაუდის სიზუსტით;

დ) არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

93.

„ქ. თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად, სარეკრეაციო ზონა-1-ში შეიძლება განთავსდეს:

ა) განათება;

ბ) სარწყავი სისტემა;

გ) სარეკლამო ბილბორდი;

დ) ყველა პასუხი სწორია.

94.

„ქ. თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად, მრავალბინიან საცხოვრებელ სახლებზე, რომელთაც მიშენებების გამო დაკარგული აქვთ ერთიანი იერ-სახე, მიშენება შიდა ეზოს მხარეს ნებადართულია:

ა) ერთიანი პროექტის ფარგლებში;

ბ) ინდივიდუალურად;

გ) როგორც ერთიანი პროექტის ფარგლებში, ასევე ინდივიდუალურად;

დ) არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

95.

„ქ. თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად, მიშენება-დაშენება აკრძალულია ისეთ მრავალბინიან საცხოვრებელ სახლებზე:

ა) რომელთა სართულების სიმაღლე იატაკიდან ჭერამდე 2.7 მ-ზე ნაკლებია;

ბ) რომელთაც არ გააჩნიათ ლიფტი;

გ) რომელთა ექსპლუატაციის ვადა განსაზღვრულია მაქსიმუმ 50 წლამდე;

დ) ყველა პასუხი სწორია.

96.

„ქ. თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად, არსებული ზონების ცვლილება წარმოადგენს ცვლილებას, რომელიც ხორციელდება:

ა) სანებართვო დოკუმენტებში;

ბ) ქალაქთმშენებლობით დოკუმენტებში;

გ) საპროექტო დოკუმენტებში;

დ) ყველა პასუხი სწორია.

97.

„ქ. თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად, ჩამოყალიბებული განაშენიანების პირობებში, როდესაც კონკრეტული მიწის ნაკვეთ(ებ)ისათვის, ამ წესებით განსაზღვრული, რეგლამენტების დასადგენად არ არის აუცილებელი განაშენიანების რეგულირების გეგმების დამუშავება, ქალაქთმშენებლობითი პირობები - რეგლამენტები შეიძლება დადგინდეს:

ა) მიწის ნაკვეთ(ებ)ის პერიმეტრის 1000 მეტრის გარშემო მდებარე ტერიტორიის კვლევის საფუძველზე მიღებული არსებული მდგომარეობის შესაბამისად;

ბ) მიწის ნაკვეთ(ებ)ის პერიმეტრის 50 მეტრის გარშემო მდებარე ტერიტორიის კვლევის საფუძველზე მიღებული არსებული მდგომარეობის შესაბამისად;

გ) მიწის ნაკვეთ(ებ)ის პერიმეტრის 500 მეტრის გარშემო მდებარე ტერიტორიის კვლევის საფუძველზე მიღებული არსებული მდგომარეობის შესაბამისად;

დ) არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

98.

„ქ. თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად, მოცემულ მსჯელობათაგან რომელია სწორი?

ა) სტრუქტურულად ჩამოყალიბებული განაშენიანების ფარგლებში დასაშვებია 400 კვ.მ-მდე ტერიტორიის (გარდა საცხოვრებელი ფუნქციის მქონე შენობებისა) 50%-ით განაშენიანება ყველა სახის სტრუქტურული და ფუნქციური ზონისათვის;

ბ) სტრუქტურულად ჩამოყალიბებული განაშენიანების ფარგლებში დასაშვებია 300 კვ.მ-მდე ტერიტორიის (გარდა საცხოვრებელი ფუნქციის მქონე შენობებისა) 80%-ით განაშენიანება ყველა სახის სტრუქტურული და ფუნქციური ზონისათვის;

გ) სტრუქტურულად ჩამოყალიბებული განაშენიანების ფარგლებში დასაშვებია 200 კვ.მ-მდე ტერიტორიის (გარდა საცხოვრებელი ფუნქციის მქონე შენობებისა) 60%-ით განაშენიანება ყველა სახის სტრუქტურული და ფუნქციური ზონისათვის;

დ) სტრუქტურულად ჩამოყალიბებული განაშენიანების ფარგლებში დასაშვებია 100 კვ.მ-მდე ტერიტორიის (გარდა საცხოვრებელი ფუნქციის მქონე შენობებისა) 100%-ით განაშენიანება ყველა სახის სტრუქტურული და ფუნქციური ზონისათვის.

99.

„ქ. თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად, დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების საკითხთა კომისიის კომპეტენციას განეკუთვნება:

ა) შეუსაბამო უძრავი ობიექტების ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების საკითხებზე შესაბამისი მშენებლობის ნებართვის გამცემი ორგანოს მიერ მომზადებული დასკვნების განხილვა, დასაბუთებული წინადადებების მომზადება მათი მიზანშეწონილობის ან მიზანშეუწონლობის შესახებ;

ბ) ქალაქმშენებლობითი დოკუმენტების ან მათი ნაწილების დამტკიცების თაობაზე თვითმმართველობის გადაწყვეტილებების და/ან დასკვნების მომზადება;

გ) ქ. თბილისის მერისა და ქალაქ თბილისის საკრებულოსათვის დედაქალაქის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხებში რეგულარული მოხსენებების მომზადება და კონსულტაციების გაწევა;

დ) ყველა პასუხი სწორია.

100.

„ქ. თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად, დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების საკითხთა კომისიის დებულებას ამტკიცებს:

- ა) ქ. თბილისის მთავრობა;
- ბ) ქ. თბილისის მერი;
- გ) ქ. თბილისის საკრებულო;
- დ) არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

101.

„ქ. თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად, შეუსაბამო უძრავი ობიექტის ექსპლუატაცია იკრძალება იმ შემთხვევაში, თუ:

- ა) შეუსაბამოა საფრთხეს უქმნის ადამიანების სიცოცხლესა და ჯანმრთელობას;
- ბ) შეუსაბამოა საფრთხეს უქმნის ბუნებრივ ფასეულობებს;
- გ) შეუსაბამოა საფრთხეს უქმნის ისტორიულ-კულტურულ ღირებულებებს;
- დ) ყველა პასუხი სწორია.

102.

„ქ. თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად, შეუსაბამო უძრავი ობიექტის ნებისმიერი სახით გამოყენება საჭიროებს:

- ა) საქართველოს მთავრობასთან შეთანხმებას;
- ბ) ქ. თბილისის მთავრობასთან შეთანხმებას;
- გ) სპეციალურ ზონალურ შეთანხმებას;

დ) ქ. თბილისის საკრებულოს გარემოს დაცვის კომიტეტთან შეთანხმებას.

103.

„ქ. თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად, კერძო სერვიტუტები შესაძლებელია დადგენილ იქნეს მომიჯნავე მიწის ნაკვეთის ან უძრავი ქონების სხვა ობიექტის შეზღუდული სარგებლობის მიზნით, იმ შემთხვევაში, როდესაც არ არსებობს სხვა შესაძლებლობა და უზრუნველყოფილი უნდა იქნეს:

ა) შენობა-ნაგებობების მშენებლობა, რეკონსტრუქცია, რემონტი და ექსპლოატაცია;

ბ) საინჟინრო და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეკონსტრუქცია, რემონტი და ექსპლოატაცია;

გ) მისასვლელის მოწყობა, ასევე ტერიტორიების საინჟინრო მომზადება და დაცვა;

დ) ყველა პასუხი სწორია.

104.

„ქ. თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად, მიწის ნაკვეთზე შენობათა განთავსებისას და მათი მაქსიმალური სიმაღლეების განსაზღვრისას, როდესაც კონკრეტულ საკითხს არეგულირებს რამდენიმე ნორმა, უპირატესად მოქმედებს ის ნორმა:

ა) რომელიც უფრო მკაცრ შეზღუდვებს აწესებს;

ბ) რომელიც უფრო სუსტ შეზღუდვებს აწესებს;

გ) რომელიც უფრო მცირე შეზღუდვებს აწესებს;

დ) რომელიც უფრო დეტალურ შეზღუდვებს აწესებს.

105.

„ქ. თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13

გადაწყვეტილების თანახმად, მიწის ნაკვეთის განაშენიანების კოეფიციენტი კ-1 განსაზღვრავს:

ა) კონკრეტული მიწის ნაკვეთის ტერიტორიის მაქსიმუმ რა ნაწილზე დასაშვები შენობა-ნაგებობის განთავსება;

ბ) შენობა-ნაგებობის მოცულობას;

გ) შენობა-ნაგებობის მიწისპირა და მიწისზედა სრული სართულების, აგრეთვე სრულ სართულთან, ამ წესებით გათანაბრებული მანსარდის ან მისი ნაწილის იატაკის ძირითადი კონსტრუქციების ზედაპირების ჯამურ ფართობს;

დ) ყველა პასუხი სწორია.

106.

„ქ. თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად, მიწის ნაკვეთის განაშენიანების კოეფიციენტი კ-1 არის:

ა) შენობა-ნაგებობის მიწისპირა სართულის იატაკის ზედაპირის გარე პერიმეტრში მოქცეული ფართობის მიწის ნაკვეთის საერთო ფართობთან შეფარდების მაქსიმალური მაჩვენებელი;

ბ) შენობა-ნაგებობის მიწისქვეშა სართულის იატაკის ზედაპირის გარე პერიმეტრში მოქცეული ფართობის მიწის ნაკვეთის საერთო ფართობთან შეფარდების მაქსიმალური მაჩვენებელი;

გ) შენობა-ნაგებობის მიწისპირა სართულის იატაკის ზედაპირის გარე პერიმეტრში მოქცეული ფართობის მიწის ნაკვეთის საერთო ფართობთან შეფარდების მინიმალური მაჩვენებელი;

დ) არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

107.

„ქ. თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად, იმ შემთხვევაში, როდესაც შენობა-ნაგებობას არ გააჩნია მიწისპირა სართული მაშინ კ-1 კოეფიციენტი განისაზღვრება:

ა) პირველი მიწისზედა სართულის იატაკის ზედაპირის გარე პერიმეტრში მოქცეული ფართობის შეფარდებით მიწის ნაკვეთის ფართობთან;

ბ) მეორე მიწისზედა სართულის იატაკის ზედაპირის გარე პერიმეტრში მოქცეული ფართობის შეფარდებით მიწის ნაკვეთის ფართობთან;

გ) პირველი მიწისზედა სართულის იატაკის ზედაპირის შიდა პერიმეტრში მოქცეული ფართობის შეფარდებით მიწის ნაკვეთის ფართობთან;

დ) ასეთ შემთხვევაში კ-1 კოეფიციენტი არ განისაზღვრება.

108.

„ქ. თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად, მიწის ნაკვეთის განაშენიანების კოეფიციენტით განსაზღვრულ საანგარიშო ფართობში არ შედის:

ა) შენობა-ნაგებობის მიწისქვეშა სართულ(ებ)ი; დროებითი სამშენებლო ობიექტები; შენობათა გამჭირვალე წყალგაუმტარი მასალით გადახურული შიდა ეზოები, „ზამთრის ბალები“ და „პასაჟები“. შასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ერთსართულიანი შენობა-ნაგებობ(ებ)ი, მათ შორის სათბურები;

ბ) შენობა-ნაგებობის მიწისქვეშა სართულ(ებ)ი; დროებითი სამშენებლო ობიექტები;

გ) შენობა-ნაგებობის მიწისპირა სართულ(ებ)ი; კაპიტალური სამშენებლო ობიექტები; შენობათა გამჭირვალე წყალგაუმტარი მასალით გადახურული შიდა ეზოები, „ზამთრის ბალები“ და „პასაჟები“. შასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ერთსართულიანი შენობა-ნაგებობ(ებ)ი, მათ შორის სათბურები;

დ) არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

109.

„ქ. თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად, მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი კ-2 განსაზღვრავს:

ა) ცალკეულ ზონაში, კონკრეტული მიწის ნაკვეთის ტერიტორიაზე დასაშვებ, შენობა-ნაგებობის მიწისპირა და მიწისზედა სრული სართულების, აგრეთვე სრულ სართულთან, ამ წესებით გათანაბრებული მანსარდის ან მისი ნაწილის იატაკის ძირითადი კონსტრუქციების ზედაპირების ჯამური ფართობს;

ბ) ცალკეულ ზონაში, კონკრეტული მიწის ნაკვეთის ტერიტორიაზე დასაშვებ, შენობა-ნაგებობის მიწისპირა და მიწისზედა არასრული სართულების, აგრეთვე სრულ სართულთან, ამ წესებით გათანაბრებული მანსარდის ან მისი ნაწილის იატაკის ძირითადი კონსტრუქციების ზედაპირების ჯამური ფართობს;

გ) ცალკეულ ზონაში, კონკრეტული მიწის ნაკვეთის ტერიტორიაზე დასაშვებ, შენობა-ნაგებობის მიწისქვეშა სრული სართულების, აგრეთვე სრულ სართულთან, ამ წესებით გათანაბრებული მანსარდის ან მისი ნაწილის იატაკის ძირითადი კონსტრუქციების ზედაპირების ჯამური ფართობს;

დ) ყველა პასუხი სწორია.

110.

„ქ. თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად, მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი კ-2 არის:

ა) შენობა-ნაგებობის მიწისპირა და მიწისზედა არასრული სართულების იატაკის ძირითადი კონსტრუქციების ზედაპირების ჯამური ფართობის მიწის ნაკვეთის საერთო ფართობთან შეფარდების მინიმალური მაჩვენებელი;

ბ) შენობა-ნაგებობის მიწისპირა და მიწისზედა სრული სართულების იატაკის ძირითადი კონსტრუქციების ზედაპირების ჯამური ფართობის მიწის ნაკვეთის საერთო ფართობთან შეფარდების მაქსიმალური მაჩვენებელი;

გ) შენობა-ნაგებობის მიწისქვეშა სართულის იატაკის ზედაპირის გარე პერიმეტრში მოქცეული ფართობის მიწის ნაკვეთის საერთო ფართობთან შეფარდების მაქსიმალური მაჩვენებელი;

დ) შენობა-ნაგებობის მიწისპირა სართულის იატაკის ზედაპირის გარე პერიმეტრში მოქცეული ფართობის მიწის ნაკვეთის საერთო ფართობთან შეფარდების მაქსიმალური მაჩვენებელი.

111.

შენობა-ნაგებობის მიწისპირა და მიწისზედა სრული სართულების იატაკის ძირითადი კონსტრუქციების ზედაპირების ჯამური ფართობის, აგრეთვე სრულ სართულთან „ქ. თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების

დამტკიცების შესახებ~ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილებით დადგენილი წესებით გათანაბრებული მანსარდის ან მისი ნაწილის იატაკის ძირითადი კონსტრუქციების ზედაპირების ფართობი, იანგარიშება:

ა) შესაბამისი სართულის გარე კონტურის ზომებით, აივნებისა და ტერასების ფართობების გამოკლებით;

ბ) შესაბამისი სართულის გარე კონტურის ზომებით, აივნებისა და ტერასების ფართობების ჩათვლით;

გ) შესაბამისი სართულის გარე კონტურის ზომებით, აივნების ფართობების გამოკლებით;

დ) შესაბამისი სართულის გარე კონტურის ზომებით, ლოჯიის და ვერანდის ფართობების გამოკლებით.

112.

„ქ. თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ~ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად, ფანჯრების ფრთების/დარაბების (ბოლომდე გაღებულ მდგომარეობაში), შეჭრა დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც:

ა) ტროტუარის კიდის ვერტიკალურ წარმოსახვითი სიბრტყიდან ფანჯრამდე დარჩენილი, ბუნებრივი (ხე-ნარგავები, გაზონი) ან/და ხელოვნური (განათების ბოძი, მცირე არქიტექტურული ფორმები) წინაღობისაგან თავისუფალი, გასასვლელის სიგანე არის მინიმუმ 0.8 მ;

ბ) ტროტუარის კიდის ვერტიკალურ წარმოსახვითი სიბრტყიდან ფანჯრამდე დარჩენილი, ბუნებრივი (ხე-ნარგავები, გაზონი) ან/და ხელოვნური (განათების ბოძი, მცირე არქიტექტურული ფორმები) წინაღობისაგან თავისუფალი, გასასვლელის სიგანე არის მინიმუმ 0.6 მ;

გ) ტროტუარის კიდის ვერტიკალურ წარმოსახვითი სიბრტყიდან ფანჯრამდე დარჩენილი, ბუნებრივი (ხე-ნარგავები, გაზონი) ან/და ხელოვნური (განათების ბოძი, მცირე არქიტექტურული ფორმები) წინაღობისაგან თავისუფალი, გასასვლელის სიგანე არის მინიმუმ 1.5 მ;

დ) არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

113.

„ქ. თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად, დასაშვებია სამშენებლო მიწის ნაკვეთზე განთავსებულ შენობა-ნაგებობაში ჩასასვლელი კიბეების და ბუნებრივი განათების მოწყობა გრუნტის ზედაპირიდან:

ა) 1,5 მეტრ სიღრმემდე, ამასთანავე ტროტუარის კიდის ვერტიკალურ წარმოსახვითი სიბრტყიდან კიბეებამდე დარჩენილი, ბუნებრივი (ხე-ნარგავები, გაზონი) ან/და ხელოვნური (განათების ბოძი, მცირე არქიტექტურული ფორმები) წინაღობისაგან თავისუფალი, გასასვლელის სიგანე უნდა იყოს მინიმუმ 1.8 მ;

ბ) 2 მეტრ სიღრმემდე, ამასთანავე ტროტუარის კიდის ვერტიკალურ წარმოსახვითი სიბრტყიდან კიბეებამდე დარჩენილი, ბუნებრივი (ხე-ნარგავები, გაზონი) ან/და ხელოვნური (განათების ბოძი, მცირე არქიტექტურული ფორმები) წინაღობისაგან თავისუფალი, გასასვლელის სიგანე უნდა იყოს მინიმუმ 1.8 მ;

გ) 1,5 მეტრ სიღრმემდე, ამასთანავე ტროტუარის კიდის ვერტიკალურ წარმოსახვითი სიბრტყიდან კიბეებამდე დარჩენილი, ბუნებრივი (ხე-ნარგავები, გაზონი) ან/და ხელოვნური (განათების ბოძი, მცირე არქიტექტურული ფორმები) წინაღობისაგან თავისუფალი, გასასვლელის სიგანე უნდა იყოს მინიმუმ 2.5 მ;

დ) ყველა პასუხი სწორია.

114.

„მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად, რეკონსტრუქციისას, იმ შემთხვევაში, როდესაც შენობა-ნაგებობის კლასი იზრდება, კლასი განისაზღვრება:

ა) შენობა-ნაგებობის საბოლოო (სამშენებლო დოკუმენტით გათვალისწინებული) პარამეტრების მიხედვით;

ბ) შენობა-ნაგებობის არსებული პარამეტრების მიხედვით;

გ) შენობა-ნაგებობის კლასი არ განისაზღვრება;

დ) არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

115.

საქართველოს მთავრობის 2009 წლის 57 დადგენილებით დამტკიცებული „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების“ მე-19 მუხლის (შენობა-ნაგებობების კლასები მშენებლობის ნებართვის გაცემისა და ექსპლუატაციაში მიღებისათვის) მიზნებისათვის:

ა) შენობა-ნაგებობის სიმაღლე განისაზღვრება საძირკვლის ყველაზე დაბალი ნიშნულიდან: შენობის შემთხვევაში – შენობის საანგარიშო ზედაპირ(ებ)ის ყველაზე მაღალ ნიშნულამდე, ხოლო ნაგებობის შემთხვევაში – ნაგებობის ყველაზე მაღალ ნიშნულამდე;

ბ) შენობა-ნაგებობის სიმაღლე განისაზღვრება საძირკვლის ყველაზე მაღალი ნიშნულიდან: შენობის შემთხვევაში – შენობის საანგარიშო ზედაპირ(ებ)ის ყველაზე დაბალ ნიშნულამდე, ხოლო ნაგებობის შემთხვევაში – ნაგებობის ყველაზე მაღალ ნიშნულამდე;

გ) შენობა-ნაგებობის სიმაღლე განისაზღვრება საძირკვლის საშუალო ნიშნულიდან: შენობის შემთხვევაში – შენობის საანგარიშო ზედაპირ(ებ)ის ყველაზე მაღალ ნიშნულამდე, ხოლო ნაგებობის შემთხვევაში – ნაგებობის ყველაზე დაბალ ნიშნულამდე;

დ) ყველა პასუხი სწორია.

116.

„მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად, მშენებლობის ახალ ნებართვას არ საჭიროებს სამშენებლო დოკუმენტის შემდეგი დასაშვები ცვლილება:

ა) ექსტერიერის გაბარიტების ცვლილება არა უმეტეს 0.4 მეტრისა;

ბ) ექსტერიერის გაბარიტების ცვლილება არა უმეტეს 0.8 მეტრისა;

გ) ექსტერიერის გაბარიტების ცვლილება არა უმეტეს 0.6 მეტრისა;

დ) სამშენებლო დოკუმენტის ისეთი ცვლილება რაც ითვალისწინებს ექსტერიერის გაბარიტების ცვლილებას ყველა შემთხვევაში საჭიროებს მშენებლობის ახალ ნებართვას.

117.

„მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად, I კლასის შენობა-ნაგებობას განეკუთვნება:

- ა) 60 მ2-მდე სართულების იატაკის დონეებზე განაშენიანების ჯამური ფართობის, 7 მ-მდე სიმაღლისა და გრუნტის ზედაპირიდან საშუალოდ 2 მ-მდე ჩალრმავეების მქონე შენობა;
- ბ) 70 მ2-მდე სართულების იატაკის დონეებზე განაშენიანების ჯამური ფართობის, 5 მ-მდე სიმაღლისა და გრუნტის ზედაპირიდან საშუალოდ 2 მ-მდე ჩალრმავეების მქონე შენობა;
- გ) 60 მ2-მდე სართულების იატაკის დონეებზე განაშენიანების ჯამური ფართობის, 5 მ-მდე სიმაღლისა და გრუნტის ზედაპირიდან საშუალოდ 2 მ-მდე ჩალრმავეების მქონე შენობა;
- დ) 60 მ2-მდე სართულების იატაკის დონეებზე განაშენიანების ჯამური ფართობის, 5 მ-მდე სიმაღლისა და გრუნტის ზედაპირიდან საშუალოდ 4 მ-მდე ჩალრმავეების მქონე შენობა.

118.

„მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად, I კლასის შენობა-ნაგებობის მშენებლობას:

- ა) ესაჭიროება მშენებლობის ნებართვა;
- ბ) არ ესაჭიროება არც მშენებლობის ნებართვა და არც წერილობითი დადასტურება;
- გ) არ ესაჭიროება მშენებლობის ნებართვა;
- დ) არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

119.

„მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად, რეკონსტრუქცია შეიძლება იყოს შემდეგი სახის:

- ა) შენობა-ნაგებობის რეკონსტრუქცია;
  - ექსტერიერის რეკონსტრუქცია;
  - მზიდი ელემენტების რეკონსტრუქცია;
  - ქსელების რეკონსტრუქცია.
- ბ) შენობა-ნაგებობის რეკონსტრუქცია;

მზიდი ელემენტების რეკონსტრუქცია;

ქსელების რეკონსტრუქცია.

გ) შენობა-ნაგებობის რეკონსტრუქცია;

ექსტერიერის რეკონსტრუქცია;

რემონტი-შეკეთება, მოპირკეთება/აღჭურვა

ქსელების რეკონსტრუქცია.

დ) სწორია „ა“ და „გ“ ვარიანტები.

120.

„მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად, მშენებლობის ნებართვა გაცემა:

ა) ახალ მშენებლობაზე (მათ შორის მონტაჟზე);

რემონტ-შეკეთება, მოპირკეთება/აღჭურვაზე;

არსებული შენობა-ნაგებობის რეკონსტრუქციაზე;

არსებული შენობა-ნაგებობის დემონტაჟზე.

ბ) ახალ მშენებლობაზე (მათ შორის მონტაჟზე);

არსებული შენობა-ნაგებობის რეკონსტრუქციაზე;

არსებული შენობა-ნაგებობის დემონტაჟზე;

სამშენებლო დოკუმენტის ისეთ ცვლილებაზე, რომელიც არ საჭიროებს ახალ ნებართვას.

გ) ახალ მშენებლობაზე (მათ შორის მონტაჟზე);

არსებული შენობა-ნაგებობის რეკონსტრუქციაზე;

ლანდშაფტურ მშენებლობაზე;

არსებული შენობა-ნაგებობის დემონტაჟზე.

დ) ახალ მშენებლობაზე (მათ შორის მონტაჟზე)

არსებული შენობა-ნაგებობის რეკონსტრუქციაზე;

არსებული შენობა-ნაგებობის დემონტაჟზე;

სამშენებლო დოკუმენტის ისეთ ცვლილებაზე, რომელიც საჭიროებს ახალ ნებართვას.

121.

„მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების მიზნებისათვის შენობა-ნაგებობები და სამშენებლო სამუშაოები მშენებლობის ნებართვის გაცემისა და ექსპლუატაციაში მიღებისათვის იყოფა:

ა) 5 (ხუთ) კლასად;

ბ) 4 (ოთხ) კლასად;

გ) 3 (სამ) კლასად;

დ) არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

122.

ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილებით დამტკიცებული თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების VI თავის მიზნებისთვის სამშენებლო მიწის ნაკვეთის საზღვარი (საკადასტრო საზღვარი) არის 2 სახის:

ა) სამშენებლო მიწის ნაკვეთის საზოგადოებრივი საზღვარი;

სამშენებლო მიწის ნაკვეთის სამეზობლო საზღვარი.

ბ) სამშენებლო მიწის ნაკვეთის საზოგადოებრივი საზღვარი;

სამშენებლო მიწის ნაკვეთის საკარმიდამო საზღვარი.

გ) სამშენებლო მიწის ნაკვეთის სამეზობლო საზღვარი.

დ) ყველა პასუხი სწორია.

123.

„ქ. თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად, შენობის საანგარიშო ზედაპირის ან მისი ნაწილის განთავსება სამშენებლო მიწის ნაკვეთის მიჯნის ზონაში დასაშვებია სამეზობლო საზღვრის მხარეს:

ა) კარის, ფანჯრის, სამტრედეს და კედელში არსებული სხვა ღია ნაწილის, ასევე აივნის, ერკერის და სამტრედეს გარეშე. ეს პირობა არ ეხება ამ მუხლის მე-151; მე-16; მე-17 და მე-18 პუნქტებით განსაზღვრულ შემთხვევებს;

ბ) კარის, ფანჯრის, სამტრედეს და კედელში არსებული სხვა ღია ნაწილის, ასევე აივნის, ერკერის და სამტრედეს გარეშე;

გ) კარის, ფანჯრის, სამტრედეს და კედელში არსებული სხვა ღია ნაწილის, ასევე აივნის, ერკერის და სამტრედეს მოწყობით;

დ) კარის, ფანჯრის, სამტრედეს და კედელში არსებული სხვა ღია ნაწილის, ასევე აივნის, ერკერის და სამტრედეს გარეშე. ეს პირობა ასევე ეხება ამ მუხლის მე-151; მე-16; მე-17 და მე-18 პუნქტებით განსაზღვრულ შემთხვევებს.

124.

„ქ. თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად, სამეზობლო საზღვრიდან 5,0 მეტრამდე მანძილზე დაუშვებელია:

ა) შენობის ნაწილის კონსტრუქციად და მოსაპირკეთებლად წვადი სამშენებლო მასალების გამოყენება;

ბ) შენობის ნაწილის კონსტრუქციად და მოსაპირკეთებლად წვადი სამშენებლო მასალების გამოყენებლობა;

გ) სწორია „ა“ და „ბ“ ვარიანტები;

დ) შენობის ნაწილის კონსტრუქციად და მოსაპირკეთებლად ხის სამშენებლო მასალების გამოყენებლობა.

125.

„ქ. თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად, ნაკვეთის საზღვრიდან 3,0 მეტრზე ნაკლებ მანძილზე, მეზობლის მხარეს შეიძლება მოწყობილ იქნეს ღიობი: კარი, ფანჯარა, სამტრედე და კედელში არსებული სხვა ღია ნაწილი, ასევე აივანი, ერკერი და ტერასა, თუ:

ა) ამაზე მიღებული იქნება საჯარო რეესტრში რეგისტრირებული მეზობელი მიწის ნაკვეთის მესაკუთრის სანოტარო წესით დამოწმებული თანხმობა;

ბ) ამას გადაწყვეტს არქიტექტურული პროექტის ავტორი;

გ) ამაზე მიღებული არ იქნება საჯარო რეესტრში რეგისტრირებული მეზობელი მიწის ნაკვეთის მესაკუთრის სანოტარო წესით დამოწმებული თანხმობა;

დ) სწორია „ა“ და „ბ“ ვარიანტები.

126.

„მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად, თუ ერთ კონკრეტულ შენობა-ნაგებობას აქვს სხვადასხვა კლასის განმსაზღვრელი მახასიათებელი, მაშინ შენობა-ნაგებობის კლასს განსაზღვრავს:

ა) მისი ყველაზე დაბალი მახასიათებელი;

ბ) მისი ყველაზე საშუალო მახასიათებელი;

გ) მისი ყველაზე მაღალი მახასიათებელი;

დ) ყველა პასუხი სწორია.

127.

„მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად, მშენებლობის ნებართვის მოქმედების ვადის გაგრძელება შესაძლებელია იმ შემთხვევაში:

ა) თუ სამშენებლო ობიექტზე განხორციელებულია ისეთი სამშენებლო სამუშაოები, რომლებიც ამ დადგენილების შესაბამისად საჭიროებენ მშენებლობის ახალ ნებართვას;

ბ) თუ სამშენებლო ობიექტზე არ არის განხორციელებული ისეთი სამშენებლო სამუშაოები, რომლებიც ამ დადგენილების შესაბამისად საჭიროებენ მშენებლობის ახალ ნებართვას;

გ) თუ სამშენებლო ობიექტზე არ არის განხორციელებული სამშენებლო სამუშაოები;

დ) არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

128.

„მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად, თუ დამკვეთი ან მისი წარმომადგენელი მშენებლობის ნებართვის გამცემ შესაბამის ადმინისტრაციულ ორგანოს განცხადებით მიმართავს მშენებლობის ნებართვის ვადის გასვლის შემდეგ:

ა) მშენებლობის ნებართვის მოქმედების ვადის გაგრძელება დასაშვებია;

ბ) მშენებლობის ნებართვის მოქმედების ვადის გაგრძელება დაუშვებელია;

გ) მშენებლობის ნებართვის მოქმედების ვადის გაგრძელება დასაშვებია მხოლოდ 1 (ერთი) წლით;

დ) არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

129.

„მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად, იმ ტერიტორიაზე, სადაც არსებობს განაშენიანების რეგულირების გეგმა, მშენებლობის ნებართვის გასაცემად ამ დადგენილებით განსაზღვრული პირველი სტადიის გავლა (მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დამტკიცება) საჭირო არ არის და მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებს წარმოადგენს:

ა) შესაბამისი დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმა;

ბ) შესაბამისი მიწათსარგებლობის გენერალური გეგმა;

გ) შესაბამისი განაშენიანების რეგულირების გეგმა;

დ) ყველა პასუხი სწორია.

130.

„ქ. თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ~ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად, სპეციალური ზონალური შეთანხმება ითვალისწინებს:

ა) კონკრეტული მიწის ნაკვეთებისათვის განაშენიანებისა (კ-1) და განაშენიანების ინტენსიურობის (კ-2) კოეფიციენტების მაჩვენებლების გაზრდას, აგრეთვე გამოყენების ისეთი სახეობის დაშვებას, რომელნიც ამ წესების მოთხოვნებით საჭიროებენ სპეციალურ ზონალურ შეთანხმებას;

ბ) კონკრეტული მიწის ნაკვეთებისათვის განაშენიანებისა (კ-1) და განაშენიანების ინტენსიურობის (კ-2) კოეფიციენტების მაჩვენებლების გაზრდას, აგრეთვე გამოყენების ისეთი სახეობის დაშვებას, რომელნიც ამ წესების მოთხოვნებით არ საჭიროებენ სპეციალურ ზონალურ შეთანხმებას;

გ) კონკრეტული მიწის ნაკვეთებისათვის განაშენიანებისა (კ-1), განაშენიანების ინტენსიურობის (კ-2) და გამწვანების (კ-3) კოეფიციენტების მაჩვენებლების გაზრდას, აგრეთვე გამოყენების ისეთი სახეობის დაშვებას, რომელნიც ამ წესების მოთხოვნებით საჭიროებენ სპეციალურ ზონალურ შეთანხმებას;

დ) ყველა პასუხი სწორია.

131.

„მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ~ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად, მშენებლობის ახალ ნებართვას არ საჭიროებს სამშენებლო დოკუმენტის შემდეგ ცვლილება:

ა) ინტერიერის არამზიდი და თვითმზიდი კონსტრუქციული ელემენტების გადაადგილება/შეცვლა ან/და დამატება/მოკლება;

ბ) ინტერიერის მზიდი კონსტრუქციული ელემენტების გადაადგილება/შეცვლა ან/და დამატება/მოკლება;

გ) შენობა-ნაგებობის მიწისპირა ან/და მიწისქვეშა ნაწილის ჰორიზონტალური გადაადგილება გრუნტის ზედაპირთან მიმართებაში არა უმეტეს 3.0 მეტრისა;

დ) არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

132.

„მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად, თუ წარმოებული მშენებლობის შედეგად სამშენებლო დოკუმენტში განხორციელდა ცვლილებები, რაც საჭიროებს მშენებლობის ახალ ნებართვას, ან/და წარმოებულია უნებართვო მშენებლობა, რაც საჭიროებს მშენებლობის ახალ ნებართვას, ან/და წარმოებულია უნებართვო მშენებლობა, მშენებლობის ნებართვის გამცემი ორგანო უფლებამოსილია იმსჯელოს მშენებლობის ნებართვის გაცემის თაობაზე:

ა) დამრღვევის მიერ შესაბამისი დარღვევისათვის გამოცემული აქტისა და დაკისრებული ჯარიმის გადახდის ქვითრის წარდგენის შემდეგ, გარდა „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის“ 251-მუხლის, ამ დადგენილების 62-ე მუხლის პირველი პუნქტის „პ“ ქვეპუნქტითა და კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემთხვევებისას;

ბ) დამრღვევის მიერ შესაბამისი დარღვევისათვის გამოცემული აქტისა და დაკისრებული ჯარიმის გადახდის ქვითრის წარდგენის შემდეგ;

გ) ყველა შემთხვევაში;

დ) არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

133.

„ქ. თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად, სამშენებლო მიწის ნაკვეთზე შენობის მაქსიმალურად დასაშვები სიმაღლე უნდა განისაზღვროს:

ა) მისი საზოგადოებრივი საზღვრ(ებ)ის ან/და უკანა ეზოს მხრიდან (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

ბ) სამეზობლო საზღვრებიდან;

გ) სწორია „ა“ და „ბ“ ვარიანტები;

დ) ყველა პასუხი სწორია.

134.

„მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ~ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად, II სტადია – არქიტექტურულ-სამშენებლო პროექტის შეთანხმება (შემდგომში – არქიტექტურული პროექტის, კონსტრუქციული ან/და ტექნოლოგიური სქემის შეთანხმება) ადმინისტრაციული წარმოების ვადაა:

ა) არაუმეტეს 18 დღისა; IV კლასის შენობა-ნაგებობებისათვის, ბახმაროს, ბაკურიანის, გუდაურის და ურეკის სარეკრეაციო ტერიტორიებისათვის, აგრეთვე ისეთი ობიექტებისათვის, რომელთა საქმიანობა ექვემდებარება ეკოლოგიურ ექსპერტიზას და V კლასის შენობა-ნაგებობებისთვის – არაუმეტეს 20 დღისა;

ბ) არაუმეტეს 15 დღისა; IV კლასის შენობა-ნაგებობებისათვის, ბახმაროს, ბაკურიანის, გუდაურის და ურეკის სარეკრეაციო ტერიტორიებისათვის, აგრეთვე ისეთი ობიექტებისათვის, რომელთა საქმიანობა ექვემდებარება ეკოლოგიურ ექსპერტიზას და V კლასის შენობა-ნაგებობებისთვის – არაუმეტეს 18 დღისა;

გ) არაუმეტეს 15 სამუშაო დღისა; IV კლასის შენობა-ნაგებობებისათვის, ბახმაროს, ბაკურიანის, გუდაურის და ურეკის სარეკრეაციო ტერიტორიებისათვის, აგრეთვე ისეთი ობიექტებისათვის, რომელთა საქმიანობა ექვემდებარება ეკოლოგიურ ექსპერტიზას და V კლასის შენობა-ნაგებობებისთვის – არაუმეტეს 25 სამუშაო დღისა;

დ) არაუმეტეს 18 სამუშაო დღისა; IV კლასის შენობა-ნაგებობებისათვის, ბახმაროს, ბაკურიანის, გუდაურის და ურეკის სარეკრეაციო ტერიტორიებისათვის, აგრეთვე ისეთი ობიექტებისათვის, რომელთა საქმიანობა ექვემდებარება ეკოლოგიურ ექსპერტიზას და V კლასის შენობა-ნაგებობებისთვის – არაუმეტეს 20 სამუშაო დღისა.

135.

„მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ~ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად, III სტადია – მშენებლობის ნებართვის გაცემის ადმინისტრაციული წარმოების ვადაა:

ა) არაუმეტეს 15 სამუშაო დღისა, ხოლო V კლასის შენობა-ნაგებობებისათვის – არაუმეტეს 20 სამუშაო დღისა;

ბ) არაუმეტეს 5 სამუშაო დღისა, ხოლო V კლასის შენობა-ნაგებობებისთვის – არაუმეტეს 10 სამუშაო დღისა;

გ) არაუმეტეს 3 სამუშაო დღისა, ხოლო V კლასის შენობა-ნაგებობებისთვის – არაუმეტეს 5 სამუშაო დღისა;

დ) არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

136.

„მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად, დამკვეთი უფლებამოსილია, მშენებლობის ნებართვის მისაღებად, მშენებლობის ნებართვის გაცემის ზოგადი პროცედურისაგან განსხვავებით, აირჩიოს:

ა) სამ სტადიიანი ადმინისტრაციული წარმოება;

ბ) ერთ სტადიიანი ადმინისტრაციული წარმოება;

გ) ორ სტადიიანი ადმინისტრაციული წარმოება;

დ) ყველა პასუხი სწორია.

137.

განაშენიანების რეგულირების ხაზები (წითელი ხაზები) არის:

ა) მიწის ნაკვეთისათვის (ნაკვეთებისათვის) ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტით დადგენილი წარმოსახვითი მიჯნა, რომლის მიღმაც უნდა განთავსდეს შენობა-ნაგებობები;

ბ) მიწის ნაკვეთისათვის (ნაკვეთებისათვის) ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტით დადგენილი წარმოსახვითი მიჯნა, რომელზეც უნდა განთავსდეს შენობა-ნაგებობები;

გ) ხაზები რომელიც არ არის გასათვალისწინებლად სავალდებულო;

დ) არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

138.

„ქ. თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად, განაშენიანების სავალდებულო ხაზები (ლურჯი ხაზები) არის:

- ა) მიწის ნაკვეთისათვის (ნაკვეთებისათვის) ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტით დადგენილი წარმოსახვითი მიჯნა, რომლის მიღმაც უნდა განთავსდეს შენობა-ნაგებობები;
- ბ) მიწის ნაკვეთისათვის (ნაკვეთებისათვის) ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტით დადგენილი წარმოსახვითი მიჯნა, რომელზედაც უნდა განთავსდეს შენობა-ნაგებობები;
- გ) მიწის ნაკვეთის საკადასტრო საზღვრები;
- დ) არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

139.

მოქალაქემ განცხადებით მიმართა მშენებლობის ნებართვის გაცემაზე უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოს და მოითხოვა არქიტექტურული პროექტის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვის გაცემა. ადმინისტრაციულმა ორგანომ საკითხის შესწავლისას დაადგინა, რომ არქიტექტურული პროექტით მიჯნის ზონაში სამეზობლო საზღვრის მხარეს გათვალისწინებული იყო აივნის მოწყობა, ასევე დადგენილი იქნა, რომ აღნიშნულზე დამკვეთს ადმინისტრაციულ ორგანოში წარდგენილი ქონდა მეზობელი მიწის ნაკვეთის მოიჯარის სანოტარო წესით დამოწმებული თანხმობა. მითითებული გარემოებების გათვალისწინებით ადმინისტრაციულმა ორგანომ დააკმაყოფილა განმცხადებლის მოთხოვნა.

სწორად მოიქცა ადმინისტრაციული ორგანო?

ა) არა რადგან, ნაკვეთის საზღვრიდან 3,0 მეტრზე ნაკლებ მანძილზე, მეზობლის მხარეს შეიძლება მოწყობილ იქნეს ღიობი: კარი, ფანჯარა, სამტრედე და კედელში არსებული სხვა ღია ნაწილი, ასევე აივანი, ერკერი და ტერასა, თუამაზე მიღებული იქნება საჯარო რეესტრში რეგისტრირებული მეზობელი მიწის ნაკვეთის მესაკუთრის სანოტარო წესით დამოწმებული თანხმობა;

ბ) დიახ რადგან, ადმინისტრაციულ ორგანოში წარდგენილი იყო მეზობელი მიწის ნაკვეთის მოიჯარის სანოტარო წესით დადასტურებული თანხმობა;

გ) დიახ რადგან, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით მიჯნის ზონაში სამეზობლო საზღვრის მხარეს აივნის მოწყობა არ არის აკრძალული;

დ) სწორია „ა“ და „ბ“ ვარიანტები.

140.

მოქალაქე ა-მ-მ განცხადებით მიმართა მშენებლობის ნებართვის გაცემაზე უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოს და მოითხოვა არქიტექტურული პროექტის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვის გაცემა. ადმინისტრაციულმა ორგანომ საკითხის შესწავლისას დაადგინა, რომ არქიტექტურული პროექტის მიხედვით საპროექტო მიწის ნაკვეთზე შენობის განთავსება ხდებოდა სამეზობლო საზღვრიდან 4.0 (ოთხ) მეტრის მოშორებით, ამასთან, სამეზობლო საზღვრის მხარეს შენობის ნაწილის კონსტრუქციად გათვალისწინებული იყო წვადი სამშენებლო მასალის გამოყენება. ადმინისტრაციულმა ორგანომ მითითებული გარემოებების შეფასების შედეგად უარი უთხრა დამკვეთს მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე.

სწორად მოიქცა ადმინისტრაციული ორგანო?

ა) დიახ რადგან, სამეზობლო საზღვრიდან 5,0 მეტრამდე მანძილზე დაუშვებელია შენობის ნაწილის კონსტრუქციად და მოსაპირკეთებლად წვადი სამშენებლო მასალების გამოყენება;

ბ) არა რადგან, სამეზობლო საზღვრიდან 5,0 მეტრამდე მანძილზე დაუშვებელია შენობის ნაწილის კონსტრუქციად და მოსაპირკეთებლად წვადი სამშენებლო მასალების გამოყენებლობა;

გ) სწორია „ა“ და „ბ“ ვარიანტები;

დ) არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

141.

მოქალაქე კ-ა-მ განცხადებით მიმართა მშენებლობის ნებართვის გაცემაზე უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოს და მოითხოვა 62 მ2 სართულების იატაკის დონეებზე განაშენიანების ჯამური ფართობის, 5 მ-მდე სიმაღლისა და გრუნტის ზედაპირიდან საშუალოდ 3 მ-მდე ჩაღრმავების მქონე შენობის მშენებლობაზე წერილობითი დასტურის გაცემა. ადმინისტრაციულმა ორგანომ საკითხის შესწავლის შედეგად მიიჩნია, რომ სამშენებლო სამუშაოები განეკუთვნებოდა I კლასს და დააკმაყოფილა განმცხადებლის მოთხოვნა.

სწორად მოიქცა ადმინისტრაციული ორგანო?

ა) დიახ რადგან, I კლასის შენობა-ნაგებობას განეკუთვნება 62 მ2 სართულების იატაკის დონეებზე განაშენიანების ჯამური ფართობის, 5 მ-მდე სიმაღლისა და გრუნტის ზედაპირიდან საშუალოდ 3 მ-მდე ჩაღრმავების მქონე შენობა;

ბ) არა რადგან, I კლასის შენობა-ნაგებობას 70 მ2-მდე სართულების იატაკის დონეებზე განაშენიანების ჯამური ფართობის, 5 მ-მდე სიმაღლისა და გრუნტის ზედაპირიდან საშუალოდ 2 მ-მდე ჩაღრმავების მქონე შენობა;

გ) არა რადგან I კლასის შენობა-ნაგებობას განეკუთვნება, 60 მ2-მდე სართულების იატაკის დონეებზე განაშენიანების ჯამური ფართობის, 5 მ-მდე სიმაღლისა და გრუნტის ზედაპირიდან საშუალოდ 2 მ-მდე ჩაღრმავების მქონე შენობა;

დ) არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

142.

მოქალაქე გ-გ-მ განცხადებით მიმართა უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოს და მოითხოვა როგორც I კლასის შენობის მშენებლობაზე წერილობითი დასტურის გაცემა. ადმინისტრაციულმა ორგანომ საქმის გარემოებების შესწავლის და მასთან წარდგენილი დოკუმენტაციის შეფასების შედეგად დაადგინა, რომ ასაშენებელი შენობის პარამეტრები იყო შემდეგი: 50კვ.მ, სიმაღლე საძირკვლის ყველაზე დაბალი ნიშნულიდან შენობის საანგარიშო ზედაპირის ყველაზე მაღალ ნიშნულამდე 8,0 მეტრი, ხოლო გრუნტის ზედაპირიდან 5,5 მეტრი, ჩაღრმავება გრუნტის ზედაპირიდან 2,5 მეტრი.

ადმინისტრაციულმა ორგანომ აღნიშნული ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით უარი უთხრა განმცხადებელს მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე და განმარტა, რომ შენობა თავისი მახასიათებლებით განეკუთვნებოდა არა I კლასს არამედ, II კლასს.

სწორად მოიქცა ადმინისტრაციული ორგანო?

ა) არა რადგან, I კლასს განეკუთვნება 60 მ2-მდე სართულების იატაკის დონეებზე განაშენიანების ჯამური ფართობის, 5 მ-მდე სიმაღლისა და გრუნტის ზედაპირიდან საშუალოდ 2 მ-მდე ჩაღრმავების მქონე შენობა;

ბ) არა, რადგა განმცხადებელი ითხოვდა I კლასის და არა II კლასის შენობის მშენებლობაზე წერილობითი დასტურის გაცემას;

გ) დიახ რადგან, საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების თანახმად, თუ ერთ კონკრეტულ შენობა-ნაგებობას აქვს სხვადასხვა კლასის განმსაზღვრელი მახასიათებელი, მაშინ შენობა-ნაგებობის კლასს განსაზღვრავს მისი ყველაზე მაღალი მახასიათებელი;

დ) არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

143.

მოქალაქე ნ-ა-მ განცხადებით მიმართა მშენებლობის ნებართვის გაცემაზე უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოს და მოითხოვა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობაზე შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის კორექტირება (ორი სართულის დაშენებით) და მშენებლობის ნებართვის გაცემა. ადმინისტრაციულმა ორგანომ საქმის გარემოებების გამოკვლევის შედეგად დაადგინა, რომ შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის მიხედვით შენობა განეკუთვნებოდა III კლასს, ხოლო კორექტირებული არქიტექტურული პროექტით გათვალისწინებული სარეკონსტრუქციო სამუშაოების (ორი სართულის დაშენება) საფუძველზე შენობის კლასი იზრდებოდა და მისი საბოლოო მახასიათებელი ემთხვეოდა IV კლასის შენობის მახასიათებელს.

ადმინისტრაციულმა ორგანომ დააკმაყოფილა განმცხადებლის მოთხოვნა და მიუხედავად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებისა, ვინაიდან პირველი პროექტით შენობის კლასს წარმოადგენდა III კლასი, შენობის მახასიათებლად განსაზღვრა III კლასი.

სწორად მოიქცა ადმინისტრაციული ორგანო?

ა) არა რადგან, რეკონსტრუქციისას, იმ შემთხვევაში, როდესაც შენობა-ნაგებობის კლასი იზრდება, კლასი განისაზღვრება შენობა-ნაგებობის საბოლოო (სამშენებლო დოკუმენტით გათვალისწინებული) პარამეტრების მიხედვით;

ბ) კი რადგან შენობის კლასი უნდა განსაზღვრულიყო შენობა-ნაგებობის არსებული პარამეტრების მიხედვით;

გ) არა რადგან, შენობა-ნაგებობის კლასი ისაზღვრება ძირითადი პროექტის შეთანხმებისას და არა კორექტირებული პროექტის შეთანხმებისას;

დ) არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

144.

მოქალაქე გ-ა-მ განცხადებით მიმართა უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოს და მოითხოვა სამშენებლო სამუშაოების წარმოებაზე (შენობის ინტერიერში ტიხრების გადაადგილებაზე) წერილობითი დასტურის გაცემა. ადმინისტრაციულმა ორგანომ უარი უთხრა განმცხადებელს მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე და განუმარტა, რომ მის მიერ ჩასატარებელ სამშენებლო სამუშაოებზე არ გაიცემა არც მშენებლობის ნებართვა და არც წერილობითი დასტური. სწორად მოიქცა ადმინისტრაციული ორგანო?

ა) არა რადგან შენობის ინტერიერში ტიხრების გადაადგილება წარმოადგენს მზიდი ელემენტების რეკონსტრუქციას და მასზე გაიცემა მშენებლობის ნებართვა;

ბ) არა რადგან შენობის ინტერიერში ტიხრების გადაადგილება წარმოადგენს I კლასის სამშენებლო სამუშაოს და მასზე გაიცემა წერილობითი დასტური;

გ) დიახ რადგან შენობის ინტერიერში ტიხრების გადაადგილება წარმოადგენს რემონტ-შეკეთება, მოპირკეთება/აღჭურვას და მასზე არ გაიცემა არც მშენებლობის ნებართვა და არც წერილობითი დასტური;

დ) არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

145.

მოქალაქე ა-ნ-მა განცხადებით მიმართა უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოს და მოითხოვა არქიტექტურული პროექტის შეთანხმება. ადმინისტრაციულმა ორგანომ საკითხის შესწავლისას დაადგინა, რომ პროექტით მიჯნის ზონაში სამეზობლო საზღვრის მხარეს გათვალისწინებული იყო ფანჯრის ღიობის მოწყობა, ამასთან, ადმინისტრაციულმა ორგანომ დაადგინა, რომ სამეზობლო საზღვარზე მოწყობილი იყო ცეცხლგამძლე ყრუ საზიარო ღობე, ხოლო შესათანხმებელი არქიტექტურული პროექტის მიხედვით აღნიშნული ფანჯრის ღიობის ზედა ნიშნული ღობის ზედა ნიშნულზე 0,6 მეტრით დაბლა იყო გათვალისწინებული. ადმინისტრაციულმა ორგანომ მითითებული გარემოებების შეფასების შედეგად უარი უთხრა განმცხადებელს არქიტექტურული პროექტის შეთანხმებაზე და განუმარტა, რომ მიჯნის ზონაში სამეზობლო საზღვრის მხარეს დაუშვებელი იყო ღიობის მოწყობა.

სწორად მოიქცა ადმინისტრაციული ორგანო?

ა) არა რადგან, სამეზობლო საზღვარზე ცეცხლგამძლე ყრუ საზიარო ღობის ან მიწის ნაკვეთის ფარგლებში, მიჯნის ზონაში, ცეცხლგამძლე ყრუ ღობის არსებობის შემთხვევაში, შესაძლებელია მიჯნის ზონაში მდებარე შენობის კედელში ფანჯრის, კარის ან სხვა ღია ნაწილების მოწყობა იმ პირობით, რომ მათი ზედა ნიშნული იქნება ღობის ზედა ნიშნულზე 0,3 მ-ით დაბლა;

ბ) არა რადგან, სამეზობლო საზღვარზე წვადი სამშენებლო მასალებისაგან ნაშენი ყრუ საზიარო ღობის ან მიწის ნაკვეთის ფარგლებში, მიჯნის ზონაში, წვადი სამშენებლო მასალებისაგან ნაშენი ყრუ ღობის არსებობის შემთხვევაში, შესაძლებელია მიჯნის ზონაში მდებარე შენობის კედელში ფანჯრის, კარის ან სხვა ღია ნაწილების მოწყობა იმ პირობით, რომ მათი ზედა ნიშნული იქნება ღობის ზედა ნიშნულზე 0,6 მ-ით დაბლა;

გ) არა რადგან, სამეზობლო საზღვარზე ცეცხლგამძლე ყრუ საზიარო ღობის ან მიწის ნაკვეთის ფარგლებში, მიჯნის ზონაში, ცეცხლგამძლე ყრუ ღობის არსებობის შემთხვევაში, შესაძლებელია მიჯნის ზონაში მდებარე შენობის კედელში ფანჯრის, კარის ან სხვა ღია

ნაწილების მოწყობაიმ პირობით, რომ მათი ზედა ნიშნული იქნება ღობის ზედა ნიშნულზე 0,6 მ-ით დაბლა;

დ) დიახ რადგან მიჯნის ზონაში სამეზობლო საზღვრის მხარეს დაუშვებელია ღობების მოწყობა თუ ამაზე არ იქნება მიღებული საჯარო რეესტრში რეგისტრირებული მეზობელი მიწის ნაკვეთის მესაკუთრის სანოტარო წესით დამოწმებული თანხმობა.

146.

მოქალაქე გ-გ-მ განცხადებით მიმართა მშენებლობის ნებართვის გაცემაზე უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოს და მოითხოვა კორექტირებული არქიტექტურული პროექტის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვის გაცემა. ადმინისტრაციულმა ორგანომ საკითხის შესწავლის შედეგად დაადგინა, რომ ობიექტზე შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის დარღვევით ნაწარმოები იყო ისეთი სახის უნებართვო მშენებლობა რაც საჭიროებდა მშენებლობის ნებართვის თავიდან აღებას. აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით ადმინისტრაციულმა ორგანომ განმცხადებლის მოთხოვნა დააკმაყოფილა ნაწილობრივ, კერძოდ მხოლოდ არქიტექტურული პროექტის შეთანხმების ნაწილში, ხოლო მშენებლობის ნებართვის გაცემის ნაწილში განმცხადებელ დაუდგინა ხარჯი და დაავალა შესაბამისი დარღვევისათვის გამოცემული აქტისა და დაკისრებული ჯარიმის გადახდის ქვითრის წარდგენა.

სწორად მოიქცა ადმინისტრაციული ორგანო?

ა) დიახ რადგან, თუ წარმოებული მშენებლობის შედეგად სამშენებლო დოკუმენტში განხორციელდა ცვლილებები, რაც საჭიროებს მშენებლობის ახალ ნებართვას, ან/და წარმოებულია უნებართვო მშენებლობა, მშენებლობის ნებართვის გამცემი ორგანო უფლებამოსილია იმსჯელოს მშენებლობის ნებართვის გაცემის თაობაზე დამრღვევის მიერ შესაბამისი დარღვევისათვის გამოცემული აქტისა და დაკისრებული ჯარიმის გადახდის ქვითრის წარდგენის შემდეგ, გარდა „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის“ 251-მუხლის, ამ დადგენილების 62-ე მუხლის პირველი პუნქტის „პ“ ქვეპუნქტითა და კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემთხვევებისას;

ბ) დიახ რადგან, თუ წარმოებული მშენებლობის შედეგად სამშენებლო დოკუმენტში განხორციელდა ცვლილებები, რაც არ საჭიროებს მშენებლობის ახალ ნებართვას, ან/და არ არის წარმოებული უნებართვო მშენებლობა, მშენებლობის ნებართვის გამცემი ორგანო უფლებამოსილია იმსჯელოს მშენებლობის ნებართვის გაცემის თაობაზე დამრღვევის მიერ შესაბამისი დარღვევისათვის გამოცემული აქტისა და დაკისრებული ჯარიმის გადახდის ქვითრის წარდგენის შემდეგ, გარდა „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი

მიმოქცევის კოდექსის” 251-მუხლის, ამ დადგენილების 62-ე მუხლის პირველი პუნქტის „პ“ ქვეპუნქტითა და კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემთხვევებისას;

გ) არა რადგან თუ წარმოებული მშენებლობის შედეგად სამშენებლო დოკუმენტში განხორციელდა ცვლილებები, რაც არ საჭიროებს მშენებლობის ახალ ნებართვას, ან/და არ არის წარმოებული უნებართვო მშენებლობა ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია შეათანხმოს კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაცეს მშენებლობის ნებართვა;

დ) არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

147.

მოქალაქე დ-ი-მ განცხადებით მიმართა მშენებლობის ნებართვის გაცემაზე უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოს და მოითხოვა კორექტირებული არქიტექტურული პროექტის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვის გაცემა. ადმინისტრაციულმა ორგანომ საქმის გარემოებების გამოკვლევის შედეგად დაადგინა, რომ სამშენებლო ობიექტზე ნაწარმოები იყო შემდეგი სახის სამშენებლო სამუშაოები, ერთ ნაწილში ინტერიერის არამზიდი და თვითმზიდი კონსტრუქციული ელემენტების გადაადგილება, მეორეში დამატება, ხოლო მესამეში მოკლება. მითითებული გარემოებების შეფასების შედეგად ადმინისტრაციულმა ორგანომ მიიჩნია, რომ აღნიშნული სამშენებლო სამუშაოების შედეგად განხორციელდა სამშენებლო დოკუმენტის ცვლილება რაც საჭიროებდა შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის კორექტირებას და მშენებლობის ნებართვის თავიდან აღებას. აღნიშნულის გათვალისწინებით ადმინისტრაციულმა ორგანომ დააკმაყოფილა დამკვეთის მოთხოვნა, შეათანხმა კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაცა მშენებლობის ნებართვა.

სწორად მოიქცა ადმინისტრაციული ორგანო?

ა) არა რადგან, მშენებლობის ახალ ნებართვას არ საჭიროებს სამშენებლო დოკუმენტის ისეთი ცვლილება როგორცაა, ინტერიერის არამზიდი და თვითმზიდი კონსტრუქციული ელემენტების გადაადგილება/შეცვლა ან/და დამატება/მოკლება;

ბ) არა რადგან, თუ წარმოებული მშენებლობის შედეგად სამშენებლო დოკუმენტში განხორციელდა ცვლილებები, რაც საჭიროებს მშენებლობის ახალ ნებართვას, ან/და წარმოებულია უნებართვო მშენებლობა, მშენებლობის ნებართვის გამცემი ორგანო უფლებამოსილია იმსჯელოს მშენებლობის ნებართვის გაცემის თაობაზე დამრღვევის მიერ შესაბამისი დარღვევისათვის გამოცემული აქტისა და დაკისრებული ჯარიმის გადახდის ქვითრის წარდგენის შემდეგ, გარდა „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის” 251-მუხლის, ამ დადგენილების 62-ე მუხლის პირველი პუნქტის „პ“ ქვეპუნქტითა და კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემთხვევებისას;

გ) არა რადგან ნაწარმოები იყო I კლასის სამსენებლო სამუსაოები რაც არ საჭიროებს მშენებლობის ნებართვას და ადმინისტრაციულ ორგანოს უნდა გაეცა წერილობითი დასტური;

დ) არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

148.

მოქალაქე თ-მ-მ განცხადებით მიმართა მშენებლობის ნებართვის გაცემაზე უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოს და მოითხოვა არქიტექტურული პროექტის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვის გაცემა. ადმინისტრაციულმა ორგანომ დაადგინა, რომ საპროექტო მიწის ნაკვეთზე დამუშავებული იყო განაშენიანების რეგულირების გეგმა რომლითაც (განაშენიანების რეგულირების გეგმით) განსაზღვრული იყო ყველა ის პირობა, რაც საქართველოს მთავრობის 2009 წლის 57 დადგენილებით დამტკიცებული „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობებით მშენებლობის ნებართვის გაცემის პირველი სტადიით მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დამტკიცებისათვის იყო განსაზღვრული. ადმინისტრაციულმა ორგანომ მიუხედავად ამ გარემოებისა უარი უთხრა დამკვეთს განცხადების დაკმაყოფილებაზე და განმარტა, რომ არქიტექტურული პროექტის შეთანხმებამდე მას უნდა მოეთხოვა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა.

სწორად მოიქცა ადმინისტრაციული ორგანო?

ა) დიახ, რადგან საჭირო იყო მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა;

ბ) არა, რადგან საქართველოს მოქმედი კანონმდებლობა საერთოდ არ ითვალისწინებს მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენას;

გ) არა, რადგან როგორც მოცემული კაზუსიდან ჩანს, საქართველოს მთავრობის 2009 წლის 57 დადგენილებით დამტკიცებული „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების“ 38-ე მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრულ შემთხვევას ადგილი არ ჰქონია, ხოლო ასეთ შემთხვევაში, ამავე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, იმ ტერიტორიაზე, სადაც არსებობს განაშენიანების რეგულირების გეგმა, მშენებლობის ნებართვის გასაცემად ამ დადგენილებით განსაზღვრული პირველი სტადიის გავლა (მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დამტკიცება) საჭირო არ არის და მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებს წარმოადგენს, შესაბამისი განაშენიანების რეგულირების გეგმა;

დ) ყველა პასუხი სწორია.

149.

მოქალაქე გ-მ-მ განცხადებით მიმართა მშენებლობის ნებართვის გაცემაზე უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოს და მოითხოვა მშენებლობის ნებართვის მოქმედების ვადის გაგრძელება მას შემდეგ რაც, გასული იყო მშენებლობის ნებართვის ვადა. ადმინისტრაციულმა ორგანომ აღნიშნული საფუძვლის გათვალისწინებით უარი უთხრა განმცხადებელს მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე.

სწორად მოიქცა ადმინისტრაციული ორგანო?

ა) არა რადგან ამას არ აქვს მნიშვნელობა და მშენებლობის ნებართვის მოქმედების ვადის გაგრძელება დასაშვებია;

ბ) დიახ რადგან, თუ დამკვეთი ან მისი წარმომადგენელი მშენებლობის ნებართვის გამცემ შესაბამის ადმინისტრაციულ ორგანოს განცხადებით მიმართავს მშენებლობის ნებართვის ვადის გასვლის შემდეგ, მშენებლობის ნებართვის მოქმედების ვადის გაგრძელება დაუშვებელია;

გ) არა რადგან, ასეთ შემთხვევაში მშენებლობის ნებართვის მოქმედების ვადის გაგრძელება დასაშვებია მხოლოდ 1 (ერთი) წლით;

დ) არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

150.

მოქალაქე გ-მ-მ განცხადებით მიმართა მშენებლობის ნებართვის გაცემაზე უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოს და მოითხოვა მშენებლობის ნებართვის მოქმედების ვადის გაგრძელება. ადმინისტრაციულმა ორგანომ დაადგინა, რომ სამშენებლო ობიექტზე განხორციელებული იყო ისეთი სამშენებლო სამუშაოები რომლებიც საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების თანახმად საჭიროებდა მშენებლობის ახალ ნებართვას. ადმინისტრაციულმა ორგანომ აღნიშნულის მიუხედავად დააკმაყოფილა განმცხადებლის მოთხოვნა.

სწორად მოიქცა ადმინისტრაციული ორგანო?

ა) არა რადგან, მშენებლობის ნებართვა გაიცემა მშენებლობის განხორციელების დოკუმენტებში განსაზღვრული გონივრული ვადით და მისი გაგრძელება დაუშვებელია;

ბ) არა რადგან, საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების 57-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მშენებლობის ნებართვის მოქმედების ვადის

გაგრძელება შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ სამშენებლო ობიექტზე არ არის განხორციელებული ისეთი სამშენებლო სამუშაოები, რომლებიც ამ დადგენილების შესაბამისად საჭიროებენ მშენებლობის ახალ ნებართვას;

გ) დიახ რადგან ნებართვის ვადის გაგრძელება დაუშვებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ სამშენებლო ობიექტზე საერთოდ არ არის განხორციელებული სამშენებლო სამუშაოები;

დ) არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

151.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის შესაბამისად მოცემულ მსჯელობათაგან რომელი არის სწორი:

ა) თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, დამატებითი დოკუმენტის ან სხვა ინფორმაციის წარდგენის დაწესებული ვადა არ შეიძლება იყოს 10 დღეზე ნაკლები. ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია განმცხადებლის მოთხოვნით მხოლოდ ერთხელ, მაგრამ არა უმეტეს 5 დღით, გააგრძელოს დოკუმენტის ან სხვა ინფორმაციის წარდგენის ვადა;

ბ) თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, დამატებითი დოკუმენტის ან სხვა ინფორმაციის წარდგენის დაწესებული ვადა არ შეიძლება იყოს 7 დღეზე ნაკლები. ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია განმცხადებლის მოთხოვნით მხოლოდ ერთხელ, მაგრამ არა უმეტეს 15 დღით, გააგრძელოს დოკუმენტის ან სხვა ინფორმაციის წარდგენის ვადა;

გ) თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, დამატებითი დოკუმენტის ან სხვა ინფორმაციის წარდგენის დაწესებული ვადა არ შეიძლება იყოს 7 დღეზე ნაკლები. ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია განმცხადებლის მოთხოვნით მხოლოდ ერთხელ, მაგრამ არა უმეტეს 5 დღით, გააგრძელოს დოკუმენტის ან სხვა ინფორმაციის წარდგენის ვადა;

დ) თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, დამატებითი დოკუმენტის ან სხვა ინფორმაციის წარდგენის დაწესებული ვადა არ შეიძლება იყოს 5 დღეზე ნაკლები. ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია განმცხადებლის მოთხოვნით მხოლოდ ერთხელ, მაგრამ არა უმეტეს 15 დღით, გააგრძელოს დოკუმენტის ან სხვა ინფორმაციის წარდგენის ვადა.

152.

ადმინისტრაციულ ორგანოს მიმართა გიორგი გ-მ და მოითხოვა განცხადებაში მითითებული მოთხოვნის განმეორებით განხილვა, იმ საკითხზე, რომელზეც ადმინისტრაციულ ორგანოს ერთხელ უკვე ჰქონდა მიღებული გადაწყვეტილება მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ. ადმინისტრაციულმა ორგანომ, გამომდინარე იქედან, რომ გიორგი გ-ს ახლად აღმოჩენილი ან გამოვლენილი გარემოება არ წარმოუდგენია, მიიღო გადაწყვეტილება მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის თაობაზე. კანონიერია თუ არა ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილება?

ა) კანონიერია, რადგან ადმინისტრაციულ ორგანოს ჰქონდა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 102-ე მუხლის თანახმად, განმეორებით საკითხის არსებითად განხილვის უფლება;

ბ) უკანონოა, რადგან ამ შემთხვევაში ადმინისტრაციულ ორგანოს უნდა მიეღო გადაწყვეტილება განცხადების განხილვაზე უარის თქმის შესახებ;

გ) კანონიერია, რადგან ლეგალიზების თაობაზე განცხადების განმეორებით წარდგენისას აღნიშნულ საქმეზე მიღებული თავდაპირველი გადაწყვეტილება არ არის საკითხის განხილვის ხელის შემშლელი ფაქტორი;

დ) უკანონოა, რადგან ადმინისტრაციულ ორგანოს უნდა მიეღო გადაწყვეტილება თავდაპირველად გამოცემული აქტის ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე და დაენიშნა ზეპირი მოსმენა.

153.

მოქალაქე ჯიბლაძეს სასამართლოში აქვს დავა ქალაქ ბათუმის მერიის წინააღმდეგ ფულადი ვალდებულების შესრულებასთან დაკავშირებით. ჯიბლაძის საზღვარგარეთ ყოფნის გამო მის ინტერესებს სასამართლოში იცავდნენ წარმომადგენლები ზამთარაძე და ფუტყარაძე (აღსანიშნავია, რომ ორივე წარმომადგენელი სარგებლობს თანაბარი უფლებებით, მათ შორის უფლებით – საქმე დაამთავრონ მორიგებით). სასამართლოში საქმის განხილვის დროს მხარეებს შორის დაიწყო მორიგების თაობაზე მოლაპარაკება. მორიგ სასამართლო პროცესზე წარდგენილი იქნა მორიგების თაობაზე მხარეთა შორის დადებული შეთანხმება და მოითხოვეს სასამართლო წესით მისი დამტკიცება რა დროსაც ჯიბლაძის ერთ-ერთი წარმომადგენელი (ზამთარაძე) წინააღმდეგი წავიდა მორიგების დამტკიცებაზე, თუმცა ფუტყარაძე კატეგორიულად მოითხოვდა მის დამტკიცებას.

როგორ უნდა მოიქცეს სასამართლო?

ა) მორიგება უნდა დაამტკიცოს;

ბ) მორიგება არ უნდა დაამტკიცოს;

გ) მორიგება უნდა დაამტკიცოს მხოლოდ იმ ნაწილში, რაშიც ორივე წარმომადგენელს ერთი პოზიცია აქვთ და დანარჩენი ნაწილის დამტკიცებაზე უარი უნდა უთხრას;

დ) არცერთი პასუხი არ არის სწორი.

154.

ვაკე-საბურთალოს რაიონის გამგეობას მიმართა მოქალაქე ხუციბერიძემ და მოითხოვა მის უფლებამოსილებას მიკუთვნებულ საკითხზე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა. გამგეობის მიერ დაკმაყოფილდა განმცხადებლის მოთხოვნა და გამოსცა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, სადაც ასევე მიუთითა, რომ განმცხადებელი ვალდებული იყო აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში შეესრულებინა ადმინისტრაციული ორგანოს დავალება, კერძოდ წარმოედგინა გარკვეული სახის დოკუმენტაცია, წინააღმდეგ შემთხვევაში მის მიმართ გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ჩაითვლებოდა ძალადაკარგულად მისი ძალაში შესვლიდან წარმოშობილი სამართლებრივი შედეგებით. განმცხადებელმა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დადგენილი ვალდებულება მიცემულ ვადაში არ შეასრულა, რის გამოც ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამგეობის მიერ გამოცხადდა ძალადაკარგულად მისი ძალაში შესვლიდან წარმოშობილი სამართლებრივი შედეგებით.

რამდენად კანონშესაბამისია ადმინისტრაციული ორგანოს ქმედება?

ა) უკანონოა, ვინაიდან ადმინისტრაციულ ორგანოს ძალაში შესვლიდან წარმოშობილი სამართლებრივი შედეგებით ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადების კი არა ბათილად ცნობის საფუძველი ჰქონდა;

ბ) უკანონოა, ვინაიდან საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის თანახმად ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადება არ იწვევს ძალადაკარგულად გამოცხადებამდე წარმოშობილი სამართლებრივი შედეგების გაუქმებას;

გ) კანონიერია, ვინაიდან მოქმედი კანონმდებლობიდან კამომდინარე ადმინისტრაციულ ორგანოს ამის უფლება ჰქონდა;

დ) უკანონოა, ვინაიდან ადმინისტრაციული ორგანო უნდა დაბრუნებოდა პირველადი განცხადების განხილვას და იგი დაეტოვებინა განუხილველად.

155.

სამოქალაქო საქმეზე კანონიერ ძალაში შესული პირველი ინსტანციის სასამართლოს 2000 წლის გადაწყვეტილებით ნინო ბ-ს სავინდიკაციო სარჩელი დაკმაყოფილდა ზვიად ნ-ს უკანონო მფლობელობიდან ნივთის (ავტომანქანის) გამოთხოვნის შესახებ. ნინო ბ-მ 2005 წელს მიმართა თბილისის სააღსრულებო ბიუროს და მოითხოვა 2000 წელს გაცემული სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე იძულებითი აღსრულების განხორციელება. სააღსრულებო ბიურომ ნინო ბ-ს უარი უთხრა აღსრულების განხორციელებაზე, სასამართლოს გადაწყვეტილებით დადასტურებული მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო.

კანონიერია თუ არა სააღსრულებო ბიუროს გადაწყვეტილება?

ა) უკანონოა, რადგან უძრავ ნივთებთან დაკავშირებულ მოთხოვნებზე ხანდაზმულობის ვადა 6 წელს შეადგენს, რაც ამ კონკრეტულ შემთხვევაში გასული არ იყო;

ბ) კანონიერია, რადგან მოძრავ ნივთებთან დაკავშირებულ მოთხოვნებზე ხანდაზმულობის ვადა 3 წელს შეადგენს, რაც ამ კონკრეტულ შემთხვევაში გასული იყო;

გ) უკანონოა, რადგან სასამართლოს გადაწყვეტილებით დადასტურებული მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა 10 წელს შეადგენს, რაც ამ კონკრეტულ შემთხვევაში გასული არ იყო;

დ) არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

156.

ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელია ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი?

ა) უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება;

ბ) პროკურორის მიერ მიღებული დადგენილება;

გ) საერთაშორისო ხელშეკრულება;

დ) მინისტრის ბრძანება.

157.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის შესაბამისად, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, კოლევგიური ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მიღებისას გამოიყენება:

- ა) საჯარო ადმინისტრაციული წარმოებისათვის დადგენილი წესები;
- ბ) ფორმალური ადმინისტრაციული წარმოებისათვის დადგენილი წესები;
- გ) მარტივი ადმინისტრაციული წარმოებისათვის დადგენილი წესები;
- დ) ყველა ზემოაღნიშნული ადმინისტრაციული წარმოებისათვის დადგენილი წესები.

158.

ადმინისტრაციულმა ორგანომ გამოსცა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რომელიც, როგორც შემდგომ გაირკვა, ვერ შესრულდება ფაქტობრივი მიზეზების გამო.

ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამომცემმა ორგანომ ბათილად ცნო მის მიერ გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი.

ჰქონდა თუ არა უფლება ადმინისტრაციულ ორგანოს ბათილად ეცნო მის მიერ გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი?

- ა) არა აქვს, ვინაიდან ასეთ შემთხვევაში ხდება აქტის არარად აღიარება;
- ბ) არ აქვს, ვინაიდან ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს ბათილად ცნობს მხოლოდ შემდგომი ადმინისტრაციული ორგანო;
- გ) დიახ, ნებისმიერ ადმინისტრაციულ ორგანოს უფლება აქვს ძალადაკარგულად გამოაცხადოს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი;
- დ) არა აქვს, ვინაიდან ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს ბათილად ცნობს მხოლოდ სასამართლო.

159.

სააპელაციო ან საკასაციო წესით საქმის განხილვისას სარჩელის გამოხმობის დაკმაყოფილების შემთხვევაში:

- ა) სასამართლო ბათილად ცნობს ქვედა ინსტანციის სასამართლოების გადაწყვეტილებებს;
- ბ) სასამართლო აუქმებს ქვედა ინსტანციის სასამართლოების გადაწყვეტილებებს;
- გ) სასამართლო ძალაში ტოვებს ქვედა ინსტანციის სასამართლოების გადაწყვეტილებებს;
- დ) სასამართლო აღსასრულებლად მიაქცევს ქვედა ინსტანციის სასამართლოების გადაწყვეტილებებს.

160.

მოსამართლე ვალდებულია გამოიტანოს განჩინება სარჩელის მიღების შესახებ:

- ა) სარჩელის დასაშვებობის შემოწმებიდან 7 დღის განმავლობაში;
- ბ) სარჩელზე ხარვეზის აღმოფხვრიდან 3 დღის განმავლობაში;
- გ) სარჩელის ჩაბარებიდან 5 დღის განმავლობაში;
- დ) არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

161.

თბილისის არქიტექტურის სამსახურმა სარჩელი შეიტანა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში ზვიად ბ-სათვის გაცემული მშენებლობის ნებართვისა და პროექტის შეთანხმების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობის თაობაზე. სასამართლომ დაუშვებლობის მოტივით უარი უთხრა თბილისის არქიტექტურის სამსახურს სარჩელის განსახილველად დაშვებაზე. კანონიერია თუ არა სასამართლოს გადაწყვეტილება?

- ა) კანონიერია, რადგან სასამართლოს ჰქონდა ამის უფლება;
- ბ) უკანონოა, რადგან სახეზე არ იყო საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლით გათვალისწინებული დაუშვებლობის შემთხვევა;
- გ) კანონიერია, სასამართლოს ჰქონდა ამის უფლება, რადგან საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის თანახმად, მშენებლობის ნებართვისა და პროექტის

შეთანხმების შესახებ ბრძანება არ წარმოადგენს ადმინისტრაციულ აქტებს და დაუშვებელია მათი ბათილად ცნობა;

დ) არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

162.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის შესაბამისად განცხადებაზე ხელმოწერი პირები ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დადგენილ ვადაში ნიშნავენ ერთ წარმომადგენელს:

ა) თუ განცხადება შეიტანა 20-ზე მეტმა პირმა;

ბ) თუ განცხადება შეიტანა 25-ზე მეტმა პირმა;

გ) თუ განცხადება შეიტანა 50-ზე მეტმა პირმა;

დ) თუ განცხადება შეიტანა 75-ზე მეტმა პირმა.

163.

“ქ. თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ” ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 24 მარტის #4-13 გადაწყვეტილების შესაბამისად, მიწის ნაკვეთის განაშენიანებული ზედაპირის ფართობის შეფარდება მიწის ნაკვეთის ფართობთან მეთოდის სიზუსტით არის:

ა) მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი;

ბ) მიწის ნაკვეთის განაშენიანების რეგულირების კოეფიციენტი;

გ) მიწის ნაკვეთის განაშენიანების კოეფიციენტი;

დ) არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

164.

“ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ” საქართველოს კანონის შესაბამისად, ნებართვის გაცემის, მის გაცემაზე უარის თქმის ან მისი გაუქმების შესახებ გადაწყვეტილება შეჩერდება:

ა) სასამართლოში მისი გასაჩივრებისთანავე;

- ბ) ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში მისი გასაჩივრებისთანავე;
- გ) საკონსტიტუციო სასამართლოში მისი გასაჩივრების შემთხვევაში;
- დ) არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

165.

“სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ” საქართველოს კანონის თანახმად დასახლების მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმას ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოს წარდგინებით ამტკიცებს:

- ა) გამგეობა;
- ბ) ეკონომიკის სამინისტრო;
- გ) თბილისის მერია;
- დ) საკრებულო.

166.

“სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ” საქართველოს კანონის შესაბამისად თუ მიწათსარგებლობის გენერალური გეგმა არ მოქმედებს ან შემუშავების სტადიაზეა, ქალაქთმშენებლობითი პროცესი შეიძლება დარეგულირდეს:

- ა) კარტოგრაფიული გეგმებით;
- ბ) უფლებრივი ზონირების რუკებით;
- გ) აეროფოტოგადაღებებით;
- დ) ტოპოგრაფიული რუკებით.

167.

საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისად მხოლოდ საქართველოს უმაღლეს სახელმწიფო ორგანოთა განსაკუთრებულ გამგებლობას მიეკუთვნება შემდეგი ფუნქციები:

- ა) სტანდარტები და ეტალონები;

ბ) გეოდეზია და კარტოგრაფია;

გ) სახელმწიფო სტატისტიკა;

დ) ყველა პასუხი სწორია;

168.

საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისად მოცემულ მსჯელობათაგან რომელია სწორი?

ა) პრეზიდენტად შეიძლება აირჩეს საარჩევნო უფლების მქონე საქართველოს მოქალაქე 35 წლის ასაკიდან, რომელსაც საქართველოში უცხოვრია 5 წელს მაინც და არჩევნების დანიშვნის დღემდე ბოლო 3 წლის განმავლობაში ცხოვრობდა საქართველოში;

ბ) პრეზიდენტად შეიძლება აირჩეს საარჩევნო უფლების მქონე საქართველოს მოქალაქე 30 წლის ასაკიდან, რომელსაც საქართველოში უცხოვრია 4 წელს მაინც და არჩევნების დანიშვნის დღემდე ბოლო 2 წლის განმავლობაში ცხოვრობდა საქართველოში;

გ) პრეზიდენტად შეიძლება აირჩეს საარჩევნო უფლების მქონე საქართველოს მოქალაქე 40 წლის ასაკიდან, რომელსაც საქართველოში უცხოვრია 7 წელს მაინც და არჩევნების დანიშვნის დღემდე ბოლო 5 წლის განმავლობაში ცხოვრობდა საქართველოში;

დ) პრეზიდენტად შეიძლება აირჩეს საარჩევნო უფლების მქონე საქართველოს მოქალაქე 45 წლის ასაკიდან, რომელსაც საქართველოში უცხოვრია 4 წელს მაინც და არჩევნების დანიშვნის დღემდე ბოლო 2 წლის განმავლობაში ცხოვრობდა საქართველოში.

169.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო შედგება:

ა) 6 მოსამართლისაგან;

ბ) 9 მოსამართლისაგან;

გ) 12 მოსამართლისაგან;

დ) 15 მოსამართლისაგან.

170.

საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისად ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოები ანგარიშვალდებული არიან:

- ა) პრემიერ-მინისტრის წინაშე;
- ბ) პრეზიდენტის წინაშე;
- გ) პარლამენტის წინაშე;
- დ) ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოების წინაშე.

171.

ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 5 ივნისის #6-17 გადაწყვეტილებით დამტკიცებული დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმა არის:

- ა) ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი;
- ბ) ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი;
- გ) აღმჭურველი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი;
- დ) არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

172.

“ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის ელექტრონული საქმისწარმოების წესის დამტკიცების თაობაზე” ქ. თბილისის მთავრობის 2012 წლის 13 თებერვლის #05.03.112 დადგენილების შესაბამისად

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის საშუალებით გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ან/და სხვა ელექტრონული დოკუმენტი შეიძლება არ შეიცავდეს:

- ა) ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის დასაბუთებას;
- ბ) ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრების წესსა და ვადებს;

გ) ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ნომერს და გამოცემის თარიღს;

დ) ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამომცემი თანამდებობის პირის გვარს, სახელს და ხელმოწერას.

173.

“საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ” საქართველოს კანონის შესაბამისად საავტორო უფლება წარმოიშობა ნაწარმოების შექმნისთანავე და მოქმედებს ავტორის სიცოცხლეში და მისი გარდაცვალების შემდეგ:

- ა) 70 წლის განმავლობაში;
- ბ) 60 წლის განმავლობაში;
- გ) 50 წლის განმავლობაში;
- დ) 40 წლის განმავლობაში.

174.

“საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ” საქართველოს კანონის თანახმად, ნაწარმოების ავტორის არაქონებრივი უფლება – ნება დართოს სხვა პირებს, შეიტანონ ცვლილებები როგორც თვით ნაწარმოებში, ისე მის სახელწოდებაში (სათაურში) და ავტორის სახელში, აგრეთვე წინ აღუდგეს მისი თანხმობის გარეშე ნაწარმოებში ცვლილებების შეტანას (ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლება) ავტორს ეკუთვნის:

- ა) ქონებრივი უფლებასთან ერთად და შეიძლება გასხვისდეს;
- ბ) ქონებრივი უფლებისგან დამოუკიდებლად და შეიძლება გასხვისდეს;
- გ) ქონებრივი უფლებებისგან დამოუკიდებლად და ნარჩუნდება ამ უფლებების დათმობის შემთხვევაშიც;
- დ) არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

175.

“რეკლამის შესახებ” საქართველოს კანონის თანახმად, გარე რეკლამის განთავსების სანებართვო რეგულირების შემოღების თაობაზე გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში ნებართვას გასცემს:

- ა) შესაბამისი ტერიტორიული ერთეულის გუბერნატორი;
- ბ) შესაბამისი ტერიტორიული ერთეულის წარმომადგენლობითი ორგანო;
- გ) ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის აღმასრულებელი ორგანო (ქ. თბილისში – მერია);
- დ) ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკანონმდებლო ორგანო.

176.

“ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ” საქართველოს კანონის თანახმად ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა არის:

- ა) ერთბინიან სახლში მდებარე საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი, მათ შორის, კომერციული მიზნებისათვის გამოყენებული ფართობის მესაკუთრეთა გაერთიანება;
- ბ) ინდივიდუალურ საცხოვრებელ სახლში მდებარე საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი, მათ შორის, კომერციული მიზნებისათვის გამოყენებული ფართობის მესაკუთრეთა გაერთიანება;
- გ) მრავალბინიან სახლში მდებარე საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი, მათ შორის, კომერციული მიზნებისათვის გამოყენებული ფართობის მესაკუთრეთა გაერთიანება;
- დ) ინდივიდუალურ ერთბინიან სახლში მდებარე საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი, მათ შორის, კომერციული მიზნებისათვის გამოყენებული ფართობის მესაკუთრეთა გაერთიანება.

177.

“ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრთა საერთო ქონებაში შემავალი მიწის ნაკვეთების საზღვრების დადგენის წესის დამტკიცების თაობაზე” საქართველოს მთავრობის 2010 წლის 25 აგვისტოს #261 დადგენილების შესაბამისად, რამდენი პროცენტით არის შესაძლებელი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლისათვის მიწის ნაკვეთის საზღვრების დადგენისას, მისაკუთვნებელი ნორმატიული ფართობის გაზრდა ამ ნაკვეთის მიმდებარედ განთავსებულ,

საზღვრების პროექტით განსაზღვრული მცირე ზომის მიწის ნაკვეთ(ებ)ის ხარჯზე, რომლის გამოყენება ცალკე საკადასტრო ერთეულად შეუძლებელია?

- ა) 40 %-ით;
- ბ) 30 %-ით;
- გ) 20 %-ით;
- დ) 10 %-ით.

178.

“კულტურული მემკვიდრეობის შესახებ” საქართველოს კანონის შესაბამისად კულტურული მემკვიდრეობის ძეგლზე სამუშაოებისა და არქეოლოგიური სამუშაოების ნებართვებს გასცემს:

- ა) კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო ან სამინისტროს წარდგინებით, საქართველოს მთავრობის დადგენილების საფუძველზე განსაზღვრული შესაბამისი უფლებამოსილი ორგანო;
- ბ) ეკონომიკის სამინისტრო ან სამინისტროს წარდგინებით, საქართველოს მთავრობის დადგენილების საფუძველზე განსაზღვრული შესაბამისი უფლებამოსილი ორგანო;
- გ) გარემოს დაცვის სამინისტრო ან სამინისტროს წარდგინებით, საქართველოს მთავრობის დადგენილების საფუძველზე განსაზღვრული შესაბამისი უფლებამოსილი ორგანო;
- დ) სოფლის მეურნეობის სამინისტრო ან სამინისტროს წარდგინებით, საქართველოს მთავრობის დადგენილების საფუძველზე განსაზღვრული შესაბამისი უფლებამოსილი ორგანო.

179.

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის შექმნისა და მისი წესდების (დებულების) დამტკიცების შესახებ ქალაქ თბილისის მთავრობის 2008 წლის 22 დეკემბრის # 24.16.832 დადგენილების შესაბამისად ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი \_ ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის მაკონტროლებელი ორგანოა:

- ა) საქართველოს მთავრობა;
- ბ) საქართველოს პრემიერ მინისტრი;

გ) ქ. თბილისის საკრებულო;

დ) ქ. თბილისის მთავრობა.

180.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის შესაბამისად, ადმინისტრაციული ორგანოს დაპირების მიმართ კანონიერი ნდობა არ შეიძლება არსებობდეს, თუ:

ა) მას საფუძვლად უდევს დაინტერესებული მხარის უსამართლო ქმედება;

ბ) მას საფუძვლად უდევს დაინტერესებული მხარის უკანონო ქმედება;

გ) მას საფუძვლად უდევს დაინტერესებული მხარის უსაფუძვლო ქმედება;

დ) მას საფუძვლად უდევს დაინტერესებული მხარის უპირობო ქმედება;

181.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის შესაბამისად, ადმინისტრაციული ორგანო განცხადებას ადმინისტრაციულ წარმოებაში გაშვებული ვადის აღდგენის შესახებ განიხილავს:

ა) 5 დღის ვადაში;

ბ) 7 დღის ვადაში;

გ) 10 დღის ვადაში;

დ) არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

182.

“მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების შესაბამისად მშენებლობის ნებართვის ვადის დინება იწყება:

ა) მშენებლობის ნებართვის რეგისტრაციის თარიღიდან;

ბ) მშენებლობის ნებართვის მხარისათვის ოფიციალურად გაცნობის თარიღიდან;

გ) უფლებამოსილი ხელმოწერიდან;

დ) მშენებლობის ორგანიზაციის პროექტით გათვალისწინებული სამშენებლო სამუშაოების დაწყების დღიდან.

183.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის შესაბამისად, რა შემთხვევაში არ არის საჭირო ინდივიდუალურ-ადმინისტრაციული აქტის დასაბუთება სავალდებულო:

ა) როდესაც ადმინისტრაციული ორგანო თავის გადაწყვეტილებას აფუძნებს იმ გარემოებებზე, ფაქტებსა და მტკიცებულებებზე, რომელიც არ არის სათანადოდ გამოკვლეული;

ბ) თუ ის გამოცემულია დაინტერესებული პირის მოთხოვნის საფუძველზე და არ იზღუდება მესამე პირთა კანონიერი უფლებები და ინტერესები;

გ) ნებისმიერ შემთხვევაში საჭიროა;

დ) მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აქტი წერილობითი ფორმითაა გამოცემული.

184.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის თანახმად, იმ შემთხვევაში თუ საქმის მოსამზადებელ სხდომაზე მოსარჩელემ გაიხმო სარჩელი და აღნიშნულს მოპასუხე დაეთანხმა:

ა) სასამართლო სარჩელს განუხილველად დატოვებს;

ბ) სასამართლო განიხილავს საქმეს და გამოიტანს გადაწყვეტილებას;

გ) სასამართლო გამოიტანს დაუსწრებელ გადაწყვეტილებას;

დ) არც ერთი პასუხი არაა სწორი.

185.

“მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების შესაბამისად მშენებლობის ნებართვის

გამარტივებული წესით გაცემის შემთხვევაში I და II სტადიის ადმინისტრაციული წარმოების ვადებია:

ა) I სტადია \_ 12 დღე (IV და V კლასებისათვის 15 დღე).

II სტადია \_ 20 დღე;

ბ) I სტადია \_ 15 დღე (IV და V კლასებისათვის 18 დღე).

II სტადია \_ 25 დღე;

გ) I სტადია \_ 15 დღე (IV და V კლასებისათვის 20 დღე).

II სტადია \_ 30 დღე;

დ) არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

186.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის თანახმად, საკასაციო საჩივრის შეტანის ვადაა:

ა) ერთი თვე;

ბ) 21 დღე;

გ) 14 დღე;

დ) არც ერთი პასუხი არაა სწორი.

187.

“მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების შესაბამისად, თუ კანონით დადგენილ ვადაში არ იქნება მიღებული მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ გადაწყვეტილება:

ა) მშენებლობის ნებართვის გაცემა აღნიშნულ ობიექტზე აღარ შეიძლება;

ბ) მშენებლობის ნებართვა გაცემულად ითვლება;

გ) ამ შემთხვევაში მშენებლობის ნებართვას გაცემს ქ. თბილისის საკრებულო;

დ) ეს ნიშნავს მშენებლობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმას.

188.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის თანახმად დაუსწრებელი გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადაა:

- ა) 10 დღე;
- ბ) 14 დღე;
- გ) 5 დღე;
- დ) 21 დღე.

189.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის თანახმად, ხელშეკრულებიდან გამომდინარე სარჩელები სასამართლოს წარედგინება:

- ა) მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.
- ბ) მოსარჩელის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.
- გ) ხელშეკრულების შესრულების ადგილის ან იმ ადგილის მიხედვით, სადაც ხელშეკრულება უნდა შესრულებულიყო.
- დ) ყველა პასუხი სწორია.

190.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის თანახმად, უზუფრუქტით გადაცემული უძრავი ქონების გაქირავების ან იჯარით გადაცემისათვის საჭიროა:

- ა) მესაკუთრის თანხმობა;
- ბ) იპოთეკარის თანხმობა;
- გ) მფლობელის თანხმობა;
- დ) მოსარგებლის თანხმობა.

191.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის თანახმად, კანონით მემკვიდრეობისას პირველი რიგის მემკვიდრედ ითვლება:

ა) გარდაცვლილის მეუღლე.

ბ) გარდაცვლილის შვილი, რომელიც მისი სიკვდილის შემდეგ დაიბადა.

გ) გარდაცვლილის მშვილებლები.

დ) ყველა პასუხი სწორია.

192.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის თანახმად, ერთობლივი საქმიანობის ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს:

ა) წერილობით ან ზეპირად.

ბ) მხოლოდ წერილობით.

გ) წერილობით ან ზეპირად, მხოლოდ კანონით პირდაპირ განსაზღვრულ შემთხვევებში.

დ) არც ერთი პასუხი არაა სწორი.

193.

“მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების შესაბამისად მშენებლობის ნებართვის გაცემის (III სტადია) ადმინისტრაციული წარმოების ვადაა:

ა) არაუმეტეს 15 სამუშაო დღისა, ხოლო V კლასის შენობა-ნაგებობებისათვის – არაუმეტეს 20 სამუშაო დღისა;

ბ) არაუმეტეს 5 სამუშაო დღისა, ხოლო V კლასის შენობა-ნაგებობებისთვის – არაუმეტეს 10 სამუშაო დღისა;

გ) არაუმეტეს 3 სამუშაო დღისა, ხოლო V კლასის შენობა-ნაგებობებისთვის – არაუმეტეს 5 სამუშაო დღისა;

დ) არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

194.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის თანახმად:

ა) უძრავი ნივთის შესაძენად აუცილებელია გარიგების წერილობითი ფორმით დადება, თუმცა მისი რეგისტრაცია საჯარო რეესტრში შემძენის ნებაა;

ბ) უძრავი ნივთის შესაძენად აუცილებელია გარიგების წერილობითი ფორმით დადება და შემძენზე ამ გარიგებით განსაზღვრული საკუთრების უფლების რეგისტრაცია საჯარო რეესტრში;

გ) უძრავი ნივთის შესაძენად აუცილებელია გარიგების წერილობითი ფორმით დადება, ნოტარიულად დამოწმება და შემძენზე ამ გარიგებით განსაზღვრული საკუთრების უფლების რეგისტრაცია საჯარო რეესტრში;

დ) უძრავი ნივთის შესაძენად აუცილებელია გარიგების წერილობითი ფორმით დადება და შემძენზე ამ გარიგებით განსაზღვრული საკუთრების უფლების რეგისტრაცია სამოქალაქო რეესტრში.

195.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის თანახმად, მოცემულთაგან რომელი მსჯელობაა სწორი:

ა) იმ პირის სასარგებლოდ, რომელიც გარიგების საფუძველზე სხვა პირისაგან იძენს რომელიმე უფლებას და ეს უფლება გამსხვისებლის სახელზე იყო რეესტრში რეგისტრირებული, რეესტრის ჩანაწერი ითვლება სწორად, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ამ ჩანაწერის საწინააღმდეგოდ შეტანილია საჩივარი, ან გამსხვისებელმა იცოდა, რომ ჩანაწერი უზუსტოა;

ბ) იმ პირის სასარგებლოდ, რომელიც გარიგების საფუძველზე სხვა პირისაგან იძენს რომელიმე უფლებას და ეს უფლება გამსხვისებლის სახელზე იყო რეესტრში რეგისტრირებული, რეესტრის ჩანაწერი ითვლება სწორად, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ამ ჩანაწერის საწინააღმდეგოდ შეტანილია საჩივარი, ან შემძენმა იცოდა, რომ ჩანაწერი უზუსტოა;

გ) იმ პირის სასარგებლოდ, რომელიც გარიგების საფუძველზე სხვა პირისაგან იძენს რომელიმე უფლებას და ეს უფლება შემძენის სახელზე იყო რეესტრში რეგისტრირებული, რეესტრის ჩანაწერი ითვლება სწორად, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ამ ჩანაწერის საწინააღმდეგოდ შეტანილია საჩივარი, ან შემძენმა იცოდა, რომ ჩანაწერი უზუსტოა;

დ) ყველა პასუხი სწორია.

196.

ქმედუწაროდ აღიარებული პირის განკურნების ან ჯანმრთელობის მნიშვნელოვნად გაუმჯობესების შემთხვევაში სასამართლო აღიარებს მას:

- ა) ქმედუწარიანად;
- ბ) შეზღუდულ ქმედუწარიანად;
- გ) აღნიშნული არ რეგულირდება კანონმდებლობით;
- დ) დაუნიშნავს მეურვეს.

197.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის თანახმად, პერიოდულად შესასრულებელი ვალდებულებებიდან წარმოშობილი ხანდაზმულობის ვადა:

- ა) ერთი წელია.
- ბ) სამი წელია.
- გ) ექვსი წელია.
- დ) მსგავს ვალდებულებზე ვრცელდება საერთო ათწლიანი ხანდაზმულობის ვადა.

198.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის თანახმად რომელი მსჯელობაა სწორი:

1. სარჩელის შეტანა ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტას არ გამოიწვევს, თუ მოპასუხე უარს იტყვის სარჩელზე, ან სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით სარჩელი განუხილველად იქნება დატოვებული.
2. სარჩელის შეტანა ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტას არ გამოიწვევს, თუ მოპასუხე სარჩელს ცნობს.
3. სარჩელის შეტანა ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტას გამოიწვევს, თუ მოსარჩელე უარს იტყვის სარჩელზე, ან სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით სარჩელი განუხილველად იქნება დატოვებული.

4. სარჩელის შეტანა ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტას არ გამოიწვევს, თუ მოსარჩელე უარს იტყვის სარჩელზე, ან სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით სარჩელი განუხილველად იქნება დატოვებული.

199.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის თანახმად, დელიქტით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების ხანდაზმულობის ვადაა:

ა) ერთი წელი.

ბ) ექვსი წელი.

გ) ათი წელი.

დ) არც ერთი პასუხი არაა სწორი.

200.

“მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების შესაბამისად, თუ წარმოებული მშენებლობის შედეგად სამშენებლო დოკუმენტში განხორციელდა ცვლილებები, რაც საჭიროებს მშენებლობის ახალ ნებართვას, ან/და წარმოებულია უნებართვო მშენებლობა, რაც საჭიროებს მშენებლობის ახალ ნებართვას, ან/და წარმოებულია უნებართვო მშენებლობა, მშენებლობის ნებართვის გამცემი ორგანო უფლებამოსილია იმსჯელოს მშენებლობის ნებართვის გაცემის თაობაზე:

ა) დამრღვევის მიერ შესაბამისი დარღვევისათვის გამოცემული აქტისა და დაკისრებული ჯარიმის გადახდის ქვიტორის წარდგენის შემდეგ, გარდა „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის“ 251-მუხლის, ამ დადგენილების 62-ე მუხლის პირველი პუნქტის „პ“ ქვეპუნქტითა და კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემთხვევებისას;

ბ) დამრღვევის მიერ შესაბამისი დარღვევისათვის გამოცემული აქტისა და დაკისრებული ჯარიმის გადახდის ქვიტორის წარდგენის შემდეგ;

გ) ყველა შემთხვევაში;

დ) არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

201.

“მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად, მშენებლობის ნებართვის გაცემის მესამე სტადიაზე დამკვეთი შეიძლება იყოს:

ა) მიწის ნაკვეთისა და მასზე განთავსებული ან ასაშენებელი შენობა-ნაგებობების მესაკუთრე;

ბ) მიწის ნაკვეთისა და მასზე განთავსებული ან ასაშენებელი შენობა-ნაგებობების მოსარგებლე;

გ) მიწის ნაკვეთისა და მასზე განთავსებული ან ასაშენებელი შენობა-ნაგებობების მესაკუთრის ან მოსარგებლის უფლებამოსილი პირი, რომელსაც აქვს ობიექტის სამშენებლოდ განვითარების ინტერესი;

დ) ყველა პასუხი სწორია.

202.

“ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ” საქართველოს კანონის თანახმად მრავალბინიანი სახლი არის:

ა) სახლი, რომელიც შედგება ორზე მეტი ინდივიდუალური საკუთრების საგნისაგან (ბინისაგან);

ბ) სახლი, რომელიც შედგება სამზე მეტი ინდივიდუალური საკუთრების საგნისაგან (ბინისაგან);

გ) სახლი, რომელიც შედგება ოთხზე მეტი ინდივიდუალური საკუთრების საგნისაგან (ბინისაგან);

დ) სახლი, რომელიც შედგება ხუთზე მეტი ინდივიდუალური საკუთრების საგნისაგან (ბინისაგან).

203.

“ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ” საქართველოს კანონის თანახმად ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრთა საერთო ქონებას წარმოადგენს:

ა) მიწის ნაკვეთი;

ბ) ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრთა საერთო ქონების მომსახურებისათვის განკუთვნილი შენობა-ნაგებობები და საინჟინრო-კომუნიკაციური მოწყობილობა და გაყვანილობა;

გ) სატრანზიტო გაყვანილობა;

დ) ყველა პასუხი სწორია.

204.

„ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, რომელი მსჯელობაა სწორი:

ა) სამ ან სამზე მეტ მომიჯნავე მიწის ნაკვეთზე არსებული ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების მესაკუთრეებს შეუძლიათ შექმნან ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების მესაკუთრეთა ამხანაგობა;

ბ) ორ ან ორზე მეტ მომიჯნავე მიწის ნაკვეთზე არსებული ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების მესაკუთრეებს შეუძლიათ შექმნან ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების მესაკუთრეთა ამხანაგობა;

გ) ორ ან ორზე მეტ მომიჯნავე მიწის ნაკვეთზე არსებული ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების მესაკუთრეებს არ შეუძლიათ შექმნან ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების მესაკუთრეთა ამხანაგობა;

დ) არც ერთი პასუხი არაა სწორი.

205.

„ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, თუ ამხანაგობის წესდებით სხვა რამ არ არის დადგენილი ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობას სასამართლოსთან და მესამე პირებთან ურთიერთობაში წარმოადგენს:

ა) ამხანაგობის ნებისმიერი წევრი;

ბ) ამხანაგობის თავმჯდომარე;

გ) ამხანაგობის მდივანი;

დ) ყველა პასუხი სწორია.

206.

შენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების შესაბამისად II სტადია – არქიტექტურულ-სამშენებლო პროექტის შეთანხმება (არქიტექტურული პროექტის, კონსტრუქციული ან/და ტექნოლოგიური სქემის შეთანხმება) ადმინისტრაციული წარმოების ვადაა:

ა) არაუმეტეს 18 დღისა; IV კლასის შენობა-ნაგებობებისათვის, ბახმაროს, ბაკურიანის, გუდაურის და ურეკის სარეკრეაციო ტერიტორიებისათვის, აგრეთვე ისეთი ობიექტებისათვის, რომელთა საქმიანობა ექვემდებარება ეკოლოგიურ ექსპერტიზას და V კლასის შენობა-ნაგებობებისთვის – არაუმეტეს 20 დღისა;

ბ) არაუმეტეს 15 დღისა; IV კლასის შენობა-ნაგებობებისათვის, ბახმაროს, ბაკურიანის, გუდაურის და ურეკის სარეკრეაციო ტერიტორიებისათვის, აგრეთვე ისეთი ობიექტებისათვის, რომელთა საქმიანობა ექვემდებარება ეკოლოგიურ ექსპერტიზას და V კლასის შენობა-ნაგებობებისთვის – არაუმეტეს 18 დღისა;

გ) არაუმეტეს 15 სამუშაო დღისა; IV კლასის შენობა-ნაგებობებისათვის, ბახმაროს, ბაკურიანის, გუდაურის და ურეკის სარეკრეაციო ტერიტორიებისათვის, აგრეთვე ისეთი ობიექტებისათვის, რომელთა საქმიანობა ექვემდებარება ეკოლოგიურ ექსპერტიზას და V კლასის შენობა-ნაგებობებისთვის – არაუმეტეს 25 სამუშაო დღისა;

დ) არაუმეტეს 18 სამუშაო დღისა; IV კლასის შენობა-ნაგებობებისათვის, ბახმაროს, ბაკურიანის, გუდაურის და ურეკის სარეკრეაციო ტერიტორიებისათვის, აგრეთვე ისეთი ობიექტებისათვის, რომელთა საქმიანობა ექვემდებარება ეკოლოგიურ ექსპერტიზას და V კლასის შენობა-ნაგებობებისთვის – არაუმეტეს 20 სამუშაო დღისა.

207.

საკანონმდებლო ინიციატივის უფლება აქვს:

ა) საქართველოს მთავრობას;

ბ) პარლამენტის წევრს;

გ) საპარლამენტო ფრაქციას;

დ) ყველა პასუხი სწორია.

208.

საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, მთავრობა კონსტიტუციის, კანონების და პრეზიდენტის ნორმატიული აქტების საფუძველზე და მათ შესასრულებლად იღებს:

- ა) დადგენილებასა და განკარგულებას, რომლებსაც ხელს აწერს პრემიერ-მინისტრი;
- ბ) დადგენილებას, ბრძანებულებას და განკარგულებას, რომლებსაც ხელს აწერს პრემიერ-მინისტრი;
- გ) დადგენილებასა და ბრძანებულებას, რომლებსაც ხელს აწერს პრემიერ-მინისტრი;
- დ) არც ერთი პასუხი არაა სწორი.

209.

საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, მხოლოდ საქართველოს უმაღლეს სახელმწიფო ორგანოთა განსაკუთრებულ გამგებლობას მიეკუთვნება:

- ა) კანონმდებლობა საქართველოს მოქალაქეობის, ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა, ემიგრაციისა და იმიგრაციის, ქვეყანაში შემოსვლისა და გასვლის, საქართველოში სხვა სახელმწიფოების მოქალაქეთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა დროებით ან მუდმივად ყოფნის შესახებ;
- ბ) საგარეო პოლიტიკა და საერთაშორისო ურთიერთობანი;
- გ) სახელმწიფო საზღვრების სტატუსი, რეჟიმი და დაცვა ტერიტორიული წყლების, საჰაეროსივრცის, კონტინენტური შელფისა და განსაკუთრებული ეკონომიკური ზონის სტატუსი, მათი დაცვა;
- დ) ყველა პასუხი სწორია.

210.

საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, საქართველოს მთელ ტერიტორიაზე შესაბამისი პირობების შექმნისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ფორმირების შემდეგ საქართველოს პარლამენტის შემადგენლობაში იქნება ორი პალატა:

- 1. რესპუბლიკის საბჭო და კონგრესი;
- ა) რესპუბლიკის საბჭო და სენატი;

3. რესპუბლიკის პალატა და სენატი;
4. რესპუბლიკის კოლეგია და კონგრესი.

211.

“მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად I კლასის შენობა-ნაგებობას განეკუთვნება:

- ა) 60 მ2-მდე სართულების იატაკის დონეებზე განაშენიანების ჯამური ფართობის, 7 მ-მდე სიმაღლისა და გრუნტის ზედაპირიდან საშუალოდ 2 მ-მდე ჩალრმავეების მქონე შენობა;
- ბ) 70 მ2-მდე სართულების იატაკის დონეებზე განაშენიანების ჯამური ფართობის, 5 მ-მდე სიმაღლისა და გრუნტის ზედაპირიდან საშუალოდ 2 მ-მდე ჩალრმავეების მქონე შენობა;
- გ) 60 მ2-მდე სართულების იატაკის დონეებზე განაშენიანების ჯამური ფართობის, 5 მ-მდე სიმაღლისა და გრუნტის ზედაპირიდან საშუალოდ 2 მ-მდე ჩალრმავეების მქონე შენობა;
- დ) 60 მ2-მდე სართულების იატაკის დონეებზე განაშენიანების ჯამური ფართობის, 5 მ-მდე სიმაღლისა და გრუნტის ზედაპირიდან საშუალოდ 4 მ-მდე ჩალრმავეების მქონე შენობა.

212.

საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, ადამიანი უდანაშაულოდ ითვლება:

- ა) ვიდრე მისი დამნაშავეობა არ დამტკიცდება კანონით დადგენილი წესით და კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენით;
- ბ) ვიდრე მისი დამნაშავეობა არ დამტკიცდება უზენაესი სასამართლოს მიერ;
- გ) ვიდრე მას პროკურატურა კანონით დადგენილი წესით არ წაუყენებს ბრალს;
- დ) ვიდრე მისი დამნაშავეობა არ იქნება დადასტურებული ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ.

213.

საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, ადამიანის სიტყვის, აზრის, სინდისის, აღმსარებლობისა და რწმენის თავისუფლების შეზღუდვა:

- ა) დასაშვებია საომარი მდგომარეობის დროს;
- ბ) დასაშვებია საგანგებო მდგომარეობის დროს;
- გ) დაუშვებელია;
- დ) დაუშვებელია, თუ მათი გამოვლენა არ ლახავს სხვათა უფლებებს.

214.

საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით სახელმწიფო:

- ა) უფლებამოსილია დააწესოს უცხო ქვეყნის მოქალაქეთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა პოლიტიკური საქმიანობის შეზღუდვა;
- ბ) არ არის უფლებამოსილი დააწესოს უცხო ქვეყნის მოქალაქეთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა პოლიტიკური საქმიანობის შეზღუდვა;
- გ) მხოლოდ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით არის უფლებამოსილი დააწესოს უცხო ქვეყნის მოქალაქეთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა პოლიტიკური საქმიანობის შეზღუდვა;
- დ) არცერთი პასუხი სწორი არ არის.

215.

საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, რეფერენდუმში, სახელმწიფო და თვითმმართველობის ოგანოების არჩევნებში მონაწილეობის უფლება აქვს:

- ა) საქართველოს მოქალაქეს 18 წლის ასაკიდან;
- ბ) საქართველოს მოქალაქეს 17 წლის ასაკიდან, რომელიც სასამართლომ ცნო ქმედუნარიანად;
- გ) საქართველოს მოქალაქეს 16 წლის ასაკიდან;
- დ) როგორც საქართველოს, ისე უცხო ქვეყნის მოქალაქეს 14 წლის ასაკიდან.

216.

საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, ჩამოთვლილ მსჯელობათაგან რომელია სწორი?

ა) საქართველო მფარველობს თავის მოქალაქეს მხოლოდ საქართველოს ტერიტორიაზე;

ბ) საქართველო მფარველობს თავის მოქალაქეს განურჩევლად მისი ადგილსამყოფელისა;

გ) საქართველო მფარველობს თავის მოქალაქეს მხოლოდ იმ ტერიტორიაზე, სადაც აქვსწარმომადგენლობა;

დ) საქართველო მფარველობს თავის მოქალაქეს იმ ქვეყნის ტერიტორიაზე, სადაც ვრცელდება მისი იურისდიქცია.

217.

“მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების მე-19 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ამ დადგენილების მიზნებისათვის შენობა-ნაგებობები და სამშენებლო სამუშაოები მშენებლობის ნებართვის გაცემისა და ექსპლუატაციაში მიღებისათვის იყოფა:

ა) 5 (ხუთ) კლასად;

ბ) 4 (ოთხ) კლასად;

გ) 3 (სამ) კლასად;

დ) არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

218.

საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლობას საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში უზრუნველყოფს:

ა) სახელმწიფო მინისტრი;

ბ) პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსი;

გ) მთავრობის კანცელარიის უფროსი;

დ) სახელმწიფო რწმუნებული – გუბერნატორი.

219.

საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, საქართველოში სახელმწიფო ხელისუფლება ხორციელდება:

- ა) ხელისუფლების გაერთიანების პრინციპზე დაყრდნობით;
- ბ) ხელისუფლების მემკვიდრეობითობის პრინციპზე დაყრდნობით;
- გ) ხელისუფლების გადაცემის პრინციპზე დაყრდნობით;
- დ) ხელისუფლების დანაწილების პრინციპზე დაყრდნობით.

220.

საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, საგანგებო ან საომარი მდგომარეობის დროს არჩევნები:

- ა) არ ტარდება;
- ბ) ტარდება პარლამენტის ნებართვით;
- გ) ტარდება საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით;
- დ) ტარდება უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებით.

221.

საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, ჩამოთვლილ მსჯელობათაგან რომელია სწორი?

- ა) ადამიანი უდანაშაულოდ ითვლება, ვიდრე მისი დამნაშავეობა არ დამტკიცდება კანონით დადგენილი წესით და კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენით;
- ბ) ადამიანი უდანაშაულოდ ითვლება, ვიდრე მისი დამნაშავეობა არ დადგინდეს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ;
- გ) ადამიანი უდანაშაულოდ ითვლება, ვიდრე მას პროკურატურა კანონით დადგენილი წესით არ წაუყენებს ბრალს;
- დ) ადამიანი უდანაშაულოდ ითვლება, ვიდრე მისი დამნაშავეობა არ იქნება დადასტურებული ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ.

222.

საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, საქართველოს მთავრობის წევრს აქვს უფლება:

- ა) დააფუძნოს საწარმო;
- ბ) ეწეოდეს სამეწარმეო საქმიანობას;
- გ) იღებდეს ხელფასს რაიმე სხვა საქმიანობიდან;
- დ) ეწეოდეს სამეცნიერო საქმიანობას.

223.

საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, რა შემთხვევაშია ხელმისაწვდომი ოფიციალურ ჩანაწერებში არსებული ინფორმაცია, რომელიც დაკავშირებულია ადამიანის ჯანმრთელობასთან, მის ფინანსებთან ან სხვა კერძო საკითხებთან?

- ა) თვით ამ ადამიანის თანხმობით, გარდა კანონით დადგენილი შემთხვევებისა;
- ბ) როდესაც ეს აუცილებელია სახელმწიფო უშიშროების ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად;
- გ) როდესაც ეს აუცილებელია ჯანმრთელობის, სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად;
- დ) ყველა პასუხი სწორია.

224.

საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, სახელმწიფო საზღვრების შეცვლა შეიძლება:

- ა) რეფერენდუმის შედეგად;
- ბ) არჩევნების შედეგად;
- გ) მხოლოდ მეზობელ სახელმწიფოსთან დადებული ორმხრივი შეთანხმებით;
- დ) არცერთი პასუხი არ არის სწორი.

225.

დამკვეთი უფლებამოსილია, მშენებლობის ნებართვის მისაღებად, მშენებლობის ნებართვის გაცემის ზოგადი პროცედურისაგან განსხვავებით, აირჩიოს:

- ა) სამ სტადიანი ადმინისტრაციული წარმოება;
- ბ) ერთ სტადიანი ადმინისტრაციული წარმოება;
- გ) ორ სტადიანი ადმინისტრაციული წარმოება;
- დ) ყველა პასუხი სწორია.

226.

საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისად საქართველოს სახელმწიფოს ტერიტორია განსაზღვრულია:

- ა) 1918 ქლის 25 თებერვლის მდგომარეობით;
- ბ) 1991 წლის 21 დეკემბრის მდგომარეობით;
- გ) 1920 წლის 9 მაისის მდგომარეობით;
- დ) 1921 წლის 21 თებერვლის მდგომარეობით.

227.

საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისად საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის ურთიერთობა განისაზღვრება:

- ა) ორგანული კანონით;
- ბ) კონსტიტუციური შეთანხმებით;
- გ) კანონით;
- დ) საერთაშორისო ხელშეკრულებით.

228.

საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისად აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევა დასაშვებია:

ა) კანონით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევებში წინასწარი, სრული და სამართლიანი ანაზღაურების პირობით;

ბ) სასამართლოს გადაწყვეტილებით, წინასწარი, სრული და სამართლიანი ანაზღაურების პირობით;

გ) ორგანული კანონით დადგენილი გადაუდებელი აუცილებლობისას, წინასწარი, სრული და სამართლიანი ანაზღაურების პირობით;

დ) ყველა პასუხი სწორია.

229.

საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისად წინასწარი ნებართვის გარეშე საჯაროდ და უიარაღოდ, როგორც ჭერქვეშ, ისე გარეთ შეკრების უფლება აქვს:

ა) ყველას;

ბ) ყველას, მხოლოდ კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა;

გ) ყველას, გარდა იმ პირებისა, რომლებიც არიან სამხედრო ძალებისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს შემადგენლობაში;

დ) არცერთი პასუხი არ არის სწორი.

230.

“ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ” საქართველოს კანონის თანახმად, საკრებულოს მიერ დაწესებული მოსაკრებლის ოდენობა ახალ ასაშენებელი ობიექტის პროექტით გათვალისწინებული განაშენიანების ფართობის თითოეული კვადრატული მეტრისათვის არ უნდა აღემატებოდეს:

ა) 1 ლარს, ხოლო საკურორტო ზონაში სამრეწველო ობიექტის მშენებლობისთვის 5 ლარს;

ბ) 1 ლარს, ხოლო საკურორტო ზონაში დაწესებული არ არის;

გ) 1 ლარს, ხოლო საკურორტო ზონაში 5 ლარს;

დ) არცერთი პასუხი არ არის სწორი.

231.

საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით მთავრობის შემადგენლობაში შეიძლება იყოს:

- ა) სახალხო დამცველი;
- ბ) სახელმწიფო რწმუნებული-გუბერნატორი;
- გ) სახელმწიფო მინისტრი (სახელმწიფო მინისტრები);
- დ) საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე.

232.

საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით მთავრობა და მთავრობის წევრები ანგარიშვალდებულები არიან:

- ა) საქართველოს პარლამენტის წინაშე;
- ბ) საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის წინაშე;
- გ) საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივნის წინაშე;
- დ) საქართველოს პრეზიდენტის წინაშე.

233.

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ გაცემული მშენებლობის ნებართვა შეიძლება გასაჩივრდეს?

- ა) გამოქვეყნებიდან ან ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში;
- ბ) გამოქვეყნებიდან ან ოფიციალური წესით გაცნობიდან 30 დღის ვადაში;
- გ) გამოქვეყნებიდან ან ოფიციალური წესით გაცნობიდან სამი თვის ვადაში;
- დ) გამოქვეყნებიდან ან ოფიციალური წესით გაცნობიდან 15 დღის ვადაში.

234.

“საქართველოს დედაქალაქის – თბილისის შესახებ” საქართველოს კანონის თანახმად, დედაქალაქის ტერიტორიის რაიონების დასახელებებს, რაოდენობასა და საზღვრებს (ქ. თბილისის საზღვრებში) ადგენს:

- ა) თბილისის მერი;
- ბ) თბილისის მერიის წარდგინებით საქართველოს მთავრობა;
- გ) თბილისის მერის წარდგინებით თბილისის საკრებულო;
- დ) საქართველოს პრეზიდენტი.

235.

“საქართველოს დედაქალაქის – თბილისის შესახებ” საქართველოს კანონის თანახმად, ქ. თბილისის საკრებულო შედგება:

- ა) ერთმანდატიანი მაჟორიტარული საარჩევნო ოლქებიდან არჩეული 50 წევრისაგან;
- ბ) 50 წევრისაგან, რომელთაგან 40 წევრი აირჩევა ადგილობრივი ერთმანდატიანი მაჟორიტარული საარჩევნო ოლქის მიხედვით, ხოლო 10 წევრი – პროპორციული წესით თბილისის მთელ ტერიტორიაზე, 10 საარჩევნო ოლქის მიხედვით;
- გ) 50 წევრისაგან, რომელთაგან 25 წევრი აირჩევა ადგილობრივი ერთმანდატიანი მაჟორიტარული საარჩევნო ოლქის მიხედვით, ხოლო 25 წევრი – პროპორციული წესით თბილისის მთელ ტერიტორიაზე;
- დ) პროპორციული წესით არჩეული 50 წევრისგან.

236.

“საქართველოს დედაქალაქის – თბილისის შესახებ” საქართველოს კანონის თანახმად, ქალაქ თბილისის მერი არის:

- ა) ქ. თბილისის უმაღლესი თანამდებობის პირი და საკრებულოს თავმჯდომარე;
- ბ) ქ. თბილისის უმაღლესი თანამდებობის პირი და საკრებულოს წევრი;
- გ) ქ. თბილისის უმაღლესი თანამდებობის პირი და მთავრობის ხელმძღვანელი;

დ) ქ. თბილისის თვითმმართველობის ორგანოს წევრი.

237.

“საქართველოს დედაქალაქის – თბილისის შესახებ” საქართველოს კანონის თანახმად, ქ. თბილისის რაიონის გამგეობის დებულებას ამტკიცებს:

ა) ქ. თბილისის მერის წარდგინებით - ქ. თბილისის მთავრობა;

ბ) რაიონის გამგებლის წარდგინებით - ქ. თბილისის მთავრობა;

გ) რაიონის გამგებლის წარდგინებით - ქ. თბილისის მერი;

დ) ქ. თბილისი საკრებულო.

238.

“საქართველოს დედაქალაქის – თბილისის შესახებ” საქართველოს კანონის თანახმად, ქ. თბილისის მერიის დებულებას ამტკიცებს:

ა) ქ. თბილისის მერის წარდგინებით - ქ. თბილისის მთავრობა;

ბ) ქ. თბილისის მთავრობის წარდგინებით - ქ. თბილისის მერი;

გ) ქ. თბილისის მერის წარდგინებით - ქ. თბილისის საკრებულო;

დ) საქართველოს მთავრობის წარდგინებით - ქ. თბილისის საკრებულო.

239.

“საქართველოს დედაქალაქის – თბილისის შესახებ” საქართველოს კანონის თანახმად, ოფიციალური ურთიერთობებისას, ქ. თბილისს წარმოადგენს და მოქმედებს მისი სახელით:

ა) საკრებულოს თავმჯდომარე;

ბ) საკრებულოს გადაწყვეტილებით - საკრებულოს წევრი;

გ) ქ. თბილისის მერი;

დ) ქ. თბილისის მთავრობა.

240.

“მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების შესაბამისად მშენებლობის ნებართვა გაიცემა:

ა) 6 სტადიით;

ბ) 3 სტადიით;

გ) 5 სტადიით;

დ) 4 სტადიით.

241.

“საქართველოს დედაქალაქის – თბილისის შესახებ” საქართველოს კანონის თანახმად, ქვემოთ ჩამოთვლილთაგან, თბილისის მთავრობის უფლებამოსილებას არ განეკუთვნება:

ა) საკრებულოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების აღსრულება;

ბ) საკრებულოს მიერ დადგენილი წესით ადგილობრივი საკუთრების ფლობა, განკარგვა და მისით სარგებლობა;

გ) ქალაქ თბილისის ბიუჯეტის პროექტის შემუშავება და განხილვა;

დ) ადგილობრივი გადასახადებისა და მოსაკრებლების შემოღება და მათი ოდენობების განსაზღვრა.

242.

“ქ. თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ” ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 24 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად, შეუსაბამო უძრავი ობიექტის ნებისმიერი სახით გამოყენება საჭიროებს:

ა) საქართველოს მთავრობასთან შეთანხმებას;

ბ) ქ. თბილისის მთავრობასთან შეთანხმებას;

გ) სპეციალურ ზონალურ შეთანხმებას;

დ) ქ. თბილისის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიასთან შეთანხმებას.

243.

“საქართველოს დედაქალაქის – თბილისის შესახებ” საქართველოს კანონის თანახმად, სახელმწიფოსა და დედაქალაქის ერთობლივ კომპეტენციას არ განეკუთვნება:

ა) საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის საკითხების კოორდინაცია;

ბ) მოსახლეობის სოციალური დაცვისა და დასაქმების საკითხების კოორდინაცია;

გ) ადგილობრივი მოსაკრებლების ამოღება;

დ) განსაკუთრებული მნიშვნელობის ქალაქგანვითარების დაფინანსება.

244.

“მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად რეკონსტრუქციისას, იმ შემთხვევაში, როდესაც შენობა-ნაგებობის კლასი იზრდება, კლასი განისაზღვრება:

ა) შენობა-ნაგებობის საბოლოო (სამშენებლო დოკუმენტით გათვალისწინებული) პარამეტრების მიხედვით;

ბ) შენობა-ნაგებობის არსებული პარამეტრების მიხედვით;

გ) შენობა-ნაგებობის კლასი არ განისაზღვრება;

დ) არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

245.

“საქართველოს დედაქალაქის – თბილისის შესახებ” საქართველოს კანონის თანახმად, ქ. თბილისის საკრებულოს თბილისის ბიუჯეტს წარუდგენს:

ა) საკრებულოს სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე;

ბ) ქ. თბილისის მთავრობის მიერ დანიშნული პირი;

გ) ქ. თბილისის მერი;

დ) საკრებულოს თავმჯდომარე.

246.

“საქართველოს დედაქალაქის – თბილისის შესახებ” საქართველოს კანონის თანახმად, საკრებულოს თავმჯდომარე:

- ა) ხელმძღვანელობს საკრებულოს მუშაობას;
- ბ) ორგანიზებას უწევს საკრებულოს სხდომების მომზადებას;
- გ) თავმჯდომარეობს საკრებულოს სხდომებს;
- დ) ყველა პასუხი სწორია.

247.

“საქართველოს დედაქალაქის – თბილისის შესახებ” საქართველოს კანონის თანახმად, ქ. თბილისის მერად შეიძლება არჩეულ იქნეს:

- ა) მოქალაქე 25 წლის ასაკიდან, რომელიც არჩევნების დანიშვნის დღეს ცხოვრობს საქართველოში;
- ბ) საქართველოს მოქალაქე 25 წლის ასაკიდან, რომელსაც საქართველოში უცხოვრია 10 წელი მაინც და რომელიც არჩევნების დანიშვნის დღეს ცხოვრობს საქართველოში;
- გ) საქართველოს მოქალაქე 28 წლის ასაკიდან, რომელსაც საქართველოში უცხოვრია 10 წელი მაინც და რომელიც არჩევნების დანიშვნის დღეს ცხოვრობს საქართველოში;
- დ) საქართველოს მოქალაქე 35 წლის ასაკიდან, რომელსაც საქართველოში უცხოვრია 10 წელი მაინც და რომელიც არჩევნების დანიშვნის დღეს ცხოვრობს საქართველოში.

248.

“საქართველოს დედაქალაქის – თბილისის შესახებ” საქართველოს კანონის თანახმად, სახელმწიფოსა და დედაქალაქის ერთობლივ კომპეტენციას არ განეკუთვნება:

- ა) ადგილობრივი მოსაკრებლების ამოღება;
- ბ) საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის საკითხების კოორდინაცია;

გ) მოსახლეობის სოციალური დაცვისა და დასაქმების საკითხების კოორდინაცია;

დ) განსაკუთრებული მნიშვნელობის ქალაქგანვითარების დაფინანსება.

249.

“საქართველოს დედაქალაქის – თბილისის შესახებ” საქართველოს კანონის თანახმად, ქალაქ თბილისში თვითმმართველობის განხორციელების ძირითადი პრინციპებია:

ა) ქალაქ თბილისში რეგისტრირებულ ამომრჩეველთა უფლება, კანონით დადგენილი წესით აირჩიონ წარმომადგენლები ადგილობრივი თვითმმართველობის განსახორციელებლად;

ბ) ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების დამოუკიდებლობა კანონით განსაზღვრულ ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხთა გადაწყვეტისას;

გ) საერთო-სახელმწიფოებრივი და ადგილობრივი ინტერესების ერთიანობა;

დ) ყველა პასუხი სწორია.

250.

“საქართველოს დედაქალაქის - თბილისის შესახებ” საქართველოს კანონის მიხედვით უფლება აქვთ თუ არა საქართველოს სამთავრობო და სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებებს ხელი შეუწყონ ქალაქ თბილისის თვითმმართველობის ორგანოებს თბილისის მიერ საქართველოს დედაქალაქის ფუნქციების განხორციელებაში?

ა) არ აქვთ უფლება;

ბ) აქვთ უფლება, მხოლოდ ქ. თბილისის საკრებულოსთან შეთანხმებით;

გ) აქვთ უფლება;

დ) არცერთი პასუხი არ არის სწორი.

250.

“საქართველოს დედაქალაქის - თბილისის შესახებ” საქართველოს კანონის მიხედვით, საქართველოს სამთავრობო და სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებები ქალაქ თბილისის თვითმმართველობის ორგანოებს უთანხმებენ თუ არა ამ დაწესებულებებისადმი

დაქვემდებარებული დარგების პროგრამათა იმ ნაწილებს, რომლებიც დაკავშირებულია თბილისის მიერ საქართველოს დედაქალაქის ფუნქციების განხორციელებასთან?

ა) არ უთანხმებენ;

ბ) უთანხმებენ;

გ) უთანხმებენ, მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში;

დ) არ უთანხმებენ, რადგან ეს საქართველოს სამთავრობო და სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებების განსაკუთრებული უფლებამოსილებაა.

251.

“საქართველოს დედაქალაქის - თბილისის შესახებ” საქართველოს კანონის მიხედვით, ქალაქ თბილისის თვითმმართველობის ორგანოებისათვის სახელმწიფო ხელისუფლების მიერ მის გამგებლობაში არსებული ცალკეული ფუნქციების გადაცემა არის თუ არა დასაშვები?

ა) არ არის დასაშვები;

ბ) დასაშვებია, მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში;

გ) დასაშვებია ქალაქ თბილისის თვითმმართველობის ორგანოებთან შეთანხმებით;

დ) არცერთი პასუხი არ არის სწორი.

252.

“საქართველოს დედაქალაქის - თბილისის შესახებ” საქართველოს კანონის მიხედვით, სახელმწიფოსა და დედაქალაქის ერთობლივ კომპეტენციას განეკუთვნება:

ა) საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის საკითხების კოორდინაცია;

ბ) ბუნებათსარგებლობა, გარემოს დაცვა და ეკოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველყოფა;

გ) კატასტროფების, სტიქიური უბედურებების, ეპიდემიებისა და ეპიზოოტიების შედეგების ლიკვიდაცია;

დ) ყველა პასუხი სწორია.

253.

“საქართველოს დედაქალაქის - თბილისის შესახებ” საქართველოს კანონის მიხედვით, სახელმწიფოსა და დედაქალაქის ერთობლივ კომპეტენციას განეკუთვნება:

- ა) ურბანისტიკისა და მშენებლობის სტრატეგიული პროგრამების შემუშავება და განხილვა;
- ბ) განათლების, მეცნიერების, კულტურის, ჯანმრთელობის დაცვის, სპორტისა და ტურიზმის საკითხების კოორდინაცია;
- გ) მოსახლეობის სოციალური დაცვისა და დასაქმების საკითხების კოორდინაცია;
- დ) ყველა პასუხი სწორია.

254.

“საქართველოს დედაქალაქის - თბილისის შესახებ” საქართველოს კანონის მიხედვით, უფლებამოსილია თუ არა საკრებულო დედაქალაქის რაიონს ან უბანს მიანიჭოს განსაკუთრებული სტატუსი, განახორციელოს ისტორიულ-კულტურული, გამწვანების, სამრეწველო, სავაჭრო და სხვა სპეციალური ზონების გამოყოფა, მიანიჭოს სახელწოდებები, დაადგენოს და შეცვალოს მათი საზღვრები?

- ა) არ არის უფლებამოსილი;
- ბ) უფლებამოსილია, მხოლოდ საქართველოს მთავრობასთან შეთანხმებით;
- გ) უფლებამოსილია ქალაქ თბილისის მერის წარდგინებით;
- დ) არცერთი პასუხი არ არის სწორი.

255.

“საქართველოს დედაქალაქის - თბილისის შესახებ” საქართველოს კანონის მიხედვით, უფლებამოსილია თუ არა საკრებულო დედაქალაქის დადგენილ ადმინისტრაციულ საზღვრებში შექმნას ახალი რაიონები, გააერთიანოს, დაყოს, გააუქმოს, რაიონები, დაადგინოს მათი საზღვრები, შექმნას და გააუქმოს შესაბამისი რაიონების გამგეობების, დაყოს რაიონები სხვადასხვა ტერიტორიულ ერთეულებად (უბანი, სექტორი, კვარტალი, მიკრორაიონი და ა. შ.)?

- ა) უფლებამოსილია, მხოლოდ საქართველოს მთავრობასთან შეთანხმებით;
- ბ) უფლებამოსილია ქალაქ თბილისის მერის წარდგინებით;

გ) არ არის უფლებამოსილი;

დ) არცერთი პასუხი არ არის სწორი.

256.

“საქართველოს დედაქალაქის – თბილისის შესახებ” საქართველოს კანონის თანახმად, საკრებულოს თავმჯდომარე ჩაითვლება არჩეულად, თუ მის კანდიდატურას მხარი დაუჭირა საკრებულოს წევრთა სიითი შემადგენლობის:

ა) 2/3 –მა;

ბ) ნახევარზე მეტმა;

გ) 1/3-მა;

დ) არცერთი პასუხი არ არის სწორი.

257.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 102-ე მუხლის თანახმად, თუ განმეორებით წარდგენილ განცხადებაში არ არის მითითებული ახლად აღმოჩენილი ან ახლად გამოვლენილი გარემოებანი:

ა) ადმინისტრაციული ორგანო განცხადების განუხილველად გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს განცხადებაზე უარის თქმის შესახებ;

ბ) ადმინისტრაციული ორგანო განცხადებას განუხილველად დატოვებს;

გ) ადმინისტრაციული ორგანო განცხადებას განიხილავს და უარს იტყვის მის დაკმაყოფილებაზე;

დ) ყველა პასუხი სწორია.

258.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის თანახმად, დაშვებულია თუ არა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე რომელიმე მხარის კანონიერი უფლებისა და თავისუფლების, კანონიერი ინტერესის შეზღუდვა ან მათი განხორციელებისათვის ხელის შეშლა, აგრეთვე მათთვის კანონმდებლობით

გათვალისწინებელი რაიმე უპირატესობის მინიჭება ან რომელიმე მხარის მიმართ რაიმე დისკრიმინაციული ზომების მიღება?

ა) დაშვებულია;

ბ) დაუშვებელია;

გ) დაშვებულია, მხოლოდ კანონით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევებში;

დ) ნაწილობრივ დაშვებულია.

259.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის თანახმად, აქვს თუ არა იურიდიული ძალა უფლებამოსილების გადამეტებით გამოცემულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, აგრეთვე უფლებამოსილების გადამეტებით ადმინისტრაციული ორგანოს მიერ განხორციელებულ ქმედებას?

ა) აქვს იურიდიული ძალა;

ბ) აქვს მხოლოდ კანონით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევებში;

გ) არ აქვს იურიდიული ძალა და ბათილად უნდა გამოცხადდეს;

დ) არ აქვს იურიდიული ძალა და ძალადაკარგულად უნდა გამოცხადდეს.

260.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის თანახმად, მოცემულთაგან რომელი მსჯელობაა სწორი?

ა) დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას შეიძლება გამოიცეს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, თუ პირის კანონით დაცული უფლებებისა და ინტერესებისათვის მიყენებული ზიანი არსებითად აღემატება იმ სიკეთეს, რომლის მისაღებადაც იგი გამოიცა;

ბ) დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას არ შეიძლება გამოიცეს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, თუ პირის კანონით დაცული უფლებებისა და ინტერესებისათვის მიყენებული ზიანი არსებითად აღემატება იმ სიკეთეს, რომლის მისაღებადაც იგი გამოიცა;

გ) დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას შეიძლება გამოიყენოს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, თუ პირის კანონით დაცული უფლებებისა და ინტერესებისათვის მიყენებული ზიანი არსებითად აღემატება იმ სიკეთეს, რომლის მისაღებადაც იგი გამოიყენა, მხოლოდ კანონით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევებში;

დ) ყველა პასუხი სწორია.

261.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის თანახმად, ადმინისტრაციულ წარმოებაში შეიძლება თუ არა მონაწილეობა მიიღოს თანამდებობის პირმა, რომელსაც აქვს პირადი ინტერესი, ანდა არსებობს სხვა გარემოება, რომელიც ზეგავლენას მოახდენს საქმის გადაწყვეტაზე?

ა) შეიძლება, თუ მისი თანამდებობრივი მდგომარეობა ან სხვა გარემოება უშუალოდ დაკავშირებულია ადმინისტრაციულ წარმოებაში არსებულ საქმესთან;

ბ) შეიძლება, მხოლოდ კანონით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევებში;

გ) არ შეიძლება;

დ) ყველა პასუხი სწორია.

262.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის თანახმად, ჩაითვლება თუ არა ადმინისტრაციული ორგანოს სამართლებრივ დახმარებად ზემდგომი ან ქვემდგომი ორგანოს რაიმე თხოვნის შესრულება ან/და ნებისმიერი მოქმედება, რომლის შესრულების ვალდებულება ადმინისტრაციულ ორგანოს კანონმდებლობით აქვს დაკისრებული?

ა) კი, ჩაითვლება;

ბ) კი, ჩაითვლება მხოლოდ კანონით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევებში;

გ) არ ჩაითვლება;

დ) ყველა პასუხი სწორია.

263.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის თანახმად, ადმინისტრაციულ ორგანოებს შორის დავას სამართლებრივი დახმარების აღმოჩენის შესახებ წყვეტს:

ა) საქართველოს პარლამენტი;

ბ) საქართველოს სახალხო დამცველი;

გ) სახელმწიფო რწმუნებული-გუბერნატორი;

დ) საერთო ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანო, ხოლო ასეთის არარსებობისას – სასამართლო.

264.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის თანახმად, ვალდებულია თუ არა საჯარო დაწესებულება სათანადო წერილობითი თხოვნის საფუძველზე სხვა საჯარო დაწესებულებაზე ცნობის სახით გასცეს მასთან დაცული პერსონალური მონაცემები ან კომერციულ საიდუმლოებას მიკუთვნებული ინფორმაცია, რომელიც აუცილებელია საჯარო დაწესებულებისათვის საკითხის გადასაწყვეტად?

ა) არ არის ვალდებული;

ბ) ვალდებულია;

გ) ვალდებულია, თუ საჯარო დაწესებულება წარუდგენს იმ პირის წერილობით თანხმობას, რომლის პერსონალურ მონაცემებს ან კომერციულ საიდუმლოებას წარმოადგენს შესაბამისი ინფორმაცია;

დ) არ არის ვალდებული, იმ შემთხვევაშიც თუ საჯარო დაწესებულება წარუდგენს იმ პირის წერილობით თანხმობას, რომლის პერსონალურ მონაცემებს ან კომერციულ საიდუმლოებას წარმოადგენს შესაბამისი ინფორმაცია.

265.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის თანახმად, ადმინისტრაციული წარმოების მხარე შეიძლება იყოს:

ა) ადმინისტრაციული ორგანო;

ბ) ფიზიკური პირი;

გ) იურიდიული პირი;

დ) ყველა პასუხი სწორია.

266.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის თანახმად, ვინ არის პასუხისმგებელი სახელმწიფო ადმინისტრაციული ორგანოს, აგრეთვე მისი თანამდებობის პირის ან სხვა სახელმწიფო მოსამსახურის მიერ მისი სამსახურებრივი მოვალეობის განხორციელებისას მიყენებული ზიანისათვის?

ა) სახელმწიფო;

ბ) მხოლოდ ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანო;

გ) ზიანის მიმყენებელი თანამდებობის პირი;

დ) ადმინისტრაციული ორგანო და ზიანის მიმყენებელი სახელმწიფო მოსამსახურე.

267.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის თანახმად, გამოიწვევს თუ არა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად გამოცხადება მის საფუძველზე დადებული ხელშეკრულების ბათილობას?

ა) არ გამოიწვევს, ვინაიდან ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილადგამოცხადებით დამდგარ სამართლებრივ შედეგებს უკუქცევითი ძალა ვერ მიენიჭება;

ბ) გამოიწვევს, ვინაიდან ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დადებული ხელშეკრულება ბათილია იმ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად გამოცხადების შემთხვევაში, რომლის საფუძველზედაც დაიდო ხელშეკრულება;

გ) არ გამოიწვევს, ვინაიდან ხელშეკრულება ადმინისტრაციული ორგანოს წერილობითი თანხმობის შემდეგ ამოქმედდა;

დ) არცერთი პასუხი არ არის სწორი.

268.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის თანახმად, რომელი არ არის ადმინისტრაციულ წარმოებაში ადმინისტრაციული ორგანოს თანამდებობის პირის აცილების საფუძველი?

- ა) იგი საქმეში მონაწილე დაინტერესებული მხარის წარმომადგენელია;
- ბ) იგი საქმეში მონაწილე დაინტერესებული მხარის ან მისი წარმომადგენლის ოჯახის წევრია;
- გ) იგი საქმეში მონაწილე დაინტერესებული მხარის ან მისი წარმომადგენლის ნათესავია;
- დ) იგი საქმეში მონაწილე დაინტერესებული მხარის ან მისი წარმომადგენლის მეგობრის ნათესავია.

269.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის თანახმად, საჯარო დაწესებულება ვალდებულია თუ არა არ გაახმაუროს პერსონალური მონაცემები, ინფორმაცია თვით ამ პირის თანხმობის ან კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში – სასამართლოს დასაბუთებული გადაწყვეტილების გარეშე?

- ა) ვალდებულია გაახმაუროს და მას არ სჭირდება თვით ამ პირის თანხმობა, ან კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში – სასამართლოს დასაბუთებული გადაწყვეტილება;
- ბ) არ არის ვალდებული;
- გ) ვალდებულია გაახმაუროს თვით ამ პირის თანხმობით ან კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში – სასამართლოს დასაბუთებული გადაწყვეტილების საფუძველზე;
- დ) ყველა პასუხი სწორია.

270.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის თანახმად, საჯარო დაწესებულება ვალდებულია თუ არა არ გაახმაუროს თანამდებობის პირთა (აგრეთვე თანამდებობაზე წარდგენილ კანდიდატთა) პერსონალური მონაცემები ამ პირთა თანხმობის ან კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში- სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე?

- ა) არ არის ვალდებული;

ბ) ვალდებულია გაახმაუროს და მას არ სჭირდება თვით ამ პირთა თანხმობა, ან კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში –სასამართლოს დასაბუთებული გადაწყვეტილება;

გ) ვალდებულია გაახმაუროს მხოლოდ თვით ამ პირთა თანხმობისა და კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში \_ სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე;

დ) ყველა პასუხი სწორია.

271.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის თანახმად, პირს აქვს თუ არა უფლება საჯარო დაწესებულების ან საჯარო მოსამსახურის გადაწყვეტილების გაუქმების ან შეცვლის მოთხოვნით მიმართოს სასამართლოს, აგრეთვე მოითხოვოს ქონებრივი და არაქონებრივი ზიანის ანაზღაურება საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის, კოლეგიური საჯარო დაწესებულების სხდომის სრული ან ნაწილობრივი დახურვის, აგრეთვე საჯარო ინფორმაციის გასაიდუმლოებისას ან/და არასწორი საჯარო ინფორმაციის შექმნისა და დამუშავებისათვის?

ა) არ აქვს უფლება;

ბ) აქვს უფლება, მხოლოდ კანონით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევებში;

გ) აქვს უფლება;

დ) ყველა პასუხი სწორია.

272.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის თანახმად, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოიცემა:

ა) მხოლოდ წერილობით;

ბ) მხოლოდ ზეპირად;

გ) ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ფორმას გამომცემი ორგანო (თანამდებობის პირი) ათანხმების ზემდგომ ორგანოსთან (ტანამდებობის პირთან);

დ) წერილობით ან ზეპირად.

273.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის თანახმად, ვის აქვს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის აღსრულების უფლება?

ა) მხოლოდ სასამართლოს;

ბ) მხოლოდ საქართველოს პარლამენტს;

გ) მხოლოდ იმ თანამდებობის პირს, რომელსაც სამსახურებრივად აკისრია ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის აღსრულების მოვალეობა;

დ) მხოლოდ აქტის გამომცემი ადმინისტრაციული ორგანოს ზემდგომ ორგანოს.

274.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის თანახმად ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს ბათილად ცნობს:

ა) მხოლოდ სასამართლო;

ბ) საქართველოს იუსტიციის სამინისტრო;

გ) მისი გამომცემი ადმინისტრაციული ორგანო, ხოლო საჩივრის ან სარჩელის შემთხვევაში – ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანო ან სასამართლო;

დ) საქართველოს პარლამენტი.

275.

ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადების უფლება აქვს:

1. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს;

2. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს;

3. საქართველოს სახალხო დამცველს;

4. მხოლოდ სასამართლოს.

276.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის თანახმად ადმინისტრაციული ხელშეკრულება, რომელიც ზღუდავს მესამე პირის უფლებებს ან აკისრებს მას რაიმე ვალდებულებას:

ა) ძალაში შედის დაუყოვნებლივ;

ბ) ძალაში შედის მხოლოდ ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოსთან (თანამდებობის პირთან) შეთანხმების შემდეგ;

გ) ძალაში შეიძლება შევიდეს მხოლოდ მესამე პირის მიერ წერილობითი თანხმობის წარდგენის შემდეგ;

დ) ძალაში შედის ხელმოწერიდან 5 დღის შემდეგ.

277.

ადმინისტრაციულ წარმოებაში არ შეიძლება მონაწილეობდეს ადმინისტრაციული ორგანოს ის თანამდებობის პირი, რომელიც:

ა) თვითონ არის დაინტერესებული მხარე საქმეში;

ბ) საქმეში მონაწილე დაინტერესებული მხარის ან მისი წარმომადგენლის ნათესავია;

გ) საქმეში მონაწილე დაინტერესებული მხარის წარმომადგენელია;

დ) ყველა პასუხი სწორია.

278.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის თანახმად, ადმინისტრაციულ ორგანოს ადმინისტრაციული საჩივრის ზეპირი მოსმენის გაუმართავად განხილვისა და გადაწყვეტის უფლება:

ა) აქვს ნებისმიერ შემთხვევაში;

ბ) არა აქვს;

გ) აქვს იმ შემთხვევაში, თუ არსებობს ადმინისტრაციული საჩივრის განხილვაზე უარის თქმის საფუძველი;

დ) არცერთი პასუხი არ არის სწორი.

279.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის თანახმად, ოფიციალური დოკუმენტი (მათ შორის, ნახაზი, მაკეტი, გეგმა, სქემა, ფოტოსურათი, ელექტრონული ინფორმაცია, ვიდეო- და აუდიოჩანაწერები), ანუ საჯარო დაწესებულებაში დაცული, აგრეთვე საჯარო დაწესებულების ან მოსამსახურის მიერ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით მიღებული, დამუშავებული, შექმნილი ან გაგზავნილი ინფორმაცია არის:

ა) საიდუმლო ინფორმაცია;

ბ) საჯარო ინფორმაცია;

გ) ოფიციალური ინფორმაცია;

დ) არცერთი პასუხი არ არის სწორი.

280.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მიხედვით კანონიერია თუ არა ადმინისტრაციული ორგანოს მოქმედება თუ ადმინისტრაციულმა ორგანომ ადმინისტრაციული საჩივრის განხილვაზე უარი განაცხადა, რადგან იგი არაუფლებამოსილმა პირმა შეიტანა?

ა) კანონიერია, ვინაიდან არაუფლებამოსილი პირის მიერ წარდგენილი საჩივარი არგანიხილება, თუ არ არის გადახდილი სახელმწიფო ბაჟი;

ბ) კანონიერია, ვინაიდან ადმინისტრაციული ორგანო არ განიხილავს ადმინისტრაციულ საჩივარს, თუ იგი შეტანილია არაუფლებამოსილი პირის მიერ;

გ) არ არის კანონიერი, ვინაიდან, იმის მიუხედავად, რომ ადმინისტრაციული საჩივარი არაუფლებამოსილმა პირმა შეიტანა, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია განიხილოს იგი და მიიღოს გადაწყვეტილება;

დ) არცერთი პასუხი არ არის სწორი.

281.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის თანახმად, თუ კანონი არ ითვალისწინებს სხვა სახის ადმინისტრაციული წარმოების გამოყენებას, ადმინისტრაციული ორგანო ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს ამზადებს:

ა) ზოგადი ან ფორმალური ადმინისტრაციული წარმოების წესით, საკუთარი დისკრეციის ფარგლებში;

ბ) საჯარო ადმინისტრაციული წარმოების წესით;

გ) არცერთი პასუხი არ არის სწორი;

დ) მარტივი ადმინისტრაციული წარმოების წესით.

282.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოქმედება, გარდა III თავისა, არ ვრცელდება:

ა) საქართველოს სახალხო დამცველის საქმიანობაზე;

ბ) სამინისტროს საქმიანობაზე;

გ) საქართველოს მთავრობის საქმიანობაზე;

დ) ყველა პასუხი სწორია.

283.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის თანახმად, რა არის აღმასრულებელი პრივილეგია?

ა) საჯარო დაწესებულებებისა და საჯარო მოსამსახურეების გათავისუფლება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის III თავით გათვალისწინებული მოვალეობებისაგან;

ბ) სახელმწიფო ორგანოს მიერ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემადასაბუთების გარეშე, საკუთარი შეხედულებისამებრ;

გ) მოსამართლის მიერ მიღებული საბოლოო გადაწყვეტილება, რომლის გასაჩივრება დაუშვებელია;

დ) თანამდებობის პირის დისკრეციული უფლებამოსილება, დაუბრკოლებლად გაეცნოს გასაიდუმლოებულ ინფორმაციას.

284.

ადმინისტრაციულმა ორგანომ ადმინისტრაციული საჩივრის განხილვაზე უარი განაცხადა, რადგან იგი არაუფლებამოსილმა პირმა შეიტანა. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის თანახმად, კანონიერია თუ არა ადმინისტრაციული ორგანოს მოქმედება?

ა) კანონიერია, ვინაიდან არაუფლებამოსილი პირის მიერ წარდგენილი საჩივარი არგანიხილება, თუ არ არის გადახდილი სახელმწიფო ბაჟი;

ბ) არ არის კანონიერი, ვინაიდან, იმის მიუხედავად, რომ ადმინისტრაციული საჩივარი არაუფლებამოსილმა პირმა შეიტანა, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია განიხილოს იგი და მიიღოს გადაწყვეტილება;

გ) კანონიერია, ვინაიდან ადმინისტრაციული ორგანო არ განიხილავს ადმინისტრაციულ საჩივარს, თუ იგი შეტანილია არაუფლებამოსილი პირის მიერ;

დ) არცერთი პასუხი არ არის სწორი.

285.

ადმინისტრაციული ორგანოს ხელმძღვანელი თანამდებობის პირის მიერ გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის თაობაზე წარდგენილ საჩივარს განიხილავს და გადაწყვეტს:

ა) საქართველოს მთავრობა;

ბ) საქართველოს პარლამენტი;

გ) ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანო;

დ) არცერთი პასუხი არ არის სწორი.